საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2016–2020 წწ. სტრატეგიის

საბოლოო შეფასება

2016 - 2020

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების

2016-2020 წლების

სტრატეგიის საბოლოო შეფასება

სამართლებრივი, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემო

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა

სამეწარმეო უნარების განვითარება

ექსპორტის ხელშეწყობა

ინოვაციების და კვლევების განვითარება

© საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2016-2020 წლის სტრატეგიის საბოლო შეფასება მომზადებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ; ივნისი, 2021 წელი.

სარჩევი

მოკლე შეჯამება 5

შესავალი 17

მეთოდოლოგია 24

შეფასების მიგნებები 26

მიზანთან და მის შესაბამის ამოცანებთან დაკავშირებით მიღწეული პროგრესი 29

1. **სამართლებრივი, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება** 29
2. **ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება** 48
3. **მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა** 63
4. **ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია** 86
5. **ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების და კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა** 99

გამოწვევები და რეკომენდაციები 113

დანართები 117

დიაგრამები

დიაგრამა 1. საწარმოთა როლი ქვეყნის ეკონომიკაში 2014-2019/20 18
დიაგრამა 2. SME პოლიტიკის ინდექსი, 2020 21
დიაგრამა 3. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი სქესის მიხედვით 70

ტერმინთა განმარტება

DCFTA	ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება
EFQM	ხარისხის მართვის ევროპული ფონდი - „წარმატების მოდელი“
EPRC	ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი
GENIE	ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემა
GEW	გლობალური მეწარმეობის კვირეული
GIZ	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია
G4G	მმართველობა განვითარებისათვის
IBRD	რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი
IFRS for SME	ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის
ODIN	ღია მონაცემთა აღწერა (Open Data Inventory)
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
PPP	მსყიდველობითი უნარის პარიტეტი (Purchasing Power Parities)
RIA	რეგულირების ზეგავლენის შეფასება
SDGs	მდგრადი განვითარების მიზნები
TNA	ტრენინგების საჭიროებათა შეფასება

მოკლე შეჯამება

საქართველოს მთავრობის მთავარ პრიორიტეტს ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერება და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება წარმოადგენს. ამ მიზნით ქვეყანაში ჩამოყალიბდა ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის ამოსავალი არის ბიზნესის თავისუფლება, მისთვის პროგნოზირებადი გარემოს უზრუნველყოფა სამართლიანი წესების შემოღებით, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა და ამ გზით კერძო სექტორისთვის შესაძლებლობის მიცემა მოიპოვოს კონკურენტული წვდომა მსოფლიო ბაზრებზე.

მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმების მიზანია უზრუნველყოს ბიზნესგარემოს გაუმჯობესება და ხელი შეუწყოს მეწარმეობის განვითარებას ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობით. ამ მიზნით უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება დიალოგი ბიზნესთან, კერძო სექტორში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და მოგვარების მიზნით; დაიწყო და კვლავ გრძელდება ციფრული და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, რაც, ერთი მხრივ, საშუალებას აძლევს ბიზნესსექტორს, ისარგებლოს თანამედროვე და ეფექტიანი მომსახურებით, მეორეს მხრივ კი დაზოგოს დრო და რესურსი; მთავრობის პრიორიტეტს წარმოადგენს ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური საინვესტიციო პროექტების მხარდაჭერა, ასევე, მეწარმეებისთვის საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის ხელშეწყობა, არსებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების პოტენციალის ათვისება, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფს მეწარმეებისთვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი წარმოების და სისტემების განვითარებაში მხარდაჭერას. შედეგად, ყოველივე ხელს უწყობს მეწარმეობის განვითარებას, რაც წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

სამეწარმეო სექტორი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის განვითარებაში და საგრძნობი წვლილი შეაქვთ მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. სწორედ მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ერთიანი პოლიტიკის ფორმირების მიზნით დამტკიცდა საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წელს საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის და შესაბამისი სამოქმედო გეგმები - 2016-2017 და მოგვიანებით, 2018-2020 წლებისთვის. სტრატეგია შემუშავდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD) და GIZ-თან მჭიდრო თანამშრომლობით.

სტრატეგია სრულ შესაბამისობაშია ევროპული მცირე ბიზნესის აქტის ძირითად პრინციპებთან და მასში გათვალისწინებულია ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პოლიტიკის კუთხით.

სტრატეგიის მთავარი მიზანია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, მათი კონკურენტუნარიანობის და ინოვაციების შესაძლებლობების ამაღლება, რის შედეგადაც მოხდება შემოსავლების და სამუშაო ადგილების ზრდა და შესაბამისად, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა.

სტრატეგიით განისაზღვრა სამიზნე მაჩვენებლები, რაც ითვალისწინებს 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების წლიურად საშუალოდ 10%-იან ზრდას, ასევე საბაზისო წელთან (2013 წ.) მიმართებით დასაქმებულთა 15%-იან და მწარმოებლურობის 7%-იან ზრდას.

2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების საშუალო წლიურმა ზრდამ 10% შეადგინა. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ სტრატეგიის განხორციელების ბოლო, 2020 წელი დაემთხვა კოვიდ-19-ის გლობალურ პანდემიას და მისგან გამოწვეულ კრიზისს, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტზე, ზიანი მიაყენა ბიზნესის საქიანობას და საბოლოო ჯამში, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. ამდენად, გამოშვების საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი 2020 წლის უარყოფითი შედეგების გათვალისწინებით შემცირდა, თუმცა სამიზნე მაჩვენებელი მაინც იქნა მიღწეული.

2019 წლის მდგომარეობით, დასაქმების მაჩვენებლის ზრდამ 32% შეაადგინა, ხოლო მწარმოებლურობამ - 14,2%. შესაბამისად, სტარტეგიის სამიზნე მაჩვენებლები მიღწეული იქნა.

2016-2020 წლების სტარტეგია მოიცავს 5 ძირითად სტრატეგიულ მიმართულებას, როგორიცაა (1) საკანონმდებლო, ინსტიტუციური ბიზნეს გარემოს შემდგომი გაუმჯობესება; (2) ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; (3) კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის, სამეწარმეო უნარების და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის განვითარება; (4) ექსპორტის წახალისება და მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია; (5)ინოვაციების და კვლევისა და განვითარების (R&D) მხარდაჭერა. აღნიშნული სტრატეგიული მიმართულებები, თავის მხრივ, მოიცავდა პოლიტიკის შესაბამის პრიორიტეტულ ღონისძიებებს და ქმედებებს.

საბოლოო შეფასების ანგარიში მომზადდა საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტის შესაბამისად. შეფასება განხორციელდა შიდა მეთოდის გამოყენებით, რომელიც მომზადდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ.

საბოლოო შეფასების ანგარიში დაეფუძნა სტრატეგიის სამოქმედო გეგმების წლიურ ანგარიშებს, ასევე სხვადასხვა საჯარო დაწესებულებების, დონორი, არასამთავრობო და კვლევითი ორგანიზაციების ანგარიშებს და შეფასებებს.

შეფასება განხორციელდა 4 ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით - შესაბამისობა, ეფექტურობა, მდგრადობა და გავლენა. აღნიშნული კრიტერიუმებისთვის შეირჩა შესაბამისი კითხვები.

პირველი სტრატეგიული მიმართულება ითვალისწინებს სამართლებრივი, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს შემდგომ გაუმჯობესებას მცირე და საშუალო მეწარმებისთვის. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში დამტკიცდა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი. იგი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებისთვის და მოქნილი მექანიზმების არსებობით განაპირობებს პროცესის განჭვრეტადობას ფინანსური პრობლემების წინაშე მდგომი საწარმოს ფუნქციონირების შენარჩუნებისთვისთვის. ამდენად, ახალი კანონი სრულ შესაბამისობაშია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან, აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საქართველოში ბიზნესის რეაბილიტაციის ან დახურვის პროცესებს, რაც თავის მხრივ, პოზიტიურად აისახება მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ რეიტინგზეც.

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები ითვალისწინებს მედიაციისა და არბიტრაჟის განვითარებას და მათი გამოყენებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას. 2020 წლიდან ამოქმედდა საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, რომლის მიზანია დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარების ხელშეწყობა. 2020 წელს საქართველოს მასშტაბით სასამართლო მედიაცია სავალდებულო სახით დაინერგა თბილისის და რუსთავის საქალაქო სასამართლოებში და მცხეთის რაიონულ სასამართლოში, სადაც სასამართლოების მიერ სასამართლო მედიაციას გადაეცა და განხილული იქნა 140 საქმე.

საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა შეიმუშავა საწარმოთა ზომის განსაზღვრის ახალი მეთოდოლოგია. აღნიშნული ცვლილებით საწარმოთა სტატისტიკა მაქსიმალურად დაუახლოვდა ევროკავშირის სტანდარტებს. ახალი მეთოდოლოგიის შედეგად, მნიშვნელოვნად შეიცვალა საწარმოთა სტრუქტურული გადანაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით, რაც საერთაშორისო პრაქტიკასთან მაქსიმალურად თანხვედრაშია და გახდა შესადარი საერთაშორისო მაჩვენებლებთან.

საწარმოთა სტატისტიკის გაუმჯობესება მნიშვნელოვან საკვანძო საკითხს წარმოადგენს. სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული გაუმჯობესებული და გაფართოებული სტატისტიკის წარმოება ხელს უწყობს საწარმოთა შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის შეგროვებას, ხოლო გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ეხმარება უკეთ გაანალიზონ და შეიმუშაონ ეფექტური პოლიტიკა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის. ამასთან, აღსანიშნავია ორგანიზაცია "Open Data Watch"-ის ღია მონაცემთა აღწერის 2021 წლის ანგარიში, რომლის მიხედვით, საქართველოს

სტატისტიკის სისტემა პირველად დასახელდა ევროპის საუკეთესო ოცეულში, ხოლო რეგიონში საქართველოს სტატისტიკის სისტემა ლიდერია და პირველ პოზიციას იკავებს. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს სტატისტიკის წარმოების მნიშვნელობას და მის გავლენას ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების შესაძლებლობათა გაძლიერება მნიშვნელოვანია კერძო სექტორის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების შესაძლებლობათა განვითარებამ, მეწარმეების საჭიროებებზე მორგებული სერვისების და პროგრამების შეთავაზებამ, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობას. აღნიშნული პროგრამების დახმარებით, ბენეფიციარებმა გაიუმჯობესეს წარმოების მასშტაბები, ხარისხი, წარმოებული პროდუქციის მრავალფეროვნება, მოხდა საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება და შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა კონკურენტუნარიანობა იმპორტთან მიმართებით.

საქართველოს მთავრობის ინიციატივით შეიქმნა პლატფორმა „სახელმწიფო - შენი პარტნიორი“, სადაც განთავსებულია ბიზნესის ხელშეწყობაზე ორიენტირებულ სახელმწიფო პროგრამები. პლატფორმის საშუალებით დამწყებ და მოქმედ მეწარმეებს აქვთ წვდომა სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული პროგრამების ფარგლებში განსაზღვრულ ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებებზე.

ქვეყანაში დაგეგმილი და მიმდინარე რეფორმების თაობაზე საზოგადოების ინფორმირება და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა ხელს უწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის დაგეგმვას და შემუშავებას. საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობა მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარებისთვის, რადგანაც ჩართულობა, მონაწილეობა და თანამშრომლობა ხელს უწყობს უფრო ეფექტური პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას. საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის შექმნილი პლატფორმის ფარგლებში დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ უახლესი ინფორმაცია მიმდინარე რეფორმებისა და საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ. თავის მხრივ, პლატფორმის მთავარი მიზანი იყო უკუკავშირის მიღება, რაც გულისხმობდა რეკომენდაციების, მოსაზრებების და შენიშვნების მიღებას, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს მთავრობის პოლიტიკის გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას.

რეგულირების ზეგავლენის შეფასება (RIA) გადაწყვეტილების მიმღებ პირს აძლევს არსებული პრობლემის, მისი გამომწვევი მიზეზების, მოსალოდნელი ხარჯებისა და სარგებლის, რისკების შეფასების და შედეგად, პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის არჩევის შესაძლებლობას და ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალე და ეფექტიანი მექანიზმის დანერგვას. საკანონმდებლო დონეზე RIA-ს შემოღებამ და შესაბამისი სისტემის შექმნამ ხელი შეუწყო წინასწარ გაანალიზებული ყოფილიყო

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების გავლენა ეკონომიკაზე, შესაძლო ნეგატიური შედეგების თავიდან არიდების მიზნით.

მეორე სტრატეგიული მიმართულება ითვალისწინებს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. ბიზნესგარემოს გაუმჯობესება, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, ფინანსური სექტორის გაძლიერება და შედეგად, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. სწორედ ამიტომ ქვეყანაში მცხოვრები თითოეული მოქალაქისთვის, დამწყები და მოქმედი ბიზნესისათვის ფინანსური განათლების ამაღლების მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცდა ფინანსური განათლების სტრატეგია, განხორციელდა პროგრამები, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა საგანმანათლებლო პლატფორმა, ონლაინ ტრენინგ-მოდული და ჩატარდა ტრენინგები. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული ფინანსური განათლების სტრატეგიამ, რომელიც მომხმარებლის უფლებების დაცვის ჩარჩოს მნიშვნელოვანი ნაწილია, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობისა და ინდივიდების ფინანსური კეთილდღეობის გაუმჯობესებას. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს, მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ რეიტინგის კრედიტზე ხელმისაწვდომობის კომპონენტში საქართველომ 85 ქულით მე-15 პოზიცია დაიკავა, ხოლო საკრედიტო ინფორმაციის სიღრმის ინდექსი (8 ქულა) და საკრედიტო რეესტრის მოცულობის ქვეკომპონენტებში უმაღლესი შეფასება მიიღო.

ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად, წარმატებით განხორციელდა ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის სრულფასოვანი დაახლოება ევროკავშირის წესებსა და სტანდარტებთან. კერძოდ, დაინერგა ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების, მმართველობის ანგარიშგების და სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგების მომზადების და წარდგენის სტანდარტები. აღნიშნული თავის მხრივ, უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის ფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის ეკონომიკაში ჯანსაღი საინვესტიციო კლიმატის შექმნის, გამჭვირვალობისა და ნდობის ამაღლების თვალსაზრისით. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები დიდ მნიშვნელობას იძენს სხვადასხვა მიმართულებით კვლევების, სტატისტიკური ანალიზის ან სხვა საქმიანობის განსახორციელებლად.

ნებისმიერი ბიზნესისთვის, განსაკუთრებით სტარტაპებისთვის, მიზნების მიღწევის პროცესში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ფინანსური რესურსები და მათზე ხელმისაწვდომობა. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელშეწყობით განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, სტარტაპებს შესაძლებლობა მიეცათ მიეღოთ ინფორმაცია ფინანსური რესურსების მოძიების და არაფინანსური მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობებზე.

ქართული სტარტაპების უცხოური სარისკო კაპიტალის ინვესტორებთან და მენტორებთან დაკავშირებამ ხელი შეუწყო საქართველოში ინოვაციურ იდეებზე დაფუძნებული ბიზნესის განვითარებას და საერთაშორისო ბაზარზე გასვლას. პროგრამის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა მიიღეს დამწყები ბიზნესების ინოვაციურმა იდეებმა. თავის მხრივ, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო მუდმივად უზრუნველყოფს წარმატებული პროექტების წარდგენას საერთაშორისო ინვესტორებისთვის დამატებითი ინვესტიციების მოსაპოვებლად სილიკონ ველიში.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად ფინანსებზე ხელმისაწვდომობა სახელდება. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია სახელმწიფო პროგრამები, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს იმ საბაზრო ჩავარდნების აღმოფხვრას, რომლებიც ხელს უშლის სიცოცხლისუნარიან ბიზნესს კრედიტის აღებაში. სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ ხელშეწყობით ამოქმედდა საკრედიტო საგარანტიო სქემა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა ისეთი სიცოცხლისუნარიანი მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსება, რომელთაც არ გააჩნდათ საკმარისი უზრუნველყოფა არსებული საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებში სესხის ასაღებად. საკრედიტო-საგარანტიო სისტემა, პანდემიის საპასუხოდ, კიდევ უფრო გაფართოვდა და მისი მეშვეობით ახალი სესხების აღების და არსებულის რესტრუქტურიზაციის შესაძლებლობა უფრო მეტ სექტორში მოქმედ ბიზნესს მიეცა. ზემოაღნიშნული კი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული მიზნების მიღწევას და შედეგად, მეწარმეობის ხელშეწყობას და განვითარებას.

მესამე სტრატეგიული მიმართულება ითვალისწინებს მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარებასა და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობას. ქვეყნის შრომის ბაზრის ეფექტური ფუნქციონირება, სამუშაო ძალის დასაქმების ხელშეწყობა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება საქართველოს მთავრობის პრიორიტეტული მიმართულებაა. სახელმწიფო პოლიტიკის სწორად დაგეგმვის და განხორციელების მიზნით შეიქმნა შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა, რომელიც ორიენტირებულია შრომის ბაზრის მონიტორინგზე, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებაზე, განხორციელებული პროგრამების შედეგების შეფასებაზე და შრომის ბაზრის შესახებ სხვადასხვა მონაწილე მხარისა თუ მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდებაზე.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ტრენინგების საჭიროებათა შეფასება, რაც მნიშვნელოვანია მეწარმეების მოთხოვნების განსაზღვრისა და შესაბამისი ტრენინგების ჩატარების მიზნით. სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ საერთაშორისო პარტნიორის ETF-ის მხარდაჭერით შეიმუშავა ტრენინგების

საჭიროებათა შეფასების კონცეფცია და შესაბამისი მექანიზმები. ამასთან, დონორთა მხარდაჭერით რამდენიმე საპილოტე კვლევა განხორციელდა, რომლის შედეგად იდენტიფიცირებული იქნა ტრენინგების საჭიროებები და მთავარი გამოწვევები.

პროფესიული განათლების რეფორმა ხელს უწყობს ადამიანური რესურსების მდგრად გაუმჯობესებას, რაც გულისხმობს პოტენციალის განვითარებას, დასაქმების თუ თვითდასაქმების შესაძლებლობას, შემოსავლის მიღებას და თვითრეალიზებას. საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელდა განათლების სისტემის ყველა დონეზე უწყვეტი სამეწარმეო სწავლების (LLEL) დანერგვა. შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბდა მოქნილი პროფესიული საგანმანათლებლო ქსელი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისთვის პროფესიული და პიროვნული, მაღალი ხარისხის კომპეტენციების განვითარებას, ასევე, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის.

განათლების და მეცნიერების სამინისტროს კოორდინაციით განათლების სისტემის განვითარების მიზნით შეიქმნა პროფესიული საბჭოები, სადაც უზრუნველყოფილი იქნა სოციალური პარტნიორების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სწორედ დამსაქმებლების და ბიზნესის წარმომადგენლების ჩართულობით შემუშავდა პროფესიული სტანდარტები. საგანმანათლებლო პროგრამების მოქნილობისათვის, გაიზარდა მისი შრომის ბაზართან თუ პროფესიული სტუდენტების მოთხოვნილებებთან შესაბამისობა, გახდა სწავლის შედეგებზე ორიენტირებული, შემუშავდა მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები, რაც ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღების სისტემის ჩამოყალიბებას.

არაფორმალური განათლება არის მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს ფორმალური განათლების მიღმა ახალი ცოდნისა და უნარის შეძენას. „პროფესიული განათლების შესახებ“ ახალი კანონის შესაბამისად, შეიქმნა არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული განათლების საფეხურზე აღიარების შესაძლებლობა. არაფორმალური განათლების გზით მიღებული კომპეტენციების აღიარების მექანიზმების სამართლებრივ დონეზე არსებობა უზრუნველყოფს კომპეტენციების გაუმჯობესებას და მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღებას.

მცირე და საშუალო საწარმოების ზრდის სტიმულირების სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში განხორციელდა სასწავლო და საგანმანათლებლო პროგრამები, შემუშავდა პროექტები და ტექნიკური დახმარების მექანიზმები. ასევე ტექნიკური დახმარების კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა საწარმოებში წარმატების მოდელის (EFQM) პოპულარიზაცია. აღნიშნული მოდელი აუმჯობესებს საჯარო და კერძო დაწესებულებების საქმიანობას, რომელშიც ინტეგრირებულია ISO საერთაშორისო

სტანდარტების ხარისხობრივი კომპონენტები და ეხმარება დაწესებულებებს, მიაღწიონ წარმატებას უმაღლესი ხარისხის სტანდარტების დანერგვის გზით.

საგანმანათლებლო მასალების ნაკლებობა და ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატებული განვითარებისთვის. სსიპ „აწარმოე საქართველოში“ მიერ შემუშავდა „ექსპორტის მენეჯმენტის საფუძვლების“ ონლაინ ტრენინგი, რომელმაც მნიშვნელოვნად გაუადვილა, განსაკუთრებით რეგიონში მცხოვრებ პირებს, დისტანციურად, სრულიად უსასყიდლოდ, სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად დაუფლებოდნენ ცოდნას და მიეღოთ მათთვის საჭირო ინფორმაცია.

მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით სააგენტო "აწარმოე საქართველოში" ფუნქციონირებდა სერვის ცენტრი, რომელიც წარმოადგენდა მრავალფუნქციურ ბიზნეს სივრცეს. მეწარმეების მომსახურების ცენტრი, მეწარმეებს საშუალებას აძლევდა ესარგებლათ როგორც კომპიუტერული მომსახურებით და ინტერნეტ-სერვისით, ასევე გაეცნობოდნენ თანამედროვე ბიზნეს-ლიტერატურას და ანალიტიკურ მასალებს. სერვის ცენტრების განვითარება და ხელმისაწვდომობა დადებით გავლენას ახდენს ცოდნაზე დაუძნებული მეწარმეობის განვითარებაზე. პროგრამის „სახელმწიფო შენი პარტნიორი“ ფარგლებში 2020 წლის სექტემბრიდან სააგენტომ გააფართოვა მომსახურების ცენტრის მიერ შეთავაზებული სერვისების მიწოდების არეალი და სერვისების მიწოდება რეგიონებში ხორციელდება იუსტიციის სახლების და საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით.

მეწარმე ქალების მხარდაჭერა და მათი ეკონომიკური გაძლიერება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, რომლის ფარგლებშიც აქტიურად განხორციელდა სამეწარმეო საქმიანობაში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა, ასევე ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა შესაბამისი პლატფორმა. სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ქალი მეწარმეებისთვის გაუმჯობესდა საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, შეიქმნა ქალების მიერ მართული მცირე და საშუალო ბიზნესისათვის განკუთვნილი სპეციფიკური, მდგრადი ფინანსური პროდუქტები, ხელი შეეწყო სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებას, უზრუნველყოფილი იქნა ქალების მფლობელობაში არსებული მცირე და საშუალო ბიზნესისათვის საკონსულტაციო სერვისები. სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ შეიმუშავა გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ხელს უწყობს სააგენტოს საქმიანობაში გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას და ინტეგრირებას.

საქართველოს მთავრობამ ნარჩენების მართვის სფეროში შესაბამისი სამართლებრივი მოთხოვნების შესასრულებლად, დაამტკიცა „ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია“ რომელიც კონკრეტული პროდუქციის მწარმოებლებსა და იმპორტიორებს აკისრებს პასუხისმგებლობას სპეციფიკური ნარჩენების შეგროვებასა და დამუშავებაზე. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება ხელს უწყობს გარემოზე უარყოფითი

გავლენის შემცირებას, რომელიც სხვადასხვა პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების შედეგად წარმოიქმნება.

მეოთხე სტრატეგიული მიმართულება ითვალისწინებს ექსპორტის ხელშეწყობას და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაციას. ასოცირების ხელშეკრულება მცირე და საშუალო ბიზნესს ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს და ხელს უწყობს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორების გამოუყენებელი პოტენციალის ათვისებას, ტექნოლოგიებისა და ცოდნის ტრანსფერისთვის პირობების შექმნას ქართული საწარმოების გლობალურ საწარმოო ჯაჭვში ჩართვის საშუალებით. DCFTA-ს შესახებ საზოგადოებისთვის ცნობიერების ამაღლება ასოცირების ხელშეკრულებისა და მისი სარგებლის შესახებ მნიშვნელოვან პრიორიტეტად განისაზღვრა. ამ მიზნით შეიქმნა პლატფორმა, რომლის საშუალებით კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის უზრუნველყოფილია ინფორმაციის დროულად მიწოდება სავაჭრო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამასთან, ქვეყანაში საერთაშორისო დონეზე აღიარებული მეტროლოგიური სერვისების ხელმისაწვდომობით უზრუნვეყოფილია ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდა და ეროვნული პროდუქციის შეღწევადობის ხელშეწყობა საერთაშორისო ბაზრებზე.

DCFTA მოთხოვნებთან ადაპტაციის მიზნით განხორციელდა სტრატეგიულ და პრიორიტეტულ ბაზრებზე ქართული ექსპორტიორი კომპანიებისთვის წინასწარი B2B ტიპის შეხვედრების დაგეგმვა და ორგანიზება ახალი პარტნიორების და ბაზრების დივერსიფიცირების მიზნით, ასევე განხორციელდა ექსპორტის პოტენციალის მქონე ახალი სექტორების კვლევა. კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებული პრობლემების და გამოწვევების საპასუხოდ შემუშავდა რეკომენდაციები, რომელიც უზრუნველყოფს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას, მათი ცნობადობის გაზრდას ევროპის ბაზარზე და ინტერნაციონალიზაციას ახალი შესაძლებლობების შექმნის გზით.

ექსპორტის სტიმულირების და საერთაშორისო ბაზრებზე მარკეტინგის და პოპულარიზაციის მხარდაჭერის მიზნით სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ შეიმუშავა საერთაშორისო ღონისძიებებზე მონაწილე საწარმოთა შერჩევის ახალი კრიტერიუმები, რომლებიც უკეთ არის მორგებული მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მოთხოვნებზე და მეტად კომპლექსურია. სააგენტოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში, არაერთ ექსპორტიორ კომპანიაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საექსპორტო ოპერაციები, გაიზარდა ექსპორტი და მოხდა საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია. 2020 წლის ბოლოდან კომპანიების შერჩევა ხორციელდება ავტომატურად, პლატფორმის TrdewithGeorgia-ს მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს მაღალ გამჭირვალობასა და ეფექტურობას.

ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა შორის კონკრეტული ბიზნეს შემოთავაზებების ურთიერთგაცვლისა და კავშირების დამყარების მიზნით უმნიშვნელოვანეს პლატფორმას წარმოადგენს

ევროპის საწარმოთა ქსელი (EEN). DCFTA-ს ამოქმედების შემდეგ, ქართულ კომპანიებს საშუალება მიეცათ, ახალი პლატფორმის - EEN-ის გამოყენებით ევროკავშირის ბაზარზე ფართოდ გაავრცელონ საკუთარი ბიზნეს წინადადებები და მოიზიდონ პარტნიორები. სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელშეწყობით EEN-ის პლატფორმაზე დარეგისტრირდა 5 ქართული კომპანია და განთავსდა ქართული კომპანიების 11 ახალი კომერციული წინადადება. აღნიშნული პლატფორმის საშუალებით კომპანიებს შესაძლებლობა მიეცათ დაკავშირებოდნენ საერთაშორისო პარტნიორებს.

ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აქტიურად ხორციელდება ქვეყანაში პასუხისმგებლიანი ბიზნეს ქცევის ხელშეწყობა, რაც გულისხმობს გარემოს მიმართ პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დანერგვას. ამ მიზნით განხორციელდა კერძო სექტორის ცოდნის ამაღლება RBC-სთან დაკავშირებით და ამ პრინციპების დანერგვის პოპულარიზაცია. ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის (RBC) განვითარება დადებით ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ კომპანიების საქმიანობაზე, არამედ ზოგადად ქვეყნის განვითარებაზე და განიხილება, როგორც ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ზრდის, ვაჭრობისა და ინვესტიციების მოზიდვის, აგრეთვე მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის მექანიზმი.

მეხუთე სტრატეგიული მიმართულება ითვალისწინებს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობას. ქვეყანაში ინოვაციური განვითარების ხელშეწყობა ეხმარება ადგილობრივ მოსახლეობას, დამწყებ და მოქმედ საწარმოებს გამოიყენონ აქამდე ძნელად ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები საკუთარი საქმიანობის განვითარებისთვის და მიიღონ ცოდნა როგორც ინოვაციების და ტექნოლოგიების სფეროში, ისე მეწარმეობის მიმართულებით. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელშეწყობით გამართულ გლობალური მეწარმეობის კვირეულის ფარგლებში მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივმა, ასევე უცხოელმა ანტრეპრენერებმა, სტარტაპებმა და ეკოსისტემის ლიდერებმა, ინვესტორებმა და სამეწარმეო ეკოსისტემის წარმომადგენლებმა, რამაც შექმნა შესაძლებლობები ახალი ბიზნეს ურთიერთობების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

გრძელვადიანი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროს განვითარება. ინოვაციების, R&D და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებისა და დანერგვის მხარდაჭერის მიზნით შემუშავდა დაფინანსების ეფექტიანი მექანიზმები, მათ შორის, მცირე და საშუალო კომპანიების გრანტებით დაფინანსების პროგრამები. ინოვაციური და ტექნოლოგიური საგრანტო პროგრამების ფარგლებში გაიცა როგორ თანადაფინანსების გრანტები, ასევე, მიკრო გრანტები. საგრანტო პროექტის ფარგლებში გაცემული

გრანტების შედეგად განხორციელდა ინოვაციების დანერგვა, ტესტირება და მოხდა გაუმჯობესება მათი შემდგომი კომერციალიზაციის მიზნით.

ინოვაციების და R&D-ს კომერციალიზაცია ხელს უწყობს მათ გამოყენებას ეკონომიკაში. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ ინოვაციების და R&D-ის კომერციალიზაციის, ასევე გამოყენებითი კვლევების ხელშეწყობის მიზნით ახალი სახელმწიფო პროგრამა განახორციელა. ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამამ (TTPP) მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ტექნოლოგიების გადაცემის პოტენციალის შემოწმების და დემონსტრირების შესაძლებლობა. პროგრამა სრულ თანხვედრაში მოვიდა საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტთან და შედეგად გაიზარდა იმ სამეცნიერო გამოგონებების რაოდენობა, რომელიც პასუხობს ბაზრის საჭიროებებს და ასევე, ახდენს ეკონომიკური აქტოვობების ინოვაციურობის სტიმულირებას.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი პროგრესი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) განვითარებასა და მის ხელმისაწვდომობაზე. ქვეყანაში გრძელვადიანი მდგრადი ზრდისა და ინოვაციების განვითარების მიზნით, შეიქმნა ახალი საგანმანათლებლო პროგრამები, კერძოდ, „ახალგაზრდული ტექნოლოგიური კლუბების ქსელის“ სამწლიანი პროექტის ფარგლებში დაგეგმილია კოდირებისა და ტექნიკური მეწარმეობის კლუბების შექმნა საქართველოს 8 რეგიონის 100 სკოლასა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ინოვაციების და R&D-ის სტიმულირების და განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ქვეყანაში შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ უზრუნველყო ინოვაციებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა. თბილისში და საქართველოს 4 რეგიონში გაიხსნა ტექნოპარკები და შედარებით მცირე ზომის ინოვაციების ცენტრები, რაც წარმოადგენს ერთგვარ პლატფორმას ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ბიზნესების განვითარებისთვის. საქართველოში ციფრული უთანასწორობის დაძლევის და ქვეყანაში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, შემუშავდა „საქართველოს ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების ეროვნული სტრატეგია“, რომელიც ორიენტირებულია და ხელს უწყობს ქვეყანაში კონკურენციის განვითარებას, ინვესტიციების მოზიდვას და მოსახლეობაში ციფრული უნარების განვითარებას.

ანგარიშში წარმოდგენილია ის ძირითადი მიგნებები, რომელიც ნათლად უსვამს ხაზს თითოეული ამოცანის მიმართებით მიღწეულს შედეგებს. მათ შორის აღსანიშნავია საერთაშორისო რეიტინგებში ქვეყნის პროგრესი და სარეიტინგო ქულების და პოზიციების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

ამდენად, ერთიანი მხარდამჭერი პოლიტიკის და შესაბამისი სტრატეგიის არსებობამ ხელი შეუწყო ქვეყანაში კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას, როგორც შიდა, ისე გარე ბაზრებზე, რაც დაეფუძნა ადამიანური კაპიტალის განვითარებას, სამეწარმეო კულტურის ჩამოყალიბებას, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, ინოვაციებისა და კვლევების განვითარებას.

შესავალი

საქართველოს მთავრობის მთავარ პრიორიტეტს ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერება და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება წარმოადგენს. ეკონომიკის სისტემური რეფორმირება მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის გაძლიერების თვალსაზრისით.

ეკონომიკური განვითარების ტენდენციები

ბოლო წლებში რეგიონში ეკონომიკური ზრდის შენელებისა და მნიშვნელოვანი გამოწვევების მიუხედავად, საქართველომ შეინარჩუნა მდგრადობა საგარეო შოკების მიმართ. ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შედეგად, 2017-2018 წლებში საქართველოს ეკონომიკური ზრდა 4.8%-ს შეადგენდა, ხოლო 2019 წელს საქართველოს ეკონომიკა 5.0%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ COVID-19-ის პანდემიის დაწყებამდე, ეკონომიკური ზრდის პოზიტიური ტენდენციები გრძელდებოდა.

ეკონომიკური ზრდის მთავარ წყაროს ბიზნესი წარმოადგენს, რომელიც ქმნის ახალი სამუშაო ადგილებს, უზრუნველყოფს სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევას, განსაზღვრავს კეთილდღეობის დონეს, ხელს უწყობს წარმოების მნიშვნელოვან ზრდას, რის გარეშეც რეალური პროგრესი და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ზრდა შეუძლებელია. შესაბამისად, ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტს სწორედ ღია, გამჭვირვალე და კონკურენტუნარიანი ბიზნესგარემოს ფორმირება წარმოადგენს.

2020 წლის ბოლოს მოქმედ ბიზნესსუბიექტთა რაოდენობამ 188.9 ათასი შეადგინა, რაც 2012 წლის მაჩვენებელს 55,1%-ით აღემატება, ხოლო 2015 წელთან შედარებით 19,6%-ით არის გაზრდილი. ამასთან, 2020 წელს (4 კვარტლის მონაცემებით) ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, რაც 109.6 მილიარდ ლარს შეადგენს, 2012 წელთან შედარებით 2,6-ჯერ, ხოლო 2015 წელთან შედებით 92,3%-ით არის გაზრდილი. ხაზგასასმელია, რომ მიუხედავად იმისა, რომ პანდემიამ მნიშვნელოვნად შეაფერხა საქართველოს ეკონომიკური განვითარების ბოლო წლების დადებითი ტენდენციები, ბიზნესსექტორის გამოშვება 2020 წელს წინა წელთან შედარებით მცირედით, მაგრამ მაინც გაზრდილია.

პანდემიამდე, ბიზნესსექტორში ეკონომიკური აქტივობის ზრდა აისახა დასაქმებულთა რაოდენობის ზრდაზეც და შესაბამისად, 2019 წელს, 2012 წელთან შედარებით, ბიზნესსექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 41.6%-ით, ხოლო 2015 წელთან შედებით 20,8%-ით გაიზარდა და 756.9 ათასი კაცი შეადგინა. ხაზგასასმელია, რომ პანდემიის შემდეგად მრავალი სამუშაო ადგილი დაიკარგა, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესზე იქონია უარყოფითი გავლენა და სწორედ ამიტომ, პანდემიის დაწყების წელს

დასაქმების მაჩვენებელი შემცირდა და 2020 წლის მე-4 კვარტალში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 641.6 ათას კაცს გაუტოლდა.

დიაგრამა 1. საწარმოთა როლი ქვეყნის ეკონომიკაში 2014-2019/20



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

* 2020 წლის შეფასება
** 2019 წლის შეფასება

სამეწარმეო გარემო საერთაშორისო რეიტინგებში

ბიზნესგარემოს დინამიკურ გაუმჯობესებას არაერთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევა თუ რეიტინგი ადასტურებს. სწორედ სისტემური რეფორმების წარმატებულმა და ეფექტიანად განხორციელებამ განაპირობა უკანასკნელ წლებში საქართველოს პოზიციების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ავტორიტეტულ საერთაშორისო რეიტინგებში, რაც საქართველოზე, როგორც რეფორმატორი ქვეყნის იმიჯზე, პოზიტიურად აისახება.

მსოფლიო ბანკის "ბიზნესის კეთების"[1] რეიტინგში 2020 წელს ქვეყნის ქულამ (საუკეთესო შეფასების ზღვართან (DTF) მიახლოებით) ისტორიული მაქსიმუმი - 83.7

[1] World Bank "Doing Business 2020", იხ. https://www.doingbusiness.org/en/doingbusiness

ქულა შეადგინა და მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის საქართველომ მე-7 პოზიცია დაიკავა. მსოფლიო ბანკის მიერ პოზიტიურად შეფასდა ქვეყანაში განხორციელებული რეფორმები, მათ შორის შემცირებული და გამარტივებული ბიზნესის და ქონების რეგისტრაციის პროცედურები, კრედიტზე ხელმისაწვდომობა, მცირე აქციონერთა უფლებების დაცვა, 2018 წელს პირველად შემცირდა ბიზნესის საგადასახადო ტვირთის მაჩვენებელი და 16.4%-ის ნაცვლად, 9.9% შეადგინა. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში მესამე ადგილს იკავებს. აღნიშნული შემცირება 2017 წლის დასაწყისში მოგების გადასახადის ე. წ. ესტონური მოდელის შემოღებას უკავშირდება, რომელიც გაუნაწილებელი მოგების ნულოვან დაბეგვრას გულისხმობს.

„რეფორმის შედეგად გამოთავისუფლებული რესურსი შესაძლებელია მიმართულ იქნას ინოვაციური მიდგომების დანერგვისკენ, რაც აამაღლებს ქართული კომპანიების შედარებით კონკურენტუნარიანობას სხვა ქვეყნის კომპანიებთან მიმართებით და შესაძლებლობა ექნებათ უფრო ნაკლები დანახარჯებით მიაწოდონ ბაზარზე იგივე ან უფრო უკეთესი პროდუქტი“.

მსოფლიო ბანკი, 2020

Heritage Foundation-ის 2021 წლის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“[2] თანახმად, საქართველო, 77.2 საერთო ქულით, მსოფლიოს 184 ქვეყანას შორის მე-12, ხოლო ევროპის რეგიონის 45 სახელმწიფოს შორის მე-7 ყველაზე თავისუფალ ეკონომიკად არის დასახელებული და უმეტესწილად თავისუფალი ეკონომიკების ჯგუფშია.

საერთაშორისო გამჭვირვალობის „კორუფციის აღქმის ინდექსში“[3] 2020 წელს საქართველომ მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის 56 ქულით 45-ე ადგილი დაიკავა, ხოლო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის (EECA) 19 ქვეყანას შორის კვლავ პირველ პოზიციაზეა.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების რეგიონალურ მიმოხილვაში საქართველო შეფასებულია, როგორც „სამოდელო ქვეყანა პოსტ-საბჭოთა სივრცეში, რადგან წარმოადგენს საუკეთესო შემსრულებელ (best performer) ქვეყანას მმართველობასთან დაკავშირებულ უმეტეს ინდიკატორებთან მიმართებით“.

საერთაშორისო გამჭვირვალობა, 2020

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სუვერენული საკრედიტო რეიტინგები. საერთაშორისო კაპიტალის ბაზარზე ხელმისაწვდომობისათვის ქვეყნებს ენიჭებათ სუვერენული საკრედიტო რეიტინგები. ქვეყნის საკრედიტო რეიტინგი საიმედოობის მაჩვენებელია და ის ინვესტორებს აწვდის ინფორმაციას, თუ რამდენად სარისკოა კონკრეტულ ქვეყანაში ინვესტიციების განხორციელება, ან ამ ქვეყნის სახელმწიფო და

[2] Heritage Foundation “2021 Index of Econmomic Freedom”; იხ. https://www.heritage.org/index/
[3] Transparency International “Corruption Perceptions Index 2020”; იხ. https://www.transparency.org/en/cpi/2020/index/geo

კერძო სექტორისთვის ფულის სესხება. საკრედიტო რეიტინგებს განსაკუთრებით გავლენა აქვს საერთაშორისო სასესხო კაპიტალსა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე. რაც მეტია რეიტინგი, მით უფრო ნაკლებ პროცენტში აქვს ქვეყანას სესხის აღების შესაძლებლობა, ხოლო პოტენციურ ინვესტორებს უადვილებს გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა[4]. სარეიტინგო კომპანია „Fitch"-მა 2019 წლის თებერვალში გააუმჯობესა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი „BB-"-დან „BB"-მდე, სარეიტინგო კომპანია „S&P"-მა 2019 წლის ოქტომბერში საქართველოს სუვერენული რეიტინგი "BB-"დან „BB" - მდე გააუმჯობესა, ხოლო 2017 წლის სექტემბერში Moody's-მა გააუმჯობესა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი Ba3-დან Ba2-მდე.

მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსი

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD), რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტია მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობა, ევროპის განათლების ფონდთან (ETF) და IBRD-თან ერთად შეიმუშავა „მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსი"[5] (SME Policy Index) კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც ქვეყნებს აფასებს არსებული მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერ პოლიტიკის „ევროპის მცირე ბიზნესის აქტთან" შესაბამისობის თვალსაზრისით.

"მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის ინდექსი" ქვეყნდება ოთხ წელიწადში ერთხელ. „SME Policy Index 2020" წარმოადგენს 2012 და 2016 წლებში ჩატარებული კვლევების შემდგომ ჩატარებულ კვლევის მე-3 რაუნდს.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) „მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსი" საქართველოს, აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნებთან ერთად (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, მოლდოვა, უკრაინა) აფასებს მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის მიმართულებით.

„წარმატებული რეფორმებით მიღწეულ შედეგებზე დაყრდნობით, საქართველომ, 2016 წლის შემდეგ, უფრო პროაქტიური პოლიტიკა აირჩია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიმართ და მიზნობრივი ინიციატივების განხორციელების მეშვეობით ამ სფეროში მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. მცირე და საშუალო მეწარმეობის 2016-2020 წლების სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმების განხორციელებით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამეწარმეო სწავლება და ქალთა მეწარმეობის მიმართულებით მიღწეული შედეგები, ბიზნესის რეგისტრაციის და ელექტრონული მმართველობის სერვისების შემდგომმა განვითარებამ მცირე და საშუალო ბიზნესის საოპერაციო გარემო გააუმჯობესა".

[4] საქართველოს სუვერენული რეიტინგები; იხ. https://tradingeconomics.com/georgia/rating

[5] OECD, SME Policy Index: Eastern Partner Countries 2020 იხ. https://www.oecd.org/publications/sme-policy-index-eastern-partner-countries-2020-8b45614b-en.htm

რეიტინგი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს აფასებს 12 კომპონენტის მიხედვით, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა 34 ქვეკომპონენტად. რეიტინგი მცირე და საშუალო მეწარმეობასთან მიმართებით ქვეყნებს აფასებს 1-დან 5 ქულამდე.

საქართველომ 2020 წლის რეიტინგში უპრეცედენტო წარმატებას მიაღწია. ანგარიშის თანახმად, საქართველოს შეფასება და შესაბამისად ქულა (წინა 2016 წლის რეიტინგთან შედარებით) რეიტინგის 12 კომპონენტიდან 12-ვეში გაუმჯობესდა, ხოლო 12-დან 9 კომპონენტში ქვეყანა უმაღლესი ქულით შეფასდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის. რეიტინგი შემდეგ 12 კომპონენტს აფასებს: ინსტიტუციური და მარეგულირებელი გარემო; სამეწარმეო/ოპერაციული გარემო; გაკოტრება და მეორე შანსი; სამეწარმეო სწავლება და ქალთა მეწარმეობა; სამეწარმეო უნარები; მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა; სახელმწიფო შესყიდვები; სტანდარტები და ტექნიკური რეგულაციები; ინტერნაციონალიზაცია; დამხმარე სერვისები მეწარმეობისა და start-up-ებისთვის; ინოვაციები და მწვანე ეკონომიკა.

დიაგრამა 2. SME პოლიტიკის ინდექსი, 2020



წყარო: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD)

OECD-ის ანგარიშის თანახმად, საქართველომ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისადმი უფრო მეტად სტრატეგიული მიდგომითა და შესაბამისი მიზნობრივი ინიციატივების განხორციელებით შემდგომი პროგრესი განიცადა და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ამასთან, კვლევის თანახმად, საქართველომ განსაკუთრებით შთამბეჭდავი ნაბიჯები გადადგა სამეწარმეო სწავლების, ასევე, მცირე და საშუალო მეწარმეობის ოპერაციული გარემოს გაუმჯობესების მიმართულებებით.

ბიზნესგარემო

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითად პრინციპს კერძო სექტორის განვითარება და ხელშეწყობა წარმოადგენს. სამეწარმეო სექტორი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის განვითარებაში და საგრძნობი წვლილი შეაქვთ მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. მცირე და საშუალო საწარმოები, დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით, ასევე, ეკონომიკის განვითარებასა და ზრდაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ქვაკუთხედად მიიჩნევა.

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და ხელშეწყობა წარმოადგენს. მეწარმეობის მხარდამჭერი ერთიანი პოლიტიკის შემუშავების მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წელს დამტკიცდა საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის და შესაბამისი სამოქმედო გეგმები. სტრატეგია სრულ შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ევროპული მცირე ბიზნესის აქტის ძირითად პრინციპებთან და მასში გათვალისწინებული იქნა ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პოლიტიკის კუთხით. სტრატეგიის მთავარ მიზანად განისაზღვრა ქვეყანაში კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაძლიერება, როგორც შიდა, ისე გარე ბაზრებზე, რაც ეფუძნება ადამიანური კაპიტალის განვითარებას, სამეწარმეო კულტურის ჩამოყალიბებას, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, ინოვაციებისა და კვლევების განვითარებას და სხვა.

სტრატეგიით განისაზღვრა სამიზნე მაჩვენებლები, რაც ითვალისწინებს 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების წლიურ 10%-იან ზრდას, ასევე საბაზისო წელთან (2013 წ.) მიმართებით დასაქმებულთა 15%-იან და მწარმოებლურობის 7%-იან ზრდას.

აღსანიშნავია, რომ „საქსტატის“ მონაცემების თანახმად სტრატეგიის განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლები შემდეგი სახით შესრულდა:

- ✓ 2014-2020[6] წლებში მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების საშუალო წლიური ზრდა **10,0%-ია**;
- ✓ 2019 წ. მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა **32%-ია**;
- ✓ 2019 წ. მწარმოებლურობის ზრდამ **14.2%** შეადგინა[7].

2016-2020 წლების სტრატეგია მოიცავს 5 ძირითად სტრატეგიულ მიმართულებას, როგორიცაა საკანონმდებლო, ინსტიტუციური ბიზნეს გარემოს შემდგომი გაუმჯობესება; ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის, სამეწარმეო უნარების და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის განვითარება; ექსპორტის წახალისება და მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია; ინოვაციების და კვლევისა და განვითარების (R&D) მხარდაჭერა. აღნიშნული სტრატეგიული მიმართულებები, თავის მხრივ, მოიცავდა პოლიტიკის შესაბამის პრიორიტეტულ ღონისძიებებს და ქმედებებს.

სტრატეგიის სამოქმედო გეგმების შესრულების წლიური ანგარიშები მომზადდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ცენტრალური აპარატის და სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების, ასევე, სამოქმედო გეგმით კონკრეტულ აქტივობათა განმახორციელებელ უწყებათა მიერ შესაბამისი აქტივობების შესრულების საფუძველზე. წლიური ანგარიშები შემუშავებული იქნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ.

წინამდებარე დოკუმენტში შეფასებულია „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2016-2020 წლების სტრატეგიის“ 5 წლიანი პერიოდის სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიების ფარგლებში მიღწეული შედეგები და მათი გავლენა. აღსანიშნავია, რომ „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის“ პრიორიტეტული მიმართულებების შესრულების ინდიკატორები 100%-ით იქნა შესრულებული.

---

[6] *შენიშვნა:* 2020 წლის 4 კვარტლის მონაცემებით, მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა ბრუნვა წინა წელთან შედარებით 9,1 პროცენტით შემცირდა, რამაც 2014-2019 წლებში არსებული საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებლის 3,2 პროცენტული პუნქტით შემცირება გამოიწვია და შედეგად, 10% შეადგინა.

[7] *მეთოდოლოგია:* მცირე და საშუალო საწარმოთა დეფლირებული (მშპ-ს ჯაჭვური ინდექსი) დამატებული ღირებულება შეფარდებული მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობაზე.

მეთოდოლოგია

დოკუმენტში შეფასებულია „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2016-2020 წლების სტრატეგიის“ სამოქმედო გეგმებით 5 წლის პერიოდში გათვალისწინებული ღონისძიების ფარგლებში მიღწეული შედეგები და მათი გავლენა.

შეფასება განხორციელდა შიდა მეთოდის გამოყენებით და ჩატარდა თვისებრივი ანალიზი. ანგარიში მომზადდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ.

შეფასების ანგარიში ეფუძნება შემდეგ დოკუმენტებს და ანგარიშებს:

- საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2016-2020 წლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმების შესრულების ყოველწლიურ ანგარიშებს (2016-დან 2020 წლის ჩათვლით);
- საჯარო უწყებების წლიურ ანგარიშებს;
- საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების ანგარიშებს;
- საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების შეფასებებს;
- არასამთავრობო და კვლევითი ორგანიზაციების ანგარიშებს.

შეფასების დოკუმენტი მომზადებულია „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“[8] საქართველოს მთავრობის N629 დადგენილებით დამტკიცებული „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს“ დანართი N8-ის შესაბამისად.

შეფასების დაგეგმვის პროცესში შეფასების მასშტაბი ორი ძირითადი პარამეტრის მიხედვით განისაზღვრა - შეფასების საკითხებით და შეფასების კრიტერიუმებით.

შეფასების მასშტაბი განისაზღვრა შეფასების **საკითხების მიხედვით,** რომელიც მოიცავს პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებულ პრიორიტეტებს და მიზნებს. შეფასება კი განხორციელდა **4 ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით** - შესაბამისობა, ეფექტურობა, მდგრადობა და გავლენა**,** რომელიც შეირჩა პოლიტიკის შეფასების სახელმძღვანელოს შესაბამისად განსაზღვრული 5 ძირითადი კრიტერიუმიდან (შესაბამისობა, ეფექტურობა, ეფექტიანობა, მდგრადობა და გავლენა). აღნიშნული კრიტერიუმები დაფუძნებულია OECD/DAC[9] მიდგომაზე.

თითოეული კრიტერიუმი შემდეგ კითხვებს პასუხობს.

---

[8] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილების „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ იხ. https://matsne.gov.ge/document/view/4747283?publication=0

[9] ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, იხ. https://www.oecd.org/dac/

შესაბამისობა - რამდენად შეესაბამება მიზნები და ამოცანები ბენეფიციარებისა თუ ქვეყნის საჭიროებებს, გლობალურ პრიორიტეტებსა და პარტნიორთა და დონორთა პოლიტიკას;

ეფექტურობა - მიღწეულია თუ არა მიზნები და ამოცანები, ან რამდენად მოსალოდნელია ეს მათი პრიორიტეტულობის გათვალისწინებით;

მდგრადობა - რამდენად განგრძობადია განვითარების სფეროში ჩარევის სარგებლის მოქმედება ჩარევის დასრულების შემდეგ და როგორია ხანგრძლივ პერსპექტივაზე გათვლილი სიკეთეების გაგრძელების ალბათობა;

გავლენა - როგორია განვითარების სფეროში ჩარევის შედეგები: პირდაპირი/არაპირდაპირი, გამიზნული/დაუგეგმავი, პოზიტიური/ნეგატიური, მთავარი/მეორეული.

შერჩეულ კრიტერიუმებთან მიმართებით შეირჩა დამატებითი კითხვები:

კრიტერიუმი	კითხვები
შესაბამისობა	• არის პოლიტიკის მიზნები და ამოცანები ჯერ კიდევ აქტუალური? • პასუხობს პოლიტიკა ბენეფიციარების საჭიროებებს? • რამდენად კარგად პასუხობს პოლიტიკის აქტივობები და აქტივობის შედეგები პრობლემას, ამოცანებსა და მიზნებს? • რამდენად კარგად არის მორგებული რეფორმა იმ ცვლილებებზე, რომელიც შეიძლება დადგეს ზოგად კონტექსტში.
ეფექტურობა	• რამდენად იქნა (ან იქნება) მიზნები და ამოცანები მიღწეული? • რამდენად დროულად მოხდა მიზნებისა და ამოცანების მიღწევა? • რამდენად პასუხობს გამოვლენილი ეფექტები მიზნებსა და ამოცანებს? • რა ძირითადმა მიზეზებმა გამოიწვია ამოცანებისა და მიზნების მიუღწევლობა (არსებობის შემთხვევაში)?
გავლენა	• რა შეიცვალა პოლიტიკის განხორციელების შედეგად? • რა შეცვალა პოლიტიკის განხორციელებამ სხვადასხვა ბენეფიციარი ჯგუფებისა და საზოგადოებისთვის? • რა ეფექტი ჰქონდა პოლიტიკას სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის?
მდგრადობა	• გაგრძელდება ის სარგებელი, რომელიც პოლიტიკის განხორციელებას მოჰყვა? • რამდენად შეიძლება დაფიქსირებული გავლენა გრძელვადიანი იყოს? • რა შეიძლება გაკეთდეს მიღწეული შედეგების მდგრადობისთვის? • რა ინსტიტუციური გადაწყვეტილებები შეიძლება არსებობდეს სარგებლის შენარჩუნებისთვის?

შედეგად, შეფასების დოკუმენტი მომზადდა შემდეგი საფეხურების მიხედვით: განისაზღრა შეფასების მასშტაბი და გეგმა, განხორციელდა მონაცემების და შეფასებების ანალიზი, იდენტიფიცირებული იქნა ძირითადი მიგნებები და გამოწვევები, მომზადდა რეკომენდაციები.

შეფასების მიგნებები

- გადახდისუუნარობის მიმართულებით განხორციელებული რეფორმების შედეგად, მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ რეიტინგის გადახდისუუნარობის ინდიკატორში საქართველოს სარეიტინგო ქულა 40.02-დან 55.59 ქულამდე გაიზარდა.
- 2020 წელს თბილისის, რუსთავის და მცხეთის სასამართლოების მიერ სასამართლო მედიაციას სულ გადაეცა 140 საქმე, მათ შორის საბანკო, მიკროსაფინანსო და არასაბანკო სადეპოზიტო ტიპის დავები, შრომითი სამართლებრივი დავები, სამემკვიდრეო, სამეზობლო და ბიზნეს დავები. საერთო ჯამში, 2020 წელს, არსებულმა მორიგების მაჩვენებელმა 64% შეადგინა. 2020 წლის პერიოდში დასრულებული ყველა სასამართლო მედიაცია დასრულდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1875-ე მუხლით გათვალისწინებულ 45 დღიან ვადაში.
- პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის, ტექნიკური მხარდაჭერისა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტების შედეგების შეფასების თანხმად (2018 წლისთვის), პროგრამის ბენეფიციარების მიერ შექმნილი მშპ-ს მოცულობა 164 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს, სადაც 54% (88 მლნ. ლარი) შექმნილია არსებული საწარმოების გაფართოების, ხოლო 46% (76 მლნ. ლარი) - სტარტაპების მიერ.
- ორგანიზაცია "Open Data Watch"-ის ღია მონაცემთა აღწერის 2021 წლის ანგარიშის მიხედვით, პირველად ისტორიაში, საქართველოს სტატისტიკის სისტემა ევროპის საუკეთესო ოცეულში დასახელდა, ხოლო რეგიონში საქართველოს სტატისტიკის სისტემა ლიდერია და პირველ ადგილს იკავებს.
- მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ რეიტინგის კრედიტზე ხელმისაწვდომობის ინდიკატორში 2020 წელს საქართველო 85 ქულით მე-15 პოზიციას იკავებს. ამასთან, ინდიკატორის სამი კომპონენტიდან 2 კომპონენტში უმაღლესი შეფასება აქვს, როგორიცაა, საკრედიტო ინფორმაციის სიღრმის ინდექსი და საკრედიტო რეესტრის მოცულობა.
- ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინოვაციური ეკოსისტემის განვითარების მიზნით საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ 35 მილიონი ლარის დაფინანსება გასცა უნიკალურ მაღალტექნოლოგიურ ინოვაციურ იდეებზე. 2016-2020 წლებში მცირე გრანტების ფარგლებში დაფინანსდა 392 პროექტი და გაიცა 1,671,901 ლარის ოდენობის დაფინანსება.

- შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში 2016-2020 წლებში ბანკების მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტის მოცულობამ 1,764.7 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო კრედიტის პროცენტის სახელმწიფო თანადაფინანსებამ - 319.9 მლნ. ლარი. პროექტის „შეღავათიანი აგროკრედიტის“ ფარგლებში შეიქმნა 11,200-მდე ახალი სამუშაო ადგილი. 2014-2019 წლებში ინვესტიციების მოცულობამ 80 მილიონ ლარს გადააჭარბა, ხოლო სახელმწიფო თანადაფინანსებამ გრანტის სახით 28.9 მლნ. ლარი შეადგინა, რომლის წილიც ჯამურ ინვესტიციაში საშუალოდ 36%-ს გაუტოლდა. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ბენეფიციართა მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების მოცულობამ 2016-2019 წლებში 598.8 მლნ. ლარი შეადგინა.
- საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული სესხების ნაკადების მოცულობამ 2020 წელს, პანდემიის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირებული ეკონომიკური აქტივობის მიუხედავად 5,742.2 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 2016 წლის მაჩვენებელს 18.9%-ით აღემატება. 2020 წლის ბოლოს მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული სესხების წილმა მთლიან სესხებში 20.4% შეადგინა, რაც 2019 წელს - 22.1%-ს, ხოლო 2016 წელს 23.5%-ს შეადგენდა.
- პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 2016-2019 წლებში 56%-დან 62%-მდე გაიზარდა. წლების განმავლობაში გამოკითხულ მამაკაცთა დაახლოებით 62%-ია დასაქმებული, ხოლო ქალი რესპონდენტებიდან - საშუალოდ 51%.
- განათლების სისტემის განვითარების მიზნით შეიქმნა პროფესიული საბჭოები. 2020 წლის ბოლოსთვის ფორმირებული იქნა 12 მიმართულების დარგობრივი საბჭო, სადაც ჩართულია შესაბამისი სფეროს დამსაქმებლების და მათი გაერთიანების 26 წარმომადგენელი.
- მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში, 2015-2020 წლის მონაცემებით, სააგენტოს "აწარმოე საქართველოში" მიერ მხარდაჭერილია 6 ათასზე მეტი პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობამ 61 მლნ. ლარზე მეტი შეადგინა და ჯამში სულ დაფინანსდა 10,000-მდე ბენეფიციარი.
- საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარგლებში 2020 წელს დეპოზიტებზე გადარიცხული თანხის მოცულობამ 31,486,320 ლარი შეადგინა.
- ქალთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა დადებითად შეფასდა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „მსოფლიო გენდერული გეფის“ რეიტინგში. საქართველო 2021 წლის რეიტინგში წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად, 25 პოზიციით დაწინაურდა და მსოფლიოს 156 ქვეყანას შორის

0.732 ქულით 49-ე ადგილი, ხოლო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის 26 ქვეყანას შორის კი მე-12 პოზიცია დაიკავა.

- საქართველო-ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი სავაჭრო სიტემის ფორმირებას, ახალი საწარმოების და საექსპორტო პროდუქციის შექმნას, ქართული პროდუქციის საექსპორტი ბაზრების დივერსიფიცირებას და გაფართოებას. 2020 წელს ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის წილმა მთლიანი ექსპორტის 20.9% შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელსაც აღემატება (2019 წელს 20.8%-ს შეადგენდა). ამასთან, ევროკავშირში უმსხვილეს სამ საექსპორტო ქვეყანაში - ბულგარეთი, ესპანეთი, გერმანია, რომელზეც ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის 65.7% მოდის და ნომინალში 457.9 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს - ექსპორტის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 19.1%-ით არის გაზრდილი.
- სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელშეწყობით EEN-ის პლატფორმაზე დარეგისტრირდა 5 ქართული კომპანია, რომელთაც შეძლეს საერთაშორისო პარტნიორებთან დაკავშირება, განთავსდა ქართული კომპანიების 11 ახალი კომერციული წინადადება.
- საქართველოს მასშტაბით 6 ქალაქში - თბილისში, ზუგდიდში, თელავში, ბათუმში, გურჯაანსა და კასპში შექმნილია ტექნოპარკები, ხოლო ხარაგაულში, ჭოპორტში, ბაღდათში, ახმეტასა და რუხში ინოვაციების რეგიონალური ცენტრები.

მიზანთან და მის შესაბამის ამოცანებთან დაკავშირებით მიღწეული პროგრესი

1. სამართლებრივი, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება

1.1 ბიზნესის დახურვის და გადახდისუუნარობის პროცედურების გაუმჯობესება

- ✓ **შესაბამისობა**

ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესების ფარგლებში მნიშვნელოვან პრიორიტეტად განისაზღვრა ბიზნესის დახურვის და გადახდისუუნარობის პროცედურების გაუმჯობესება. გადახდისუუნარობის ეფექტიანი კანონმდებლობა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებისთვის. მოქნილი მექანიზმების არსებობას და პროცესის განჭვრეტადობას ფინანსური პრობლემების წინაშე მდგომი საწარმოს ფუნქციონირების შენარჩუნებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის.

არსებული კანონი, მიუხედავად წლების განმავლობაში სხვადასხვა დროს მასში შეტანილი ცალკეული ცვლილებებისა, ვერ პასუხობდა არსებულ გამოწვევებს და შესაბამისად, გამოვლინდა ამ სფეროში ძირეული რეფორმის გატარების აუცილებლობა.

გადახდიუუნარობის სფეროში კანონპროექტზე მუშაობა 2016 წელს დაიწყო სახელმწიფო უწყებების და პრაქტიკოსი იურისტების მონაწილობით, ხოლო საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობა კანონპროექტზე მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოფილი იყო დონორი ორგანიზაციების და საერთაშორისო პროექტების (GIZ, USAID, CLDP) ხელშეწყობით.

- ✓ **ეფექტურობა**

საერთაშორისო პრაქტიკის, არსებული ინფორმაციის ანალიზის და საჯარო-კერძო განხილვების საფუძველზე შემუშავებულ იქნა კანონპროექტი, ხოლო საქართველოს პარლამენტის მიერ 2020 წლის 18 სექტემბერს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“[10], რომელიც სრულად ამოქმედდა 2021 წლის პირველი აპრილიდან.

აღნიშნული კანონი არ წარმოადგენდა ერთი რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობის პირდაპირ ანალოგს, არამედ უფრო მეტად არის სისტემათა საუკეთესო მიგნებების კომბინაცია, რომელიც მორგებულია ქართულ რეალობას.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით კანონის მიღებამდე განხორციელდა რეგულირების ზეგავლენის შეფასება (Regulatory Impact Assessment), სადაც ინიცირებული პროექტი შეფასდა ანტიკორუფციული რისკების თვალსაზრისით, საერთაშორისო რეიტინგების ინდიკატორებზე დაყრდნობით, კონკრეტული მაგალითის კვლევის საფუძველზე, გაეროს 2030 დღის წესრიგთან მიმართებით და სხვ.

ექსპერტების დასკვნით, მიღებული კანონი არის თანამედროვე, კარგად ჩამოყალიბებული, გამჭვირვალე და ეკონომიკურად ჯანსაღი საკანონმდებლო აქტი. კანონში გათვალისწინებულია ამ სფეროში მოქმედი თითქმის ყველა სახელმძღვანელო პრინციპი. ყველაზე დიდ ცვლილებას და მნიშვნელოვან გაუმჯობესებას წარმოადგენს მოვალის საწარმოს რეაბილიტაცია, როცა ამის შესაძლებლობა არსებობს. ასევე, კრედიტორების როლის მნიშვნელოვანი გაძლიერება, მოქმედ კანონთან შედარებით კრედიტორთა რიგითობის უფრო სამართლიანად განსაზღვრება და სხვ. საწარმოს გაკოტრების/რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების სასამართლოს მიერ მიღება - მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია კორუფციული რისკების შემცირების თვალსაზრისით. ამდენად, კანონი კიდევ ურო პოზიტიურ გავლენას იქონიებს საქართველოს პოზიციაზე მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ რეიტინგში.

- ✓ **გავლენა**

მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“[11] რეიტინგის ერთ-ერთი ინდიკატორია გადახდისუუნარობა, რომელიც მსოფლიოს 190 ქვეყანას აფასებს საწარმოს გადახდისუუნარობის ან რეაბილიტაციის პროცესის დასრულებისთვის საჭირო დროის, დანახარჯისა და გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შედეგის მიხედვით, ასევე, გადახდისუუნარობის სისტემის ეფექტიანობის თვალსაზრისით.

თავის მხრივ, აღსანიშნავია 2017 წლის მაისში „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები, რომლის თანახმად გაძლიერდა როგორც მოვალის, ასევე კრედიტორ(ებ)ის უფლებები. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილები და მისი პრაქტიკაში დანერგვა დადებითად აისახა მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ რეიტინგში საქართველოს შეფასებაზე. კერძოდ,

[10] “რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ” საქართველოს კანონი, 18.09.2020 წ. იხ. https://matsne.gov.ge/document/view/4993950?publication=0
[11] მსოფლიო ბანკი, „ბიზნესის კეთება“ 2020; იხ. https://www.doingbusiness.org/en/doingbusiness

მაშინ როდესაც 2017 წელს საქართველოს სარეიტინგო ქულა საუკეთესო მაჩვენებელიდან დაშორებით (DTF) მხოლოდ 40.02-ს შეადგენდა, საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, 2018 წელს საქართველოს ქულა (DTF) მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და 55.59 ქულას გაუტოლდა. 2019 და 2020 წლების რეიტინგის კვლევაში ქვეყნის სარეიტინგო ქულები კიდევ უფრო გაუმჯობესდა და შესაბამისად, 56.03 და 56.20 ქულა შეადგინა.

იმის გათვალისწინებით, რომ 2020 წელს მიღებული კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ სრულ შესაბამისობაშია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საქართველოში ბიზნესის რეაბილიტაციის ან დახურვის პროცესებს, რაც პოზიტიურად აისახება მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ რეიტინგზე.

- ✓ **მდგრადობა**

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის მიღება ქმნის ისეთ სამართლებრივ გარემოს, რომელშიც იარსებებს რეაბილიტაციის წამახალისებელი ეფექტიანი მექანიზმები და ყველა კრედიტორის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მაქსიმალურად ეფექტიანად და სამართლიანად დაცვის გარანტიები. შესაბამისად, კანონის მიღებითა და მისი აღსრულების დაწყებით, დასაბამი მიეცემა საწარმოთა რეაბილიტაციის პროცესის მდგრადობას.

აღსანიშნავია, რომ რეგულირების ზეგავლენის ანგარიშში განხილული იქნა ეკონომიკურ კეთილდღეობასა და გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩოს შორის კორელაცია, რომლის შედეგებით გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩო უაღრესად მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსური ბაზრის განვითარებაზე, ფინანსური ბაზრები კი, თავის მხრივ, ეკონომიკური პროგრესის უმნიშვნელოვანესი საფუძველია. ამდენად, ძლიერი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების სისტემები და კრედიტების დაცვა გამოიწვევს კაპიტალისა და კრედიტების ბაზრების განვითარებას, გააუმჯობესებს საწარმოების ფინანსურ პირობებს, ხელს შეუწყობს მეწარმეობას და საწარმოების დაფუძნებას.

1.2 მედიაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა

- ✓ **შესაბამისობა**

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმება საქართველოს ავალდებულებს განავითაროს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული

საშუალებები, განსაკუთრებით კი, მედიაცია და არბიტრაჟი და შექმნას მათი გამოყენებისთვის ხელსაყრელი პირობები.

მედიაცია დავების მოგვარების ერთ-ერთი მეთოდია, რომლის დროსაც მიუკერძოებელი მხარე (მედიატორი) მოდავე მხარეებს ურთიერთმისაღები შეთანხმების მიღწევაში ეხმარება. სასამართლო მედიაციის მიზანია ხელი შეუწყოს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასა და ეფექტიანობის გაზრდას და თავის მხრივ, სასამართლოს მაქსიმალურად განტვირთვას ისეთი დავებისაგან, რომლებსაც აქვთ ურთიერთშეთანხმებით დასრულების პერსპექტივა. მედიაციის გზით მიღწეული მორიგება სავალდებულოა და ექვემდებარება როგორც ნებაყოფლობით, ისე სასამართლოს წესით აღსრულებას. სასამართლოში საქმის წარმოებასთან შედარებით მედიაცია უფრო სწრაფი, იაფი და მოქნილი პროცესია.

- ✓ **ეფექტურობა**

„მედიაციის შესახებ“[12] საქართველოს კანონი 2020 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა და მიზნად ისახავს დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარების ხელშეწყობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული დავების სახეებს, მათ შორის, როგორიცაა, საოჯახო, სამემკვიდრეო, სამეზობლო, შრომითი, ქონებრივი და არაქონებრივი დავები, საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების მიერ დადებული სესხის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავები და სხვა. მოსამართლეებს საქმეში არსებული გარემოებების შეფასების შემდგომ, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში აქვთ შესაძლებლობა საქმე განსახილველად მედიატორს გადასცენ, მათ შორის, მხარეთა თანხმობის გარეშე. იმ შემთხვევაში თუ იმავე დავაზე გამოყენებული იქნა კერძო მედიაციის შესაძლებლობა და იგი უშედეგოდ დასრულდა - მხარეთა თანხმობით, იღებს გადაწყვეტილებას დავის საქმის მედიატორისთვის გადაცემის შესახებ. საქმეებს საქართველოს მედიატორთა ასოციაციაში გაწევრიანებული მედიატორები იხილავენ. სასამართლო მედიაციის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის საფასური დავის საგნის ღირებულების 1%-ს შეადგენს (ნაცვლად 3%-ისა), ხოლო დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების შემთხვევაში მოსარჩელეს უბრუნდება გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.

[12] საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, 18.09.2019წ. იხ. https://matsne.gov.ge/document/view/4646868?publication=1

2020 წელს საქართველოს მასშტაბით სასამართლო მედიაცია სავალდებულო სახით დაინერგა თბილისის[13] და რუსთავის საქალაქო სასამართლოებში[14] და მცხეთის რაიონულ სასამართლოში[15]. 2021 წლიდან დაგეგმილია სასამართლო მედიაციის ქვეყნის მასშტაბით სრულად დანერგვა.

- ✓ **გავლენა**

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილებით, 2020 წელს მედიაციას გადაეცა 101 საქმე, რაც 3-ჯერ აღემატება 2019 წელს მიღებულ საქმეთა რაოდენობას. აღნიშნული ძირითადად განპირობებული იყო როგორც ნებაყოფლობითი მედიაციის არსებობით, ასევე 2020 წლის იანვრიდან სავალდებულო მედიაციის ინსტიტუტის გაჩენით და ამოქმედებით. 2020 წელს მორიგების მაჩვენებლის მხრივ, განსაკუთრებით წარმატებული დავის კატეგორიებს შორის იყო შრომითი, მიკროსაფინანსო, საბანკო და ბიზნეს-პარტნიორული ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავები. თავის მხრივ, საერთო ჯამში არსებული მორიგების მაჩვენებელმა 70% შეადგინა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილებით, 2020 წელს სასამართლო მედიაციას გადაეცა 19 საქმე. აღნიშნული დავებიდან 14 საქმე წარმოადგენდა საოჯახო სამართლებრივ დავას, ხოლო 5 საქმე წარმოადგენდა საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების მიერ დადებული სესხის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავას. 2020 წელს სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული 19 საქმიდან 13 საქმე დასრულდა მხარეთა შეთანხმებით (76.5%), 4 საქმე დაუბრუნდა მოსამართლეს წარმოების განსაახლებლად, ხოლო 2 საქმეზე გაგრძელდა სასამართლო მედიაციის პროცედურები. 2020 წელს დასრულებულ 17 საქმეზე ჩატარდა 29 სასამართლო მედიაცია. აღნიშნულ პერიოდში დასრულებული ყველა სასამართლო მედიაცია (17 საქმე) დასრულდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187^5-ე მუხლით გათვალისწინებულ 45 დღიან ვადაში.

მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ 2020 წელს სასამართლო მედიაციას გადაეცა 20 საქმე. სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული 20 საქმიდან 6 საქმე დასრულდა მხარეთა შეთანხმებით, 10 საქმე დაუბრუნდა მოსამართლეს წარმოების განსაახლებლად, ხოლო 4 საქმეზე გაგრძელდა სასამართლო მედიაციის პროცედურები. სასამართლო მედიაციის მიერ განხილულ საქმეთა კატეგორიებს შორის იყო შრომითი, სამემკვიდრეო, სამეზობლო და ბიზნეს დავები.

---

[13] თბილისის საქალაქო სასამართლო, იხ. https://tcc.court.ge/ka/Mediators
[14] რუსთავის საქალაქო სასამართლი, იხ. https://court.ge/courts/rustavis_saqalaqo_sasamartlo/?page=653
[15] მცხეთის რაიონული სასამართლო, იხ. https://court.ge/courts/mCxeTis_raionuli_sasamarTlo/?page=25

2020 წელს თბილისის, რუსთავის და მცხეთის სასამართლოების მიერ სასამართლო მედიაციას სულ გადაეცა 140 საქმე, მათ შორის საბანკო, მიკროსაფინანსო და არასაბანკო სადეპოზიტო ტიპის დავები, შრომითი სამართლებრივი დავები, სამემკვიდრეო, სამეზობლო და ბიზნეს დავები. საერთო ჯამში, 2020 წელს, არსებულმა მორიგების მაჩვენებელმა 64% შეადგინა.

2020 წლის პერიოდში დასრულებული ყველა სასამართლო მედიაცია დასრულდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187[5]-ე მუხლით გათვალისწინებულ 45 დღიან ვადაში.

- ✓ **მდგრადობა**

„მედიაციის შესახებ“ კანონის მიღებამ, ერთის მხრივ, უზრუნველყო საერთაშორისო ვალდებულებების დაკმაყოფილება, ხოლო მეორეს მხრივ, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების შემოღება ხელს უწყობს სამოქალაქო დავების სიმრავლის გადატვირთული სასამართლოების განტვირთვას და საქმეების კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დასრულებას. მედიაციის, როგორც ალტერნატიული დავების მექანიზმის აქტუალურობა, უზრუნველყოფს მის მდგრადობას.

1.3 მცირე და საშუალო საწარმოთა განახლებული მეთოდოლოგიით წარმოებული სტატისტიკის გაფართოება

- ✓ **შესაბამისობა**

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავა საწარმოთა ზომის განსაზღვრის ახალი მეთოდოლოგია[16]. საქართველოში საწარმოთა ზომის განმსაზღვრელი მეთოდოლოგიის დაახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან, ერთ-ერთ რეკომენდაციად არის მოხსენიებული ევროსტატის სექტორული მიმოხილვის დოკუმენტში. აღნიშნული ცვლილებით საწარმოთა სტატისტიკა მაქსიმალურად დაუახლოვდა ევროკავშირის სტანდარტებს და გახდა შესადარი საერთაშორისო მაჩვენებლებთან.

- ✓ **ეფექტურობა**

საწარმოთა ზომის განმსაზღვრელი ამ დრომდე მოქმედი მეთოდოლოგია 2002 წელს შემუშავდა და ეყრდნობოდა საწარმოთა ბრუნვისა და დასაქმებულთა საშუალო წლიური

[16] საქსტატი, „ბიზნეს სტატისტიკის ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგია“, იხ. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/121/methodologia-biznes-statistika

რაოდენობის მაჩვენებლებს. ცვლილების თანახმად, საწარმოთა ზომის განსაზღვრა კვლავ დასაქმებულთა რაოდენობისა და ბრუნვის მაჩვენებლის კრიტერიუმის გამოყენებით განხორციელდა. თუმცა, დასაქმებულთა რაოდენობის დიაპაზონის განსაზღვრისას გამოყენებულ იქნა ევროსტატის მიერ შემოთავაზებული კრიტერიუმები, ხოლო ბრუნვის მაჩვენებლის დიაპაზონის განსაზღვრა განხორციელდა მსყიდველობითი უნარის პარიტეტის (Purchasing Power Parities) გამოყენებით[17].

2017 წლიდან საწარმოთა ზომის განსაზღვრის შემდეგი მეთოდოლოგია მოქმედებს: მსხვილ საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ. ლარს. საშუალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 კაცამდე, ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ. ლარიდან 60 მლნ ლარამდე. მცირე ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნ. ლარს.

შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით ეტაპობრივად განხორციელდა წინა პერიოდის მონაცემების გადაანგარიშება, კერძოდ, საქართველოს საქსტატის მიერ, განხორციელდა მცირე და საშუალო საწარმოთა განსაზღვრის ძველი მეთოდოლოგიით გაანგარიშებული სტატისტიკის გადაანგარიშება განახლებული მეთოდოლოგიით. შედეგად, ახალი მეთოდოლოგია სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, ხოლო დროითი მწკრივი გადაანგარიშებულია 1999 წლიდან.

- ✓ **გავლენა**

ახალი მეთოდოლოგიის შედეგად, მნიშვნელოვნად შეიცვალა საწარმოთა სტრუქტურული გადანაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით, რაც საერთაშორისო პრაქტიკასთან მაქსიმალურად თანხვედრაშია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საწარმოთა ბრუნვისა და დასაქმების მაჩვენებლის ცვლილების შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა მსხვილ საწარმოთა რაოდენობა და გაიზარდა მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა რაოდენობა, კერძოდ, 2019 და 2020 წლებში მცირე და საშუალო საწარმოთა წილმა მთლიან მოქმედ საწარმოებში 99,7%-ს შეადგინა.

- ✓ **მდგრადობა**

[17] 2017 წლამდე საწარმოთა ზომა განისაზღვრებოდა შემდეგი მეთოდოლოგიით: მსხვილი საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 100 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 1.5 მლნ. ლარს. საშუალო ზომის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 20-დან 100 კაცამდე, ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 0.5 მლნ. ლარიდან 1.5 მლნ. ლარამდე. მცირე ზომის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 20 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 0.5 მლნ. ლარს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ბიზნეს სტატისტიკის მეთოდოლოგიის დაახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის ფარგლებში სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვის პროცესს, მცირე და საშუალო მეწარმეების საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებას.

1.4 საწარმოთა სტატისტიკის გაუმჯობესება

- ✓ **შესაბამისობა**

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს ოფიციალური სტატისტიკის წარმოებასა და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად. საქსტატის საქმიანობა ეფუძნება ოფიციალური სტატისტიკის ძირითად პრინციპებს, როგორიცაა ობიექტურობა და საყოველთაო ხელმისაწვდომობა. ოფიციალური სტატისტიკა არის უმნიშვნელოვანესი ელემენტი, რომელიც ხელისუფლების ორგანოებს, ეკონომიკის სუბიექტებსა და საზოგადოებას სანდო სტატისტიკური მონაცემებით უზრუნველყოფს.

სტატისტიკის გაუმჯობესება მნიშვნელოვან საკვანძო საკითხს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, საქსტატი ყოველწლიურად აფართოებს კვლევის არეალს. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია საწარმოთა სტატისტიკის არეალის გაფართოება და შესაბამისი კვლევების დაგეგმვა.

სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული გაუმჯობესებული და გაფართოებული სტატისტიკის წარმოება ხელს უწყობს საწარმოთა შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის შეგროვებას, ხოლო გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ეხმარება უკეთ გაანალიზონ და შეიმუშაონ ეფექტური პოლიტიკა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის. აღნიშნული ამოცანა შეესაბამება როგორც საზოგადოების საჭიროებებს, ასევე მთავრობის პრიორიტეტებს.

- ✓ **ეფექტურობა**

საწარმოთა სტატისტიკის არეალის გაფართოების და შესაბამისი კვლევების დაგეგმვის ფარგლებში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა ახალი კვლევები სხვადასხვა სფეროებში, მათ შორის განხორციელდა ვალუტის გადამცვლელი პუნქტების, ფინანსური კორპორაციების სტატისტიკური გამოკვლევები. სტატისტიკური გამოკვლევები გამოქვეყნდა საქსტატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში დონორთა მხარდაჭერით განხორციელდა არაერთი პროექტი, რომელთა მიზანია საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვლევების განხორციელება, რომელიც ხელს უწყობს ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას. მათ შორის, აღსანიშნავია „ერთიანი გარემოსდაცვითი საინფორმაციო სისტემის პრინციპების და პრაქტიკის განხორციელება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (ENI SEIS II EAST project)“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას (ევროკომისია, ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტი (ENI) დაევროპის გარემოს სააგენტო (EEA)); „სასოფლო მეურნეობათა ინტეგრირებული გამოკვლევა (AGRIS)“, პროექტის მიზანია AGRIS-ს პროგრამის დანერგვა და სამოქმედო გეგმის მომზადება მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორების გასაანგარიშებლად (აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), ბილ და მელინდა გეითსების ფონდი (BMGF)); ევროსტატის ხელშეწყობით განხორციელდა რეგიონული პროექტი „ოფიციალური სტატისტიკის შესაძლებლობების განვითარება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (საერთაშორისო შედარებების პროგრამა) (ICP)“, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში საქსტატმა უზრუნველყო მონაცემთა ბაზის მომზადება, რაც ხელს შეუწყობს სტატისტიკური მონაცემების უკეთეს შედარებას და ინტეგრაციას.

- ✓ **გავლენა**

ორგანიზაცია "Open Data Watch"-ის ღია მონაცემთა აღწერის (Open Data Inventory – ODIN) 2021 წლის ანგარიშის მიხედვით, ისტორიაში პირველად, საქართველოს სტატისტიკის სისტემა ევროპის საუკეთესო ოცეულში დასახელდა, ხოლო რეგიონში ლიდერობს და პირველ ადგილზეა. ანგარიში აფასებს მსოფლიოს ქვეყნების ოფიციალური სტატისტიკის სამსახურებს სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით. ODIN-ის შეფასებით, 2020 წელს საქართველოს სტატისტიკის სისტემის საერთო შეფასებამ 69 ქულა შეადგინა. ამასთან, ქვეყნის რეიტინგი წინა შეფასებასთან შედარებით 8 პოზიციით გაუმჯობესდა და საქართველომ მსოფლიოს ქვეყნებს შორის, 39-დან 31-ე ადგილზე გადაინაცვლა.

ანგარიშის მიხედვით საქართველო რეიტინგით უსწრებს ევროკავშირის 12 ქვეყანას (იტალია, საფრანგეთი, ბელგია, პორტუგალია, რუმინეთი, უნგრეთი, ლუქსემბურგი, ხორვატია, კვიპროსი, საბერძნეთი, ლატვია, მალტა) და ისეთ განვითარებულ ქვეყნებს, როგორიცაა იაპონია, გაერთიანებული სამეფო.

ODIN-ის დანიშნულებაა ოფიციალური სტატისტიკის მოცვისა და მასზე ხელმისაწვდომობის ობიექტური შეფასება, რომელიც ეფუძნება ღია მონაცემთა განსაზღვრებას. 2020 წელს ღია მონაცემთა შეფასება 187 ქვეყანაში ჩატარდა, რამაც მოიცვა 22 სტატისტიკური კატეგორია და 65 მაჩვენებელი. შეფასება მოიცავს ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული სტატისტიკის ძირითად მიმართულებებს, როგორიცაა: ეროვნული ანგარიშები, მოსახლეობა და დემოგრაფია, დასაქმების, უმუშევრობის და ფასების სტატისტიკა, განათლება და ჯანდაცვა,

გენდერული სტატისტიკა, სამართალდარღვევების სტატისტიკა, სიღარიბის მაჩვენებლები, სახელმწიფო ფინანსები, საგარეო ვაჭრობა, საგადასახდელო ბალანსი, სოფლის მეურნეობა, გარემოს დაცვა, ენერგეტიკა და სხვ.

აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს სტატისტიკის წარმოების მნიშვნელობას და მის გავლენას ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავებისთვის.

- ✓ **მდგრადობა**

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა შეიმუშავა „საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების 2020-2023 წლების სტრატეგია“ და შესაბამის სამოქმედო გეგმა 2020-2021 წლებისათვის. სტრატეგიის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში სტატისტიკის განვითარებას თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

სტრატეგიის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მისაღებად სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებას, მათ შორის სტატისტიკური მოცვის გაუმჯობესებას და ახალი მაჩვენებლების წარმოებას, ეროვნული ანგარიშების განვითარებას, ბიზნეს სტატისტიკის არეალის გაფართოებას, საგარეო სექტორის სტატისტიკის განვითარებას და სხვა. აღნიშნული სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა კიდევ უფრო მეტად დაეხმარება ყველა დაინტერესებულ პირს და ხელისუფლებას ეფექტიანი ქმედებების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

1.5 მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების გაძლიერება

- ✓ **შესაბამისობა**

მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების შესაძლებლობათა გაძლიერება (capacity building) მნიშვნელოვანია კერძო სექტორის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის. ამ მიმართულებით აღსანიშნავია როგორც მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების, ასევე ბიზნეს-ასოციაციების როლი და მათი თანამშრომლობა როგორც კერძო სექტორთან, აგრეთვე თავად ამ ორგანიზაციებს შორის. ყოველივე კი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მცირე და საშუალო საწარმოების მოთხოვნაზე ორიენტირებული სერვისების/პროდუქტების განვითარებას.

- ✓ **ეფექტურობა**

მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების შესაძლებლობათა გაძლიერების ფარგლებში განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება. სსიპ „აწარმოე საქართველოში“ და სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ შესაძლებლობათა გაძლიერების მიზნით განხორციელდა შესაბამის

ინსტიტუციათა თანამშრომლების დატრენინგება, ჩატარდა ტრენერების ტრენინგები (TOT). სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელშეწყობით კი შეიქმნა ბიზნეს ასოციაციები.

მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების შესაძლებლობათა გაძლიერების მიზნით მოხდა საერთაშორისო გამოცდილების და პრაქტიკის შესწავლა. სსიპ "აწარმოე საქართველოში", გერმანიის ეკონომიკისა და ენერგეტიკის სამინისტროსთან თანამშრომლობით და GIZ-ის მხარდაჭერით განახორციელა მენეჯერთა გადამზადების პროგრამა, რომლის მიზანია საერთაშორისო ვაჭრობის შესაძლებლობების განვითარება მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. პროგრამის ბიუჯეტმა 2019 წელს 912,000 ლარი შეადგინა. აღნიშნული განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების კონტექსტში, რომელიც თავის მხრივ, მოიცავს შეთანხმებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ, რაც უნიკალურ შანსს აძლევს ადგილობრივ მეწარმეებს წარმოებული პროდუქტი ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე გაიტანონ ევროკავშირის 500 მილიონიან ბაზარზე.

- ✓ **გავლენა**

საკონსულტაციო კომპანიების მიერ განხორციელდა მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი სააგენტოების საქმიანობის და პროექტების შეფასება, მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები. კერძოდ, სსიპ "აწარმოე საქართველოში" სააგენტოს დაკვეთით კომპანიამ "BDO" ჩაატარა სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ შედეგების ეფექტიანობის კვლევა ინდუსტრიული ნაწილის, ტექნიკური მხარდაჭერისა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტების ფარგლებში[18]. გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულებამ 298,481 ლარი შეადგინა. კვლევის თანახმად, პროგრამის ბენეფიციარების მიერ შექმნილი მშპ-ს მოცულობა 164 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს, სადაც 54% (88 მლნ. ლარი) შექმნილია არსებული საწარმოების გაფართოების, ხოლო 46% (76 მლნ. ლარი) - სტარტაპების მიერ. ამასთან, წარმოდგენილი იქნა გარკვეული რეკომენდაციები აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით, როგორიცაა სექტორების ანალიზი, იმპორტზე დამოკიდებულება, კომპლექსური მიდგომა, სახელმწიფო უწყებათაშორისი თანამშრომლობა, მსგავსი პროგრამების გამოცდილება და სხვა. სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინება და მათი ზემოაღნიშნულ პროგრამაში დანერგვა.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით, საკონსულტაციო კომპანია დელოიტის მიერ განხორციელდა სააგენტოს საქმიანობის შეფასება, შემუშავდა რეკომენდაციები, რაც გათვალისწინებული იქნა სააგენტოს მიერ.

[18] BDO, 2018 წ. იხ. http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/5c6bebc46258e-BDO-GEO.pdf

მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ ფინანსებზე წვდომის პროგრამის ფარგლებში გაიცა მინი და წილობრივი გრანტები. მინი გრანტების პროგრამამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სტარტაპების შექმნას და განვითარებას, შედეგად, განხორციელდა როგორც ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ასევე, გაუმჯობესდა არსებული ტექნოლოგიები. ამასთან, თანადაფინანსების გრანტების ფარგლებში მეწარმეებზე გაიცა ფინანსური რესურსი, რომლის ფარგლებში განხორციელდა საერთაშორისო პოტენციალის მქონე ინოვაციური პროდუქტების და მომსახურების შემუშავება-ათვისება და კომერციალიზაციის გზით შეიქმნა ინოვაციების და ინოვაციური საწარმოები.

2020 წელს სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე გრანტების პროგრამაში დაუშვა 300-ზე მეტი ეკონომიკური საქმიანოება. ამასთან, გამარტივდა პროგრამის ონლაინ პლატფორმის ინტერფეისი, შედეგად, მისი გამოყენება მომხმარებელთათვის უფრო მოსახერხებელი და მეტად ავტომატიზირებული გახდა. ინტერფეისის ცვლილების შედეგად ახალი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის მიზნით 2020 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულებამ 160,520 ლარი შეადგინა.

საქართველოს მთავრობის ინიციატივით შეიქმნა პლატფორმა „სახელმწიფო - შენი პარტნიორი“ (programs.gov.ge)[19], რომელიც თავს უყრის ბიზნესის ხელშეწყობაზე ორიენტირებულ სახელმწიფო პროგრამებს. მისი მთავარი მიზანია, მაქსიმალურად გაამარტივოს და გაზარდოს წვდომა სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებაზე მათთვის, ვისაც ბიზნესის დაწყება, ან არსებული საწარმოს გაფართოება სურს.

„სახელმწიფო - შენი პარტნიორი“ ერთი ფანჯრის პრინციპს ეფუძნება და სხვადასხვა სააგენტოს 20-ზე მეტ პროგრამაში ჩართვა ერთი სივრციდანაა შესაძლებელი, კერძოდ, როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებული 24 იუსტიციის სახლისა და 81 საზოგადოებრივ ცენტრის, ასევე, ელექტრონული ვებგვერდების საშუალებით. ბიზნეს პროგრამების ერთიან პლატფორმაზე წარმოდგენილია სააგენტოების „აწარმოე საქართველოში“, „ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა“ და „სოფლის განვითარების სააგენტოს“ პროგრამები. შესაბამისად, სახელმწიფოს მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობა აქვთ მიკრო და საშუალო ზომის საწარმოებს, ექსპორტზე ორიენტირებულ კომპანიებს, ტურიზმის სფეროში მოქმედ სუბიექტებს, ფერმერებს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს და სხვებს.

სსიპ-მა „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს პროგრამების სხვა სახელმწიფო უწყებებთან ინტეგრაციის მიზნით „სახელმწიფო - შენი პარტნიორი“-ს ფარგლებში 2020

[19] სახელმწიფო შენი პარტნიორი, იხ. https://programs.gov.ge/ka

წელს გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებები, საერთო ღირებულებით 70,145.90 ლარი, რომელიც საანგარიშო პერიოდში სრულად შესრულდა.

ბიზნესისათვის სერვისების მიწოდების გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვნად გაფართოვდა ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალი - My.gov.ge.[20] აღნიშნულ ვებრესურსზე განთავსებულია საქართველოს საჯარო და კერძო სექტორში არსებული ელექტრონული სერვისები. პორტალზე დისტანციურად საჯარო რეესტრის 184 სერვისია ხელმისაწვდომი. პორტალის ერთ-ერთ მთავარ უპირატესობას წარმოადგენს მომხმარებლებისთვის სხვადასხვა სერვისის ხელმისაწვდომობა „ერთი ფანჯრის" პრინციპით - მხოლოდ ერთი წერტილიდან. პორტალზე ხელმისაწვდომია საინფორმაციო და ფუნქციური ტიპის ელექტრონული სერვისები, როგორიცაა ქონება, ბიზნესი, გადასახადები და სხვა.

- ✓ **მდგრადობა**

მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების შესაძლებლობათა განვითარებამ, მეწარმეების საჭიროებებზე მორგებული სერვისების და პროგრამების შეთავაზებამ, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობას. აღნიშნული პროგრამების დახმარებით, ბენეფიციარებმა გააუმჯობესეს წარმოების მასშტაბები, ხარისხი, წარმოებული პროდუქციის მრავალფეროვნება, მოხდა საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება და შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა კონკურენტუნარიანობა იმპორტთან მიმართებით. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების მიერ განხორციელებულ პროგრამათა შეფასება და შეფასების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების შესრულება, ხელს შეუწყობს აღნიშნული ინსტიტუციებისა და მათ მიერ განხორციელებული პროგრამების მდგრადობას.

1.6 საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის გაძლიერება

ქვეყანაში დაგეგმილი და მიმდინარე რეფორმების თაობაზე საზოგადოების ინფორმირება და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა ხელს უწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის დაგეგმვას და შემუშავებას. აღნიშნული, თავის მხრივ, ხაზს უსვამს მთავრობის პოლიტიკის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, რაც განაპირობებს რეფორმების ქმედუნარიანობას და ეფექტიანობას.

- ✓ **შესაბამისობა**

[20] ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალი, იხ. https://my.gov.ge/ka-ge/services/10

საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობა მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარებისთვის, რადგანაც ჩართულობა, მონაწილეობა და თანამშრომლობა ხელს უწყობს უფრო ეფექტური პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას. საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის (PPD) ინსტიტუციური პლატფორმის დანერგვა სწორედ ის ინსტრუმენტია, რაც ეხმარება მთავრობას შეიმუშაოს ეფექტური პოლიტიკა, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესისთვის და აღმოფხვრას მეწარმეობის განვითარების ძირითადი დაბრკოლებები. თავის მხრივ, ეფექტური PPD ხელს უწყობს მთავრობასა და კერძო სექტორს შორის ნდობის განმტკიცებას, დაინტერესებულ მხარეთა მაქსიმალურ ჩართულობას და პრობლემების და მათი გადაჭრის გზების ერთობლივად შემუშავების შესაძლებლობას. შესაბამისად, PPD პლატფორმის განვითარების ხელშეწყობა და ქმედითობა სახელმწიფო მიზნებთან და ამოცანებთან სრულად თავსებადია.

- ✓ **ეფექტურობა**

საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის გაძლიერების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით 2016 წელს შეიქმნა კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭო მინისტრის მოადგილის ხელმძღვანელობით, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ კი კერძო სექტორის წარმომადგენელი განისაზღვრა. აღნიშნული საბჭოს შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებმა. საბჭოს შეხვედრების ფარგლებში, კერძო სექტორს წარედგინებოდა და იმართებოდა დისკუსიები მიმდინარე და დაგეგმილ რეფორმებზე[21]. კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს სხდომებზე წარდგენილ იქნა პრეზენტაციები შემდეგი საკითხების თაობაზე, როგორიცაა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი; საკრედიტო-საგარანტიო სქემა; ბიზნეს რეესტრის ელექტრონული სერვისები; ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის რეფორმა; „ახალი რეგულაციები შრომის უსაფრთხოების სისტემაში“; ტელეკომუნიკაციის სფეროში რეფორმა; ენერგეტიკულ სექტორში დაგეგმილი რეფორმა; სტარტაპ ეკოსისტემის განვითარების სერვისები; ფინანსური განათლების კუთხით განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები; პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის თაობაზე; „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი; „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და სხვ.

DCFTA-ს განხორციელების პროცესში საზოგადოების მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად 2015 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შეიქმნა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის

[21] კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს სხდომის ოქმები, იხ. http://www.economy.ge/?page=economy&s=84

შესახებ შეთანხმების (DCFTA) საკონსულტაციო ჯგუფი (DCFTA.gov.ge)[22]. საკონსულტაციო ჯგუფი არის სამინისტროს სათათბირო ორგანო, რომლის მთავარი მიზანია DCFTA-ის ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობა და ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა. ჯგუფი დაკომპლექტებულია საქართველოში მოქმედი ასოციაციებისა და ბიზნესის წარმომადგენლებით.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმატის ხელშეწყობის მიზნით აქტიურად მართავდა შეხვედრებს სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებთან. საჯარო-კერძო დიალოგის ფორმატში გაიმართა შეხვედრა სახელწოდებით „ღია დიალოგი ბიზნესთან";[23] შეხვედრა ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებთან; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებსა და საბანკო ასოციაციის წარმომადგენლებს შორის; შეხვედრა სახელმწიფოს შესყიდვების სააგენტოსა და კერძო სექტორს შორის.

სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც 2011 წლიდან ახალი ფორმატით მომხმარებელს სთავაზობს ყველასათვის ხელმისაწვდომ, დაცულ, მუდმივად განახლებად ოფიციალურ ვებგვერდს - matsne.gov.ge[24], სადაც მომხმარებელს შეუძლია იხილოს საქართველოს ყველა უწყების მიერ მიღებული ნორმატიული აქტები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ადგილობრივი თვითმმართველობის აქტები და საჯარო განცხადებები. ამასთან, ვებ-გვერდზე საჯარო განხილვის მიზნით ქვეყნდება კანონის პროექტები, სადაც ნებისმიერ პირს შეუძლია კომენტარების, წინადადებების განთავსება.

- ✓ **გავლენა**

საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის პლატფორმის ფარგლებში დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ უახლესი ინფორმაცია მიმდინარე რეფორმებისა და საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ. თავის მხრივ, პლატფორმის მთავარი მიზანი იყო უკუკავშირის მიღება, რაც გულისხმობდა რეკომენდაციების, მოსაზრებების და შენიშვნების მიღებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად აუმჯობესებდა კანონშემოქმედებით პროცესს.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საკონსულტაციო ჯგუფმა უზრუნველყო DCFTA-თან დაკავშირებული რეფორმების განხილვა; გასწია კონსულტაციები მიმდინარე და

[22] თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან, იხ. http://www.dcfta.gov.ge/ge/coordination
[23] „ღია დიალოგი ბიზნესთან", იხ. http://www.moesd.gov.ge/?page=news&nw=1405
[24] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, იხ. https://matsne.gov.ge/

დაგეგმილი რეფორმების, საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებების, დამსაქმებლების, დასაქმებულების და მომხმარებლების ადაპტაციის პროცესზე, უზრუნველყო DCFTA-ის განხორციელების სამოქმედო გეგმისა და შესაბამისი ანგარიშების განხილვა. შედეგად, საჯარო-კერძო დიალოგი ხელს უწყობს დაინტერესებულ პირებს შეუფერხებლად მიიღონ ინფორმაცია იმ სარგებელის, შესაძლებლობებისა და უპირატესობების შესახებ, რომლებიც DCFTA-ით არის გათვალისწინებული; ასევე, იმ გრანტებისა და სხვა ფინანსური დახმარებების ინსტრუმენტების შესახებ, რომლებიც DCFTA-ის ფარგლებში ხორციელდება. შეხვედრებში მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების, ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის, ევროპული ბიზნეს ასოციაციისა და აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი - საქართველოს ეროვნული პლატფორმის წარმომადგენლები.

- ✓ **მდგრადობა**

საჯარო-კერძო დიალოგის პლატფორმის ფარგლებში ბიზნეს სექტორის, ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლების მაქსიმალურმა ჩართულობამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა კანონშემოქმედებითი პროცესში, რის შედეგადაც საწყის ეტაპზევე იყო შესაძლებელი პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრის გზების გამოვლენა. შედეგად, უზრუნველყოფილი იქნა მთავრობის პოლიტიკის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.

1.7 პრიორიტეტული ეკონომიკური კანონმდებლობისთვის რეგულირების ზეგავლენის შეფასების RIA-ს სისტემის შექმნა

რეგულირების ზეგავლენის შეფასება (RIA) გადაწყვეტილების მიმღებ პირს აძლევს არსებული პრობლემის, მისი გამომწვევი მიზეზების, მოსალოდნელი ხარჯებისა და სარგებლის, რისკების შეფასების და შედეგად, პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის არჩევის შესაძლებლობას და ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალე და ეფექტიანი მექანიზმის დანერგვას.

- ✓ **შესაბამისობა**

რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) იმპლემენტაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა, რადგან RIA დღეისათვის მსოფლიოში აპრობირებული „უკეთესი რეგულირების“ სისტემის ძირითადი მეთოდია, რომელიც ხელს უწყობს ერთიანი სახელმწიფო მიდგომის ჩამოყალიბებას. RIA წარმოადგენს დასაბუთებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას, რომელიც თანმიმდევრულ და სტრუქტურულ ჩარჩოს ქმნის არსებული პრობლემების მოგვარებისათვის. RIA

გადაწყვეტილების მიმღებებს შესაძლებლობას აძლევს, სამიზნე ჯგუფების და დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობით, სიღრმისეულად მოახდინოს იმ საკანონმდებლო ინიციატივების ანალიზი და შეფასება, რომელსაც პოტენციური გავლენა ექნება ბიზნესზე და საზოგადოებაზე, ანალიზის საფუძველზე შეძლოს ბიზნესისათვის დამატებითი ტვირთის მოხსნა და უზრუნველყოფილ იქნას კონკურენტუნარიანობის ზრდა. ამასთან, დაცული იქნას სახელმწიფოს მხრიდან მინიმალური მარეგულირებელი ჩარევის პრინციპი სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში, და მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც მიზნების მისაღწევად არის აუცილებელი.

- ✓ **ეფექტურობა**

რეგულაციურ რეფორმებთან დაკავშირებული უწყებების წარმომადგენელთა მიერ გაანალიზდა რეგულირების ზეგავლენის შეფასების ძირითადი პრინციპების ამსახველი თეორიული მასალა, ევროპის განვითარებული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა და ჩამოყალიბდა ხედვა საქართველოში რეგულირების ზეგავლენის შეფასების ეტაპობრივად დანერგვის საკითხთან დაკავშირებით.

2019 წელს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა ცვლილება, რომლის საფუძველზე მოხდა RIA-ს ინსტიტუციონალიზაცია. თავის მხრივ, „ნორმატიული აქტების შესახებ“[25] საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს მთავრობამ RIA-ს ინსტიტუციური მექანიზმის განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობის პარტნიორების - საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის, მსოფლიო ბანკის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ), მმართველობა განვითარებისათვის (G4G) და USAID-ის მხარდაჭერით, შეიმუშავა და 2020 წელს დაამტკიცა რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგია[26], რომელიც წარმოადგენს რეგულირების ზეგავლენის შეფასების წარმართვისა და შესაბამისი ანგარიშის მომზადების ტექნიკურ სახელმძღვანელოს. დონორთა მხარდაჭერით ასევე, ჩატარდა RIA-ს განმახორციელებელი ინსტიტუციების ცნობიერებისა და ცოდნის ამაღლება RIA SME Test-ზე.

- ✓ **გავლენა**

საკანონმდებლო დონეზე RIA-ს შემოღებამდე და შესაბამისი სისტემის შექმნამდე, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით წლების განმავლობაში მომზადდა არაერთი ანგარიში, სადაც საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად ჩართული იყვნენ საჯარო მოხელეები და ადგილობრივი ექსპერტები. თავის მხრივ, RIA-ს ინსტიტუციონალიზაციის

[25] „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4557505?publication=0

[26] რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ, იხ. https://matsne.gov.ge/document/view/4776100?publication=0

პროცესში ერთ-ერთ გამოწვევას სწორედ საჯარო მოხელეების შესაბამისი კვალიფიკაციის არ ქონა წარმოადგენდა. დონორთა მხარდაჭერით ჩატარდა RIA-ს განმახორციელებელი ინსტიტუციების ცნობიერებისა და ცოდნის ამაღლება RIA-ს, ასევე RIA SME Test-ზე მიმართებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, სადაც შექმნილია შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, ჯერ კიდევ RIA-ს სავალდებულოდ შემოღებამდე, საკუთარი რესურსებით მოამზადა არაერთი RIA-ს ანგარიში, როგორც სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში შემავალ საკითხებზე, ასევე, სხვადასხვა უწყებების მიერ მომზადებულ საკანონმდებლო ინიციატივებზე. ანგარიშები მომზადდა „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ კანონის პროექტზე; „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონის პროექტზე, „დაგროვებით საპენსიო რეფორმაზე“; „ფარმაცევტულ სექტორში კარგი საწარმოო პრაქტიკის (GMP) დანერგვაზე“; გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსზე[27]. ხარჯ-სარგებლის ანალიზი მომზადდა სისხლი სამართლის საპროცესო კოდექსში „აღკვეთის ღონისძიების მექანიზმებზე“, „განახლებად ენერგიაში ადგილობრივი მოთხოვნის კომპონენტის კვლევაზე“.

აღნიშნული ანგარიშები უმნიშვნელოვანესია გამჭვირვალე და ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავების თვალსაზრისით. სწორედ დაინტერესებულ მხარეთა მაქსიმალური ჩართულობით, ღია და გამჭვირვალე კონსულტაციების პროცესით გახდა შესაძლებელი სხვადასხვა საკითხთან მიმართებით არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, მიზნების და შესაბამისი ამოცანების განსაზღვრა, პოლიტიკის ალტერნატივების შემუშავება და მათი მოსალოდნელი ხარჯების და სარგებლის იდენტიფიცირება, რაც გადაწყვეტილების მიმღებს აძლევს შესაძლებლობას აირჩიოს პრობლემის მოგვარების საუკეთესო გზა.

- ✓ **მდგრადობა**

მსოფლიო ბანკის „კარგი მარეგულირებელი პრაქტიკის“ (GRP) პროგრამა მრავალწლიანი ინიციატივაა, რომლის მიზანია გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნების მთავრობების დახმარება მარეგულირებელი სისტემის ხარისხის და მათი შედეგების გაუმჯობესებაში, ეფექტური, გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და საკონსულტაციო რეფორმების პროცესების დანერგვაში, რაც ხელს უწყობს რეფორმების პრიორიტეტულობის განსაზღვრას და განხორციელებას.

პროგრამა უზრუნველყოფს GRP-ს შესახებ ახალი ცოდნის კონსოლიდაციას და ხელს შეუწყობს ქვეყნებს ამ ინსტრუმენტების გამოყენებისა და განხორციელების პროცესში, რაც მნიშვნელოვანია უკეთესი რეგულირებისთვის. საქართველო პროგრამაში 2015 წლიდან არის ჩართული, რომელიც ხორციელდება მსოფლიო ბანკის მიერ და

[27] რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშები, იხ. http://www.moesd.gov.ge/?page=reforms&s=21

დაფინანსებულია USAID-ისა და UKAID-ის კონტრიბუციით, აგრეთვე მსოფლიო ბანკის ქვეყნების პროგრამებით, რომელთა ფარგლებში ხორციელდება საპილოტე პროგრამები.

2. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

2.1 ფინანსური განათლების გაუმჯობესება

ბიზნესგარემოს გაუმჯობესება, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, ფინანსური სექტორის გაძლიერება და შედეგად, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. თავის მხრივ, ფინანსური განათლების დონის ამაღლება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რაც უზრუნველყოფს ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის და ინდივიდების ფინანსური კეთილდღეობის მხარდაჭერას. ამ მიმართულებით, მთავარ გამოწვევებს შორისაა საზოგადოების და ბიზნეს წრეების წარმომადგენლების ფინანსური განათლების გაუმჯობესება.

- ✓ **შესაბამისობა**

საქართველოში ფინანსური განათლება ქვეყანაში მცხოვრები თითოეული მოქალაქისთვის, დამწყები და მოქმედი ბიზნესისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესია. ამ მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2016 შეიმუშავა „საქართველოს ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია“[28], რომლის მიზანია საქართველოს მოსახლეობის, მათ შორის, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების ფინანსური განათლების დონის ამაღლება, ხელი შეუწყოს მოსახლეობის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფას, რაც საბოლოო ჯამში მისი ფინანსური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და მომხმარებლების უფლებების დაცვის წინაპირობას წარმოადგენს.

> *„ფინანსური განათლება არის პროცესი, რომლის შედეგადაც პიროვნებას უკეთ ესმის ფინანსური საკითხების შინაარსი, არსი და რისკები და ხელმისაწვდომი ინფორმაციის, ინსტრუქციებისა და ობიექტური რჩევების საფუძველზე ავითარებს საკუთარ თავში ცოდნას, უნარებს და რწმენას - გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი, მიიღოს პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება, იცის სად წავიდეს დახმარების მისაღებად და განახორციელოს სხვა ეფექტური ქმედებები, რათა გაიუმჯობესოს ფინანსური კეთილდღეობა“.*
>
> *საქართველოს ეროვნული ბანკი*
> *„საქართველოს ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია“*

- ✓ **ეფექტურობა**

[28] საქართველოს ეროვნული ბანკი „საქართველოს ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია“ https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/financial_literacy_strategy/Financial_Literacy_Strategy.pdf

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა მიკრო და მცირე მეწარმეების ფინანსური განათლების პროგრამა. პროგრამის ფარგლებში შემუშავდა „მიკრო და მცირე ბიზნესის სახელმძღვანელო: ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობა და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება“, დამხმარე ფინანსური უწყისები, ტრენინგ-მოდული, ჩატარდა ტრენერთა ტრენინგები, გადამზადნენ დამწყები, მიკრო და მცირე მეწარმეები. გარდა ამისა, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ასევე შეიქმნა ონლაინ ტრენინგ-მოდული და ჩატარდა ონლაინ-ტრენინგები. აგრომეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ფერმერებისთვის შემუშავდა ფინანსური განათლების ტრენინგ-მოდული და პრაქტიკული სახელმძღვანელო, ასევე ჩატარდა საპილოტე ტრენინგი აგრო სფეროში მოღვაწე მეწარმეებისა და მომავალი ტრენერებისათვის (მულტიპლიკატორებისათვის), პროგრამის ფარგლებში შეიქმნა საგანმანათლებლო ვიდეორგოლი. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში, ახალი ფინანსური საგანმანათლებლო პლატფორმა - FinEdu.gov.ge შექმნა, რომელზეც განთავსებულია სხვადასხვა საგანამათლებლო მასალები და ხელსაწყოები (მაგ. კალკულატორები) მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა მიზნობრივი სეგმენტისათვის.

სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ მცირე და საშუალო მეწარმეთათვის ბიზნეს განათლების გაუმჯობესების მიზნით ჩაატარა ტრენინგები, მათ შორის, მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის ფარგლებში გამარჯვებულ ბენეფიციარებს ჩაუტარდა დარგობრივი ტრენინგები ფინანსების, მარკეტინგის, მექანიზაციის და ბუღალტრული მიმართულებით. მიკრო და მცირე გრანტების ტრენინგების ბიუჯეტმა 2016 წელს 331,545 ლარი შეადგინა, 2017 წელს - 485,595 ლარი, 2018 წელს - 156,838 ლარი, ხოლო 2020 წელს - 1,211,499 ლარი.

- ✓ **გავლენა**

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფინანსური განათლების სტრატეგიის შემუშავება მომხმარებლის უფლებების დაცვის ჩარჩოს მნიშვნელოვანი ნაწილია. სტრატეგიის ფარგლებში ფარგლებში განხორციელებულმა აქტივობებმა ხელი შეუწყო ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობისა და ინდივიდების ფინანსური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ რეიტინგის ერთ-ერთი ინდიკატორია კრედიტზე ხელმისაწვდომობა (Getting Credit)[29]. აღნიშნული მაჩვენებელი საკმაოდ კომპლექსურია და შემდეგი სახის ინფორმაციას აერთიანებს: მსესხებლისა და გამსესხებლის სამართლებრივი უფლებები, საკრედიტო ბიუროს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, საკრედიტო ბიუროში რეგისტრირებული ფიზიკური და იურიდიული პირების რაოდენობა და ფორმალურ ფინანსებზე ხელმისაწვდომობა. 2020 წელს რეიტინგში

[29]მსოფლიო ბანკი „ბიზნესის კეთება“, 2020; იხ. https://www.doingbusiness.org/en/rankings

საქართველო 85 ქულით მე-15 პოზიციას იკავებს. აღსანიშნავია, რომ ქვეყანას სამი კომპონენტიდან 2 კომპონენტში უმაღლესი შეფასება აქვს, როგორიცაა, საკრედიტო ინფორმაციის სიღრმის ინდექსი (8 ქულა) და საკრედიტო რეესტრის მოცულობა (100%). ამ უკანასკნელ კომპონენტში ქვეყნის ქულამ მაქსიმალურ შედეგს სწორედ ბოლო 2 წლის განმავლობაში (2019-2020) მიაღწია და ქვეყნის მასშტაბით საკრეტიდო რეესტრის მოცვამ 100% შეადგინა.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელი (OECD/INFE) ფინანსურ განათლებას განსაზღვრავს, როგორც „ფინანსური ინფორმირებულობის, ცოდნის, უნარების, დამოკიდებულებებისა და ქცევების კომბინაციას, რომელიც აუცილებელია ჯანსაღი ფინანსური გადაწყვეტილებების მისაღებად და საბოლოო ჯამში, ინდივიდუალური ფინანსური კეთილდღეობის მისაღწევად“. პარალელურად, ფართოდ იქნა აღიარებული ზრდასრულ მოსახლეობაში ფინანსური განათლების დონის შესახებ ინფორმატიული, სარწმუნო მონაცემების შეგროვების მნიშვნელობა (OECD/INFE 2015).

✓ მდგრადობა

ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში, 2016 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით, „ევროპული ფონდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის“ განვითარების პროგრამის (EFSE DF) მხარდაჭერითა და OECD/INFE-ს მეთოდოლოგიის გამოყენებით კვლევითმა ორგანიზაციამ სონარიმ განახორციელა „ზრდასრული მოსახლეობის ფინანსური განათლებისა და ჩართულობის კვლევა“[30]. 2020 წელს კი OECD/INFE-ს 5 წლიანი ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში, საქართველომ მონაწილეობა მიიღო OECD/INFE მოსახლეობის ფინანსური განათლების გლობალურ კვლევაში (OECD/INFE 2020 International Survey of Adult Financial Literacy)[31]. მომდევნო წლებში კი იგეგმება უშუალოდ მცირე და საშუალო მეწარმეთა ფინანსური განათლების კვლევა.

ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკის და ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის მართვის კომიტეტის მიერ მომზადდა „ფინანსური განათლების პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო“[32]. აღნიშნული სახელმძღვანელო ეფუძნება საქართველოს ფინანსური განათლების ეროვნულ სტრატეგიას და მნიშვნელოვანია სტრატეგიის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევის შეფასების თვალსაზრისით.

---

[30] “ფინანსური განათლებისა და ფინანსური ჩართულობის კვლევა“, 2016 წელი, იხ. https://www.nbg.gov.ge/uploads/2016finganat/Financial%20Literacy%20Study_GEO.pdf

[31] OECD https://www.oecd.org/financial/education/oecd-infe-2020-international-survey-of-adult-financial-literacy.pdf

[32] „ფინანსური განათლების პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო“, 31.05.2019წ; იხ. https://finedu.gov.ge/storage/files/doc

დოკუმენტი წარმოადგენს ფინანსური განათლების პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების გზამკვლევს. დოკუმენტი მიმოიხილავს მონიტორინგისა და შეფასების ძირითად ეტაპებს და იძლევა რეკომენდაციებს თითოეული ეტაპის ეფექტურად განხორციელებისთვის. დოკუმენტი ასევე განიხილავს მონაცემების შეგროვების სხვადასხვა მეთოდებს, მათი უპირატესობების, ნაკლოვანებებისა და გამოყენების ფორმების გათვალისწინებით. აღნიშნული სახელმძღვანელოს მიზანია ხელი შეუწყოს პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგს, დადგინდეს, თუ რამდენად შეესაბამება პროგრამის შედეგები დაგეგმილ სამიზნე მაჩვენებლებს, რაც შედეგად უზრუნველყოფს პოლიტიკის ეფექტიანობას და მდგრადობას.

ფინანსური განათლების ჩარჩოსა და მიდგომების გაუმჯობესების თვალსაზრისით კი კვლავ გრძელდება კერძო და საჯარო დაინტერესებულ მხარეებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობა ახალი მიდგომების და პროგრამების შემუშავების მიზნით.

2.2 მცირე და საშუალო საწარმოთა ხელშეწყობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SME) დანერგვაში

- ✓ **შესაბამისობა**

ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად წარმატებით განხორციელდა ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის სრულფასოვანი დაახლოება ევროკავშირის წესებსა და სტანდარტებთან. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (SARAS) წარმოადგენს აღრიცხვა-ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს ზედამხედველო ორგანოს, რომლის მიზანია ეფექტური ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო ფინანსური და მმართველობითი ინფორმაციის სანდოობის უზრუნველყოფა, საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების გზით.

- ✓ **ეფექტურობა**

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“[33] საქართველოს კანონით, რომელიც საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაშია, საქართველოში დაინერგა ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების, მმართველობის ანგარიშგების და სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგების მომზადების და წარდგენის

[33] საკანონმდებლო მაცნე იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3311504?publication=11

სტანდარტები. დონორთა მხარდაჭერით, მათ შორის, ევროკავშირის ხელშეწყობით, განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი, მაგალითად როგორიცაა თვინინგის პროექტი „ფინანსური აღრიცხვის და აუდიტის ხარისხის ამაღლება საქართველოში“, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში ფინანსური გამჭვირვალობის ამაღლებასა და ეფექტიანი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობას სანდო და გამჭვირვალე ანგარიშგების სისტემების დანერგვით, ასევე, ფინანსური ანგარიშგების პრაქტიკისა და აუდიტორული მომსახურების ხარისხის მდგრად გაუმჯობესებას.

თავის მხრივ, მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს SARAS-ის ინსტიტუციური გაძლიერება, რათა უზრუნველყოფილი იქნას კორპორაციული ანგარიშგების მოთხოვნების აღსრულება, აუდიტის ხარისხის კონტროლის მძლავრი სისტემის ჩამოყალიბება და შესაბამისი ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების გამოყენება. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები მოიცავს, მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (IFRS for SMEs).

- ✓ **გავლენა**

ხელსაყრელი ბიზნეს გარემო ქვეყნის განვითარების გარანტიაა. მაღალი ხარისხის ფინანსური ინფორმაცია მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის ეკონომიკაში ჯანსაღი საინვესტიციო კლიმატის შექმნის, გამჭვირვალობისა და ნდობის ამაღლების თვალსაზრისით. აღრიცხვა-ანგარიშგებისა და აუდიტის რეფორმა სარგებლის მომტანია კომპანიებისათვის, ვინაიდან მათ სწორედ ამ რეფორმის შედეგად აქვთ შესაძლებლობა წარადგინონ სანდო და გამჭვირვალე ფინანსური ანგარიშგება და სწორად დაგეგმონ მომავალი ფინანსური საქმიანობა, მიიღონ ინფორმაცია, თუ რამდენად მზარდი, სანდო და სტაბილურია პოტენციური პარტნიორი. ეს შესაძლებლობას აძლევს ინვესტორს საქმიანი პარტნიორის შერჩევისას დაზოგოს დრო და ადამიანური რესურსი, სანდო წყაროდან მარტივად გაიგოს და განგრძობითად მიიღოს მაღალი ხარისხის ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ყოველივე კი ქმნის მეტ შესაძლებლობას ქვეყანაში როგორც ადგილობრივი ბიზნესისთვის, ისე უცხოელი ინვესტორებისთვის.

ახალმა მარეგულირებელმა ჩარჩომ მნიშვნელოვნად გაზარდა ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობა, აგრეთვე მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაციის აღქმადობა და ფინანსური ინფორმაციის მიწოდების დროულობა. საქართველოში მოქმედი კომპანიების მიერ საერთაშორისოდ აღიარებული ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების დანერგვა მათ შესაძლებლობას აძლევს, გააუმჯობესონ ადგილობრივი ანგარიშგების საერთაშორისო ცნობადობა და ასევე, გაზარდონ საკუთარი კომპანიების ღირებულება.

სსიპ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ინიციატივით, მსს ფასს სტანდარტის ტრენინგის პროგრამა 2018 წლიდან

დაიწყო, რომლის მიზანი იყო მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტში მომუშავე ბუღალტრების, ფინანსისტების და სხვა დაინტერესებული პირების კვალიფიკაციის ამაღლება.

ტრენინგები გადამზადებული ტრენერების მეშვეობით ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის - „მმართველობა განვითარებისათვის“ (G4G), მსოფლიო ბანკის და EBRD დაფინანსებით ჩატარდა. კერძოდ, 2019 წელს დონორთა ფინანსური მხარდაჭერით 13 ტრენინგი ჩატარდა და ბიუჯეტმა 65,000 ევრო შეადგინა. 2020 წელს დისტანციურად ჩატარდა 7 ტრენინგი, რომლის ბიუჯეტმა 17,500 ევრო შეადგინა. ჯამში, 20 ღონისძიებას სულ 677 მონაწილე დაესწრო, რომლის ბიუჯეტმა 82,500 ევრო შეადგინა.

პროექტის წარმატებით განხორციელებას ხელი შეუწყო დონორების - ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, მსოფლიო ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაფინანსებამ და აგრეთვე, პროფესიული ორგანიზაციების და ბიზნეს-ასოციაციების ჩართულობამ.

- ✓ **მდგრადობა**

მაღალი ხარისხის სტანდარტებით მომზადებული ანგარიშგებები ღია და გამჭვირვალე გარემოს ქმნის. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ანგარიშგების პორტალი[34], რომელიც არის საქართველოში პირველი საჯარო საინფორმაციო რესურსი, რომელიც ქვეყანაში არსებული სუბიექტების ფინანსურ და მმართველობით ანგარიშგებებს მოიცავს. პორტალი 2017 წელს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ შეიქმნა კაპიტალის ბაზრებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით. რეპორტალი, საინფორმაციო პლატფორმაა, სადაც საწარმოებს სწრაფი განვითარების ახალ შესაძლებლობებს აძლევს. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები დიდ მნიშვნელობას იძენს სხვადასხვა მიმართულებით კვლევების, სტატისტიკური ანალიზის ან სხვა საქმიანობის განსახორციელებლად.

მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ რეიტინგის ბიზნესის დაწყების ინდიკატორი აფასებს კომპანიების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მათ შორის როგორიცაა კომპანიის ფინანსური ანგარიშგება, ბენეფიციარი მფლობელების იდენტიფიცირება და სხვ. ამ მიზნით მოხდა პლატფორმა რეპორტალის ინტეგრირება საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე[35], რაც დაინტერესებულ პირს შესაძლებლობას აძლევს სრულად მიიღოს ინფორმაცია ბიზნესს სუბიექტის საქმიანობის შესახებ.

---

[34] ანგარიშგების პორტალი, იხ. https://reportal.ge/

[35] საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იხ. https://napr.gov.ge/pol

2.3 მცირე და საშუალო მეწარმეთა ცოდნის ამაღლება ფინანსების მოზიდვის საკითხებში

✓ შესაბამისობა

ნებისმიერი ბიზნესისთვის მიზნების მიღწევის პროცესში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ფინანსური რესურსები და მათზე ხელმისაწვდომობა. სწორედ ფინანსები და დაფინანსება თამაშობს ძირითად როლს მეწარმეობის განვითარებაში. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია სტარტაპები, რომლის მთავარი მახასიათებელი სწრაფად ზრდაა, რაც თავისთავად მოითხოვს ფინანსურ მზაობას. თუმცა მცირე და საშუალო მეწარმეებს ხშირად არ აქვთ საკმარისი ცოდნა კაპიტალის ზრდის ინსტრუმენტების (fund rising) შესახებ და ამ მიმართულებით მათი ცნობიერების ამაღლება ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს.

"სტარტაპი ასოცირდება ზრდასთან, ამიტომ აუცილებელია, რომ სწორად დაგეგმო, სწორად გაზომო და შეინარჩუნო ზრდა, რადგან სწრაფად მზარდი სტარტაპი ყველაზე მეტად იზიდავს ინვესტორს" (Graham, 2012).

✓ ეფექტურობა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ, რომლის მიზანია საქართველოში ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარებისთვის საჭირო ეკოსისტემის ფორმირება, ცოდნისა და ინოვაციის კომერციალიზაციის ხელშეწყობა და სხვ., სტარტაპებისთვის ცნობიერების ამაღლების მიზნით უზრუნველყო ტრენინგების და შეხვედრების ჩატარება ფონდების მოძიების თემატიკაზე.

სტარტაპები და მათი საქმიანობა ძირითადად ტექნოლოგიებთან არის დაკავშირებული. დღესდღეობით ტექნოლოგიებთან დაკავშირებული პროდუქტები იძენენ უფრო და უფრო მეტ პოპულარობას. ამასთან ბაზარი სწრაფად მზარდია და უმეტესობა წარმატებული სტარტაპები სწორედ ტექნოლოგიურ პროდუქტებს თუ მომსახურებას სთავაზობს მომხმარებელს. სწორედ, ამიტომ სააგენტოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები მიზნად ისახავდა სტარტაპებისთვის ფონდების მოძიების თემატიკაზე ცოდნის ამაღლებას, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს მიიღონ ინფორმაცია თუ დაფინანსების რა რეალური შესაძლებლობები არსებობს, რამდენად ხელმისაწვდომია და რა სირთულეებს შეიძლება აწყდებოდნენ სტარტაპები ამ დაფინანსების მიღების პროცესში. ამ მიმართულებით აღსანიშნავია შეხვედრა „Baku Business Factory"-ის ხელმძღვანელსა და ქართველ სტარტაპებს შორის; ებრაული საინვესტიციო კომპანიის Frank Group-ის ხელმძღვანელსა და ქართველ სტარტაპებს შორის შეხვედრა; მეწარმე

ქალთა კვირეულის ფარგლებში ისრაელის სტარტაპ-ეკოსისტემის შემქმნელის მიერ ისრაელის გამოცდილების გაზიარება; ბელარუსული ტექნოლოგიური კომპანიის ENCATA-ს დამფუძნებლის თბილისში ვიზიტის ფარგლებში ქართველი სტარტაპებისთვის ჩატარებული ტრენინგი საგრანტო პროექტის „თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის“ ფარგლებში; ტრენინგები ფონდების მოძიების თემატიკაზე Investment Readiness-ის პროგრამის ფარგლებში და სხვა.

- ✓ **გავლენა**

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელშეწყობით განხორციელებული ღონისძიებები მიზნად ისახავდა სტარტაპების განვითარების ხელშეწყობას და ახალი ბიზნესის წამოწყების სტიმულირებას, რაც პირველ რიგში მათი ცნობადობის გაზრდას ითვალისწინებდა. სწორედ აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში სტარტაპებს შესაძლებლობა მიეცათ მიეღოთ ინფორმაცია ფინანსური რესურსების მოძიების და არაფინანსური მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობებზე. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია სააგენტოსა და Start-up grind-ს შორის გაფორმებული მემორანდუმი, რომელიც ქართველ სტარტაპებს ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს.

Start-up grind ყველაზე დიდი მასშტაბების მქონე სტარტაპ საზოგადოებაა, რომელიც 125-ზე მეტი ქვეყნიდან 2 000 000 ენტრეპრენერს აერთიანებს. სტარტაპ გაერთიანება ახორციელებს ინტენსიურ აქტივობებს სხვადასხვა ქვეყნებში სტარტაპ ეკოსისტემის გასაძლიერებლად და სტარტაპერების განსავითარებლად. ორგანიზაციის მიზანია დამწყებ და უკვე გამოცდილ მეწარმეებს შორის ცოდნის გაზიარება. სათაო ოფისი მდებარეობს სილიკონ ველზე. Start-up Grind Tbilisi წარმოადგენს მსოფლიო სტარტაპების ორგანიზაციის ნაწილს. მათი დახმარებით ქართულ სტარტაპებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო დემო დღეებში და თავი წარუდგინონ ინვესტორებს. ამის საუკეთესო მაგალითია ქართული სტარტაპების VREX-ის წარმატება, რომელიც Start-up grind Tbilisi-ს საშუალებით წარსდგა ინვესტორების წინაშე, მიიღო დაფინანსება და 7000 სტარტაპიდან 50 საუკეთესო სტარტაპს შორის დასახელდა.

- ✓ **მდგრადობა**

ქართული სტარტაპების ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა გლობალური იდეების გენერირება და ინოვაციების კომერციალიზაცია. ამ მიმართულებით სააგენტოს როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომელიც მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის ქვეყნების, ისრაელის გამოცდილების შესწავლა, ცდილობს ხელი შეუწყოს მეწარმეთა ცნობიერების ამაღლებას და ინტელექტუალური შესაძლებლობების კომერციალიზაციით ძლიერი და მდგრადი ეკონომიკის განვითარებას.

2.4 SME და დამწყები ბიზნესის დაფინანსებაზე ორიენტირებული კერძო საინვესტიციო და ვენჩურული კაპიტალის ფონდების მოზიდვა

✓ შესაბამისობა

ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინოვაციური ეკოსისტემის განვითარების მიზანია ქვეყანაში ხელსაყრელი სამეწარმეო გარემოს შექმნა და ახალგაზრდა, დამწყები მეწარმეების წახალისება ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის. კომპანია, რომელიც სტარტაპად მოიაზრება, ავტომატურად გულისხმობს, რომ იგი კვლავ განვითარების, ძიებისა და ზრდის ფაზაშია, შესაბამისად მას მუდმივად ჭირდება ფინანსური მხარდაჭერა, რადგან ყოველი შემდგომი ეტაპი უფრო მასშტაბურია და მით უფრო იზრდება ფინანსების მოზიდვის საჭიროებაც. ამ მიმართულებით არსებული სახელმწიფო პროგრამები და პროექტები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამწყები, მცირე და საშუალო მეწარმეების ხელშეწყობისთვის.

ამ თვალსაზრისით, ასევე, უმნიშვნელოვანესია საინვესტიციო ფონდების კანონმდებლობის დაახლოება საერთაშორისო ნორმებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს არა მხოლოდ ინვესტორთა დაცულობის ხარისხის გაზრდას, არამედ წარმოადგენს წინაპირობას საერთაშორისო ბაზრის მონაწილეების მხრიდან საქართველოს მიმართ მეტი ნდობისა და დაინტერესებისთვის. თავის მხრივ, განვითარებული საინვესტიციო ფონდების ბაზრის არსებობა ქვეყანაში გაზრდის მოთხოვნას საინვესტიციო პროდუქტებსა და სერვისებზე, რაც გამოიწვევს კაპიტალის ბაზარზე ემიტენტების, შუამავლებისა და ინვესტორების უფრო მეტ აქტიურობას და საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

✓ ეფექტურობა

ქართული სტარტაპების უცხოური სარისკო კაპიტალის ინვესტორებთან (angel and venture investors) და მენტორებთან დაკავშირების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ არაერთ ღონისძიებას უმასპინძლა და გამართა B2B ბიზნეს ფორუმი.

ენჯელ ინვესტორი არის ფიზიკური პირი კარგი ფინანსური შესაძლებლობებით, რომელიც აბანდებს კაპიტალს ბიზნეს სტარტაპებში წილის ან კონვერტირებადი ვალის სანაცვლოდ. ტერმინი "ენჯელ"-ის წარმომავლობა უკავშირდება ხელოვნების სფეროს შეძლებულ დამფინანსებლებს. ეს ტერმინი ავტომატურად დამკვიდრდა ბიზნეს სამყაროში მას შემდეგ, რაც იგი გამოიყენა აკადემიკოსმა ვილიამ ვეთზელმა „როგორ მოიზიდეს მეწარმეებმა SEED კაპიტალი". მან აღნიშნა, რომ ინვესტორებმა, როგორც "ანგელოზებმა" ისე დააფინანსეს სტარტაპები საწყის ეტაპზე (Kopp & Ganz, 2016).

სააგენტოს ხელშეწყობით შედგა შეხვედრა ქართველი სტარტაპებსა და ებრაელ ენჯერლ ინვესტორთან, ასევე გაიმართა ქართველი სტარტაპების შეხვედრები ებრაული საინვესტიციო კომპანიის ხელმძღვანელთან. ამასთან, სააგენტოს თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ფინალურ ეტაპზე ფინალისტი სტარტაპები საკუთარი პროექტების პრეზენტაციით წარდგნენ საინვესტიციო კომიტეტის წინაშე, რომელთაც გამოავლინეს 18 გამარჯვებული.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელშეწყობით გაიმართა B2B ბიზნეს ფორუმი[36].

სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ B2B ფორუმს უმასპინძლა (სააგენტოს ბიუჯეტმა 2016 წელს 4,215 ლარი შეადგინა), რომელშიც პროგრამის 140 ბენეფიციართან ერთად, საქართველოს ბაზარზე არსებულმა 180 კომპანიის წარმომადგენლებმა მიიღო მონაწილეობა. ღონისძიების ფარგლებში 300-მდე შეხვედრა გაიმართა, სადაც მეწარმეებმა დაამყარეს ახალი ბიზნესკონტაქტები და მიაწოდეს ინფორმაცია საკუთარი პროდუქტისა თუ მომსახურების შესახებ.

ამასთან, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების და დაფინანსების მოზიდვის მოქნილი მექანიზმების დანერგვის მიზნით ჩამოყალიბდა საინვესტიციო ფონდების ახალი სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც კაპიტალის ბაზრის განვითარების კუთხით მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ბაზარზე საინვესტიციო ფონდების გაჩენის შემდგომ მეწარმეებს აღნიშნული ფონდებიდან დაფინანსების მოზიდვის შესაძლებლობა ექნებათ. აღნიშნულის მნიშვნელობა კაპიტალის ბაზრის განვითარების კუთხით კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება კერძო კაპიტალის და სარისკო/ვენჩერული კაპიტალის ტიპის ფონდების საჭიროებით, რომლებიც დაფინანსებაზე იქნებიან ორიენტირებულები და აღნიშნული ტიპის ალტერნატიულ კაპიტალზე წვდომას უზრუნველყოფენ. კანონის ამოქმედებით ამგვარი ტიპის საინვესტიციო ფონდებს საქართველოში დაფუძნების, სრულყოფილი საინვესტიციო საქმიანობისა და პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობა მიეცათ. ამასთან, ფონდებს უფრო მრავალფეროვანი საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელების საშუალებას აქვთ, მათ შორის უფრო რისკიან აქტივებში დაბანდების შესაძლებლობაც.

- ✓ **გავლენა**

ვენჩურული საინვესტიციო სახელმწიფო პროგრამა "სტარტაპ საქართველო“, რომელიც 2016 წლიდან ამოქმედდა, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოში ინოვაციურ იდეებზე დაფუძნებული ბიზნესის განვითარებას და საერთაშორისო ბაზარზე გასვლას.

პროგრამის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა მიიღეს დამწყები ბიზნესების ინოვაციურმა იდეებმა. პროგრამა სხვადასხვა კომპონენტებს მოიცავს - დაფინანსებას,

[36] *შენიშვნა: ბიზნესი ბიზნესისთვის აღწერს ისეთ ბიზნესს, რომლის სამიზნეა სხვა ბიზნესი თავისი პროდუქტით ან მომსახურებით. B2B ტექნოლოგიას ზოგჯერ საწარმოს ტექნოლოგიასაც უწოდებენ.*

შესაბამისი განათლების ხელშეწყობას და სხვა. პროექტის კოორდინატორობას უწევდა "საპარტნიორო ფონდი“ და „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“. სააგენტომ დაფინანსება გასცა უნიკალურ მაღალტექნოლოგიურ ინოვაციურ იდეებზე, ხოლო საპარტნიორო ფონდმა დააფინანსა ინოვაციური პროექტები. მთლიანად პროგრამის ბიუჯეტმა 35 მილიონი ლარი შეადგინა. პროექტში 51 ფინალისტიდან 20-მა სტარტაპმა გაიმარჯვა და შესაბამისად მიიღო დაფინანსება. მაღალტექნოლოგიური პროექტები შეაფასეს ვენჩურულმა ინვესტორებმა სილიკონ ველიდან. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პროექტის ინოვაციურობას, ბიზნეს-მდგრადობას და პერსპექტიულობას. პროგრამის ფარგლებში სააგენტომ უზრუნველყო ტრენინგები, ქოაჩინგი, მენტორინგი და საკონსულტაციო მომსახურება პროგრამის ყველა ბენეფიციარისთვის.

ვენჩერული საინვესტიციო პროექტი განკუთვნილია მაღალტექნოლოგიური დარგის სტარტაპებისთვის, რომელიც მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: ავიაკოსმოსური წარმოება, ავტომობილები, ხელოვნური ინტელექტი, ბიოტექნოლოგიები, ბიოინფორმატიკა, კომპიუტერული ინჟინერია, კომპიუტერული მეცნიერება, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ნანოტექნოლოგიები, ბირთვული ფიზიკა, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რობოტიკა, ნახევარგამტარები და ტელეკომუნიკაცია.

- ✓ **მდგრადობა**

ინტერნეტის მოხმარების ზრდამ არა მხოლოდ მომხმარებელთა ბაზრის ზრდა გამოიწვია, არამედ დაფინანსების მაძიებლებსა და ინვესტორებს შორის კომუნიკაციის შესაძლებლობები გაზარდა. ინტერნეტის მეშვეობით სტარტაპებს მარტივად შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია დაფინანსების შესაძლებლობებზე, მოიძიონ სასურველი აქსელერაციის პროგრამებიდა დაუკავშირდნენ ენჯელ ინვესტორებს.

თავის მხრივ, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო მუდმივად უზრუნველყოფს წარმატებული პროექტების წარდგენას საერთაშორისო ინვესტორებისთვის, დამატებითი ინვესტიციების მოსაპოვებლად სილიკონ ველიში.

2.5 მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა კომერციული ბანკებიდან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან დაფინანსების ზრდისთვის

- ✓ **შესაბამისობა**

მცირე და საშუალო ბიზნესი ეკონომიკის ხერხემალია. მისი მნიშვნელობა არა მხოლოდ მონეტარული თვალსაზრისით განისაზღვრება, არამედ უმნიშვნელოვანესია მოსახლეობის ჩართულობისა და შემოსავლების გადანაწილების კუთხით. სწორედ

ამიტომ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მთავარი ქვაკუთხედია.

წლების განმავლობაში, სხვადასხვა კვლევებით და შეფასებებით, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად ფინანსებზე ხელმისაწვდომობა სახელდება. სწორედ, ამიტომ მცირე და საშუალო, განსაკუთრებით კი დამწყებ კომპანიებისთვის უმნიშვნელოვანია მიზნობრივი პროგრამების არსებობა, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მათი შემოდგომი განვითარებისთვის.

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია სახელმწიფო პროგრამები, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს იმ საბაზრო ჩავარდნების აღმოფხვრას, რომლებიც ხელს უშლის სიცოცხლისუნარიან ბიზნესს კრედიტის აღებაში.

სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ ხელშეწყობით ამოქმედდა საკრედიტო საგარანტიო სქემა, რომელიც ხელს უწყობს ისეთი სიცოცხლისუნარიანი მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსებას, რომელთაც არ გააჩნიათ საკმარისი უზრუნველყოფა არსებული საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებში სესხის ასაღებად[37]. 2020 წელს პროექტის ბიუჯეტმა 31,486,320 ლარი შეადგინა.

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებას. საქართველოს სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და მიზნობრივი გამოყენება ქვეყნის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამ თვალსაზრისით მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია სოფლად დასაქმების, შემოსავლების, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების და ქალაქად და სოფლად თანაბარი ცხოვრების დონის მიღწევისთვის. აღნიშნული პოლიტიკის კონტექსტში საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა საქართველოს სოფლის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგია[38], რომელიც სხვადასხვა დარგობრივი თუ სექტორული მიმართულებების განვითარებას ითვალისწინებს.

- ✓ **ეფექტურობა**

სახელმწიფო პროგრამის - საკრედიტო საგარანტიო სქემის მიზანია ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესება იმ მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა, დააკმაყოფილონ სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები. პანდემიით გამოწვეული უარყოფითი შედეგების შესამცირებლად 2020 წელს სქემის

[37] „აწარმოე საქართველოში“ 2020 წლის ანგარიში, იხ. http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/606ea449f3169-Annual-Report-2020.pdf

[38] საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია, 2015-2020, იხ. https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/30

ბიუჯეტი 20 მილიონი ლარიდან 330 მილიონ ლარამდე გაიზარდა. ახალ სესხებზე კი გაიზარდა გარანტირებული თანხების მოცულობა ძირი თანხის 70-დან 90%-მდე.

ბანკების გარდა ფინანსური ინსტიტუტის როლში დაემატა მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და დასაშვები გახდა კომერციულ ბანკებში პროგრამის გარეთ გაცემული სესხის პროგრამის ფარგლებში რესტრუქტურიზების და რეფინანსირების გაკეთება.

ასევე, სსიპ "აწარმოე საქართველოში" სააგენტოს მიერ სესხის და პროცენტის თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში 2016-2020 წლებში გაფორმდა 642 ხელშეკრულება 479 ბენეფიციართან. პროგრამის ბიუჯეტმა 2016 წელს 11,813,580 ლარი შეადგინა, 2017 წელს - 13,807,098 ლარი, 2018 წელს - 17,885,149 ლარი, 2019 წელს - 22,302,831 ლარი და 2020 წელს - 25,017,855 ლარი. პროექტების ჯამური ინვესტიცია შეადგენს დაახლოებით 760 მლნ. ლარს, ხოლო დასაქმება აღემატება 18,000-ს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამინისტროს ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს[39] მიერ უკანასკნელი წლების განმავლობაში არაერთი პროექტი განხორციელდა, მათ შორის აღსანიშნავია ახალგაზრდა მეწარმეების განვითარების პროგრამა, „დანერგე მომავალი", შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაზღვევა და სხვა.

- ✓ **გავლენა**

2020 წელს, საკრედიტო-საგარანტიო სქემის ფარგლებში ხელი მოეწერა 174 ხელშეკრულებას, აქედან 154 ახალი პროექტი, ხოლო 20 რესტრუქტურიზებული სესხის გარანტიის პროექტი იყო. ჯამური სესხის მოცულობამ 148.5 მილიონი ლარი შეადგინა. სააგენტოს მიერ გარანტირებული იქნა 121.8 მილიონი ლარი, რაც მთლიანი სესხის მოცულობის 82%-ს შეადგენს. პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული საწარმოების მიერ შეიქმნა 3,175 ახალი სამუშაო ადგილი.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო, უზრუნველყოფილი იქნა აგრომეწარმეებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამმუშავებელი წარმოების, აგროპროდუქციის შენახვისა და რეალიზაციის ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამმუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის მიმართულებით დასაქმებულმა ფერმერებმა და საწარმოებმა საფინანსო ინსტიტუტებისგან მიიღეს შეღავათიანი აგროკრედიტი და აგროლიზინგი ძირითადი და საბრუნავი საშუალებებისთვის. ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში, 2020 წელს პროექტში შესული ცვლილებების თანახმად, ერთწლოვანი კულტურების მოყვანის მიმდინარე ხარჯების დაფინანსების

[39] სსიპ სოფლის განვითარების სააგენტო, იხ. http://www.rda.gov.ge/main

უზრუნველყოფისათვის, სახელმწიფომ მოხდინა 6 თვის საპროცენტო განაკვეთის სრულად დაფინანსება. გარდა ამისა, ძირითადი საშუალებების კომპონენტში გაიზარდა თანადაფინანსების პროცენტი, არსებული წლიური 8%-ს ნაცვლად გახდა 11%. სახელმწიფო ფერმერს 48 თვის განმავლობაში დაუფინანსდა სესხი წლიური 11%-ის ოდენობით. ასევე, გაიზარდა ლიზინგის თანადაფინანსების პროცენტი, ნაცვლად არსებული 9%-სა გახდა 12%.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში 2016-2020 წლებში ბანკების მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტის მოცულობამ 1,919.0 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო კრედიტის პროცენტის სახელმწიფო თანადაფინანსებამ - 506.7 მლნ. ლარი.[40]

პროექტის „შეღავათიანი აგროკრედიტი“ დაწყებიდან, 2013 წლიდან 2019 წლის დეკემბრის ჩათვლით შეიქმნა 11,200-მდე ახალი სამუშაო ადგილი. 2014-2019 წლებში ინვესტიციების მოცულობამ 80 მილიონ ლარს გადააჭარბა, ხოლო სახელმწიფო თანადაფინანსებამ გრანტის სახით 28.9 მლნ ლარი შეადგინა, რომლის წილიც ჯამურ ინვესტიციაში საშუალოდ 36%-ს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ბენეფიციართა მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების მოცულობა 2016-2019 წლებში 598.8 მლნ. ლარი შეადგინა.[41]

საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემების თანახმად[42], მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული სესხების ნაკადების მოცულობამ 2020 წელს, პანდემიის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირებული ეკონომიკური აქტივობის მიუხედავად 5,681.4 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 2016 წლის მაჩვენებელს 18%-ით აღემატება. 2020 წელს მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული სესხების წილმა მთლიან სესხებში 32,4% შეადგინა, რაც 2019 წელს - 32%-ს, ხოლო 2016 წელს მხოლოდ 18,1%-ს შეადგენდა.

- ✓ **მდგრადობა**

საკრედიტო-საგარანტიო სისტემა გაფართოვდება და მისი მეშვეობით ახალი სესხების აღება და არსებულის რესტრუქტურიზაცია უფრო მეტ სექტორში მოღვაწე ბიზნესს შეეძლება. პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა მიმართულებების ფარგლებში სესხის აღებას, მათ შორის როგორიცაა: წარმოება და გადამუშავება; სასტუმრო ინდუსტრია (მშენებლობა); სარესტორნო ინდუსტრია; საქმიანობა საგანმანათლებლო და ჯანდაცვის სფეროში; მომსახურების ფართო სპექტრი; კვლევები და დამუშავება.

პროგრამას დაემატა ეკონომიკური საქმიანობის 3 ახალი კოდი ინდუსტრიული მიმართულებით, 9 ახალი კოდი სოფლის მეურნეობის, კერძოდ მრავალწლიანი

---

[40] საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, წლიური ანგარიში, 2020 წ. იხ. https://mepa.gov.ge/Ge/Reports

[41] შენიშვნა: *დასაქმებულთა რაოდენობა რეალურად მეტია, რადგანაც მოცემული მონაცემები მიღებულია მხოლოდ გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული ბენეფიციარების მაჩვენებლების მიხედვით.*

[42] საქართველოს ეროვნული ბანკი, იხ. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=715

კულტურების მოყვანის მიმართულებით. ამასთან, პროგრამაში მონაწილეობა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახდა. ასევე, გამარტივდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემთხვევაში კვალიფიციური პორტფელის დათვლის წესი.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ხელშეწყობის მიზნით შემუშავდა 2021-2027 წლების სტრატეგია[43], რომლის ფარგლებშიც კვლავ გაგრძელდება ერთიანი აგროპროექტი, რომლის მიზანია სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების გადამუშავების და შენახვა-რეალიზაციის რგოლების უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით, აგროსექტორში დაზღვევის განვითარების ხელშეწყობა, სანერგე მეურნეობების მოწყობის და მრავალწლოვანი კულტურების თანამედროვე ბაღების გაშენების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარება ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, რომლის ფარგლებშიც კვლავ აქტიურად გრძელდება თანამშრომლობა.

[43] საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027წ. იხ. https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/20395

3. მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა

3.1 შრომის ბაზრის საჭიროების იდენტიფიცირება და შესაბამისი დასაქმების პროგრამების განვითარება

✓ **შესაბამისობა**

ქვეყნის შრომის ბაზრის ეფექტური ფუნქციონირება, სამუშაო ძალის დასაქმების ხელშეწყობა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება საქართველოს მთავრობის პრიორიტეტული მიმართულებაა. გამომდინარე აქედან, უმუშევრობის დონის შემცირება, შეუსაბამობის შემცირება ბაზრის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, არაფორმალური დასაქმებისა და სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი ემიგრაცია - შრომის ბაზრის პოლიტიკის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს.

სახელმწიფო პოლიტიკის სწორად დაგეგმვის და განხორციელების მიზნით, ამასთან, შრომისა და დასაქმების სფეროში საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო კონვენციების, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნათა შესრულების მიზნით, დამტკიცდა შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების კონცეფცია, რომელიც მიმართულია დასაქმების, შრომითი მიგრაციისა და ზოგადად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისკენ.

✓ **ეფექტურობა**

შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა[44] ორიენტირებულია შრომის ბაზრის მონიტორინგზე, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებაზე, განხორციელებული პროგრამების შედეგების შეფასებაზე და შრომის ბაზრის შესახებ სხვადასხვა მონაწილე მხარისა თუ მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდებაზე. აღნიშნული სისტემის განვითარების მიზანს სწორედ სრულყოფილი შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის გატარებით ფრიქციული (უმუშევრობის არსებული დონის) და სტრუქტურული უმუშევრობის შემცირების ხელშეწყობა და შრომის ბაზარზე არსებული სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდებას შორის დისბალანსის აღმოფხვრა წარმოადგენს.

შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის განვითარებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სახელმწიფო პოლიტიკის სწორად დაგეგმვას და განახორციელებას. სწორედ სისტემის განვითარებით, კვლევებისა და ანალიზის შედეგად, შესაძლებელი გახდა სრული

[44] შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა იხ. www.lmis.gov.ge

სიზუსტით დაგეგმილიყო და განხორციელებულიყო პროფესიული სასწავლო პროგრამები, განსაზღვრულიყო მათი დაფინანსების პრიორიტეტები.

- ✓ **გავლენა**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო არის შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის განვითარებასა და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი უწყება.

სამინისტროს მიერ 2017 და 2020 წლებში განხორციელდა „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა“[45]. 2017 წელს ბიუჯეტმა 160,930.76 ლარი შეადგინა, ხოლო 2020 წელს 275,353 ლარი.

კვლევის მიზანი იყო ადამიანისეული კაპიტალის უნარებზე საწარმოების მოთხოვნის გამოვლენა, რომელთა გათვალისწინებაც ხელს უწყობს უნარებთან მიმართებით შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის შემცირებას და უნარების მოხმარების ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდას. აღნიშნული კვლევის მეთოდოლოგია მომზადდა ევროპის სასწავლო ფონდის მიერ მომზადებული სახელმძღვანელოს მიხედვით, რომლის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები შეჯერდა სახელმწიფო უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში (საქართველოს განათლების და მეცნიერები სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური).

შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა წარმოადგენს „ერთი ფანჯრის“ პრინციპზე შექმნილ საჯარო ვებ-პორტალს, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა მომხმარებლისათვის განახლებული ინფორმაციის მიწოდებას ქვეყანაში შრომის ბაზრის ტენდენციებზე, კარიერულ დაგეგმვასა და პროფესიებზე. მომხმარებლისათვის უმთავრეს სირთულეს წარმოადგენს ინფორმაციის გაფანტულობა, მისი გაანალიზება და პრაქტიკაში გამოყენება. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის ამოცანაა დაეხმაროს მომხმარებლებს აღნიშნული სირთულეების დაძლევაში. იგი წარმოადგენს საინფორმაციო ბანკს, სადაც თავმოყრილია შრომის ბაზრის ინფორმაცია, ადვილად გასაგებია და მარტივია მისი პრაქტიკაში გამოყენება.

ამასთან, 2018-2019 წლებში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განახორციელა სექტორებზე ორიენტირებული კვლევები, სადაც

[45] უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა, 2017წ, იხ. http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Survey&ID=f7fe927d-6684-47f9-9da2-da850754aad3
უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა, 2020წ, იხ. http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Survey&ID=7d9ca7cd-cc1b-45ed-9f8f-394b060d9abe

შესწავლილი იქნა ტურიზმის[46] და სამშენებლო სექტორები. 2018 წელს მომზადდა „ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა“, რომლის ბიუჯეტმა 46,787 ლარი შეადგინა, 2019 წელს კი მომზადდა „სამშენებლო ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა“[47], რომლის ბიუჯეტმა 56,068.88 ლარი შეადგინა.

GIZ-ს მხარდაჭერით, ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევის საფუძველზე მომზადდა პროფესიულ განათლებაში სწავლების დეტალური გეგმის პირველადი სამუშაო ვერსია სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.

საკარიერო განათლების პოლიტიკაში მეწარმეობის კომპონენტი ინტეგრირების ფარგლებში საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ ევროკავშირთან პარტნიორობით განახორციელა კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის ინტეგრირებული ხედვა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ აქტიურად მიმდინარეობდა სამუშაოს მაძიებელთა კონსულტირება დასაქმების შესაძლებლობებსა და სერვისებთან დაკავშირებით. პროგრამის ფარგლებში 2016-2020 წლებში ინდივიდუალური კონსულტირება სულ გაიარა 22,371 სამუშაოს მაძიებელმა, ხოლო ჯგუფური - 4,549. პროექტის ბიუჯეტმა აღნიშნულ პერიოდში 522,021 ლარი შეადგინა.

შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებში სამუშაოს მაძიებელთა მომზადება-გადამზადების პროგრამის ბიუჯეტმა 2016 წელს 1,294,380 ლარი შეადგინა, 2017 წელს - 1,607,824 ლარი, 2018 წელს - 1,991,004 ლარი, ხოლო 2019 წელს 1,749,107 ლარი. სტაჟირების პროგრამის ბიუჯეტმა 2016 წელს 16,800 ლარი შეადგინა, 2017 წელს - 50,400 ლარი, 2018 წელს - 92,800 ლარი, 2019 წელს - 51,600 ლარი, ხოლო 2020 წელს - 3,200 ლარი.

შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, „პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების” და „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების“ სახელმწიფო პროგრამების ბიუჯეტმა 2016-2020 წლებში 626,084 ლარი შეადგინა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელდა შრომის ბაზრის

[46] ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა, 2018წ. იხ. http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Pages/User/Surveys.aspx?ID=ca21a874-c374-4c77-9d31-19e12d6fd368

[47] სამშენებლო ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა, 2019წ. იხ. http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Pages/User/Surveys.aspx?ID=ec14cee2-6c9d-4d5e-92e3-9f2d8bacc916

თვისობრივი კვლევები და მომზადდა ანგარიშები. აღნიშნული აქტივობების ბიუჯეტმა 2017-2019 წლებში 18,825 ლარი შეადგინა.

- ✓ **მდგრადობა**

ადამიანური რესურსების განვითარება ეკონომიკის ზრდის, ინვესტიციების მოზიდვისა და ახალი ეკონომიკური დარგების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. სწორედ ამიტომ შრომის ბაზრის მოსალოდნელი ტენდენციების შესახებ ინფორმაციის ფლობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რაც ასევე გადამწყვეტია დამსაქმებლებისთვის, სხვადასხვა კვლევითი ინსტიტუტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის, მათ შორის დონორი ორგანიზაციებისთვის.

საგულისხმოა, რომ „საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზის" კვლევები ორიენტირებულია არა მხოლოდ არსებული ტენდენციების შესწავლასა და იდენტიფიცირებაზე, არამედ განსაზღვრავს იმ ძირითად სექტორებს, რომლებშიც განსაკუთრებით მაღალი ეკონომიკური აქტივობაა მოსალოდნელი მომდევნო წლებში, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს ამ სექტორებში დასაქმების ზრდის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას.

3.2 მცირე და საშუალო საწარმოთა ტრენინგების საჭიროებათა შეფასება

- ✓ **შესაბამისობა**

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ტრენინგების საჭიროებათა შეფასება (TNA), რაც მნიშვნელოვანია მეწარმეების მოთხოვნების განსაზღვრისა და შესაბამისი ტრენინგების ჩატარების მიზნით. ამასთან, TNA-ის შედეგების ანალიზი ხელს უწყობს სახელმწიფოს მიერ მიწოდებული სერვისების გაუმჯობესებას და რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების შესაძლებლობათა გაძლიერებას.

- ✓ **ეფექტურობა**

სააგენტომ „აწარმოე საქართველოში" საერთაშორისო პარტნიორის ETF-ის (European Training Foundation)[48] მხარდაჭერით შეიმუშავა ტრენინგების საჭიროებათა შეფასების (TNA) კონცეფცია და შესაბამისი მექანიზმები (კითხვარის ჩათვლით). ETF-ის მხარდაჭერით ჩატარდა მცირე და საშუალო საწარმოთა ტრენინგების საჭიროებათა

[48] ევროპის განათლების ფონდი, იხ. https://www.etf.europa.eu/en

შეფასება. პროგრამის ფარგლებში დონორთა მხარდაჭერით რამდენიმე საპილოტე კვლევა განხორციელდა.

- ✓ **გავლენა**

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ რამდენიმე საპილოტე კვლევა განხორციელდა. სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულებით განხორციელდა კვლევა „თანამშრომლობის ხელშეწყობა განათლებასა და ბიზნესს შორის სასტუმრო ინდუსტრიაში“. კვლევის ფარგლებში მოეწყო შეხვედრა ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში მოღვაწე კომპანიებისა და უმაღლეს/პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს შორის. ასევე, კვლევა ჩატარდა შესაფუთი მასალების, ქაღალდის წარმოების და ბეჭდვის, საკვები და სასმელი პროდუქტების, საფეიქრო ინდუსტრიის სექტორებში. სექტორების კვლევის შემდგომ ჩატარდა ფოკუს ჯგუფის შეხვედრები, რომლის მიზანი იყო ტრენინგების საჭიროებების და მთავარი გამოწვევების იდენტიფიცირება. დაიბეჭდა და გამოიცა 100-მდე ეგზემპლიარი კვლევის და ფოკუს ჯგუფის ანალიზის მასალა. ამასთან, TNA-ის განხორციელებისთვის, შიდა უნარების განვითარების მიზნით, ჩატარდა რამდენიმე ტრენინგი ETF-ის და დაქირავებული კონსულტანტების მხრიდან.

- ✓ **მდგრადობა**

სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ კვლავ აგრძელებს ტრენინგების საჭიროებათა შეფასების (TNA) კომპონენტის გაძლიერებას, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია კვლევების განხორციელება სხვადასხვა სექტორში დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.

3.3 უწყვეტი სამეწარმეო სწავლების დანერგვა განათლების სისტემის ყველა დონეზე

- ✓ **შესაბამისობა**

პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში დასახული პრიორიტეტების და მიზნების განხორციელება[49] ხელს უწყობს ადამიანური რესურსების მდგრად გაუმჯობესებას, რაც გულისხმობს პოტენციალის განვითარებას, დასაქმების თუ თვითდასაქმების შესაძლებლობას, შემოსავლის მიღებას და თვითრეალიზებას. ახალგაზრდებისთვის პროფესიული განათლება შესაძლებლობების ალტერნატივაა, ზრდასრულებისთვის კი კარიერის განვითარების მნიშვნელოვანი მექანიზმი და ახალ სპეციალობაში გადამზადების საშუალებაა. ამ მიზნების მიღწევის წინაპირობას კი

[49] პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია 2013-2020წწ. იხ. https://www.mes.gov.ge/uploads/300.pdf

წარმოადგენს ერთიანი, ეფექტურის დაფინანსების და მართვის მქონე თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებობა, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი პირისათვის.

- ✓ **ეფექტურობა**

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელდა განათლების სისტემის ყველა დონეზე უწყვეტი სამეწარმეო სწავლების (LLEL) სამოქმედო გეგმის დანერგვა. აქტივობები გაერთიანდა ორი ძირითადი მიზნის გარშემო: განათლების სისტემაში შეიქმნა მეწარმეობის ეკოსისტემა და გაუმჯობესდა სამეწარმეო სწავლება. სამეწარმეო აქტივობების დანერგვის ფარგლებში განხორციელდა კოლეჯების შესაძლებლობების და საჭიროებების შეფასება, შემუშავდა შესაბამისი ქვეპროგრამები, გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საფუძველზე დაინერგა სამეწარმეო პრაქტიკის განვითარება სკოლებში.

სამეწარმეო სწავლების შესახებ ცნობიერების ამაღლების და სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირების მიზნით განხორციელდა საინფორმაციო კამპანიები, კოლეჯებს შორის მოხდა წარმატებული პრაქტიკის გაზიარება. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ETF-ის და UNDP-ის მხარდაჭერით შეიქმნა სამეწარმეო კულტურის დანერგვის კონცეფცია და დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები სასწავლო დაწესებულებებში პილოტირებისათვის - 2020 წელს შეირჩა იქნა კომპანია, რომელიც მხარდაჭერას გაუწევს 2 საპილოტე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას კონცეფციის დანერგვის სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში.

სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მეწარმეობის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და ახალი სერვისების დანერგვის მიზნით, კალიფორნიის უნივერსიტეტის (UC Davis) გამოცდილების საფუძველზე და ევროპული EntreComp კომპეტენციების ჩარჩოს ფარგლებში, მეწარმეობის არსებული მოდული და დამხმარე მასალები გადაიხედა და წარედგინა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

სსიპ-მა „შემოქმედებითი საქართველო“, ბრიტანეთის საბჭოს „შემოქმედებითი ნაპერწკლის“ საგრანტო პროგრამის ფარგლებში, განავითარა სხვადასხვა მიმართულების სტუდენტების სამეწარმეო უნარ-ჩვევები და მათი ჩართულობით, შეიმუშავა არსებული ინსტიტუციებისა და პროგრამების/პროექტების კონცეფციებისა და მართვის ახალი გეგმები და ბიზნეს განვითარების სტრატეგიები. ასევე, ჩატარდა მენტორინგის სესიები სტუდენტებისთვის, მათი სტარტაპების განვითარებისა და ბიზნეს-უნარების გაუმჯობესების მიზნით. გადამზადებულმა სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო სტარტაპ კონკურსში - BIG IDEA CHALLENGE.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმის შედეგად პროფესიული განათლების სისტემა გადავიდა მოდულურ სწავლებაზე. მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები ეფუძნება საგანმანათლებლო სტანდარტებს, რომლებიც შემუშავებულია პროფესიის სტანდარტების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ პროფესიის სტანდარტები შემუშავებულია დამსაქმებელთა მიერ და მათში ასახულია პროფესიული მოვალეობები, ამოცანები და ის მინიმალური მოთხოვნები, რაც უნდა დააკმაყოფილოს კონკრეტული პროფესიის მქონე პირმა. ასევე, შემუშავდა მეწარმეობის მოდული, რომლის გავლაც მოდულურ პროფესიულ პროგრამაზე სწავლის დროს სავალდებულოა ყველა პროფესიული სტუდენტისთვის.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში 2017-2020 წლებში, რეგიონებში, მეწარმეობის უნარები აიმაღლა სულ მცირე 2050-მა ბენეფიციარმა, საიდანაც 350-ზე მეტმა განავითარა ბიზნესი და სულ მცირე 25-მა შექმნა/დააარსა ახალი მცირე და საშუალო საწარმო (SMEs).[50]

- ✓ **გავლენა**

შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბდა მოქნილი პროფესიული საგანმანათლებლო ქსელი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისთვის პროფესიული და პიროვნული, მაღალი ხარისხის კომპეტენციების განვითარებას, ასევე, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის. პროფესიული პედაგოგიური კადრები მომზადებულები არიან თანამედროვე მიდგომებისა და სფეროს უახლესი მიღწევების შესაბამისად. მათ აქვთ კომპეტენციის ამაღლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობა. ჩამოყალიბებულია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე აღიარებული პროფესიული კვალიფიკაციის სისტემა, რომელიც ხელს უწყობს კურსდამთავრებულებს მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებაში ან თვითდასაქმებაში.

სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის დასრულების შედეგად, პროფესიული კვალიფიკაცია მიენიჭა 20,000-ზე მეტ პირს.

პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებების დადებითი გავლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და შრომის ბაზარზე მათი წარმატებული ინტეგრაციაა.

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით 2014 წლიდან რეგულარულად ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

[50] საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, 2020 წლის ანგარიში, იხ. https://gita.gov.ge/geo/static/95

კურსდამთავრებულთა კვლევა (ე.წ. Tracer Study)[51]. კვლევაში წარმოადგენილია ის შედეგები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა კურსდამთავრებულთა ცხოვრებაში სწავლის დასრულების შემდეგ და შეისწავლის იმ კურსდამთავარებულებს, რომელთაც გამოკითხვის პერიოდისთვის პროფესიული პროგრამა ერთი წლის დასრულებული ჰქონდათ. კვლევა იძლევა ინფორმაციას, თუ როგორ განვითარდა კურსდამთავრებულთა საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით (განათლება, დასაქმება, თვითდასაქმება, უმუშევრობა), ასევე აფასებს მათ აღქმებს, დამოკიდებულებებსა და შეფასებებს საკუთარ პროფესიულ გადაწყვეტილებებზე.

კვლევების შედეგებით 2016-2018 წლების პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა შორის დასაქმება 56%-დან 62%-მდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ სქესის მიხედვით დასაქმებულთა შორის უმრავლესობა მამაკაცია. წლების განმავლობაში გამოკითხულ მამაკაცთა დაახლოებით 62%-ია დასაქმებული, ხოლო ქალი რესპონდენტებიდან - საშუალოდ 51%.

დიაგრამა 3. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი სქესის მიხედვით



წყარო: საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო

შენიშვნა: 2019 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი ჩამორჩება წინა წლის მაჩვენებელს[52], შეინიშნება კლება როგორც დაქირავებით დასაქმებულების, ასევე თვითდასაქმების, გაზრდილია უმუშევარი კურსდამთავრებულების რაოდენობა. დასაქმებასა და მის მაჩვენებელზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა არსებულმა პანდემიურმა მდგომარეობამ. კვლევაში გათვალისწინებულია იმ ადამიანების რაოდენობაც, რომელთაც დაკარგეს სამსახური ან თავი შეიკავეს სამსახურის ძებნისგან პანდემიური სიტუაციის გამო. რომ არა პანდემიური

[51] პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში (Tracer Study) იხ. https://www.mes.gov.ge/content.php?id=5962&lang=geo

[52] 2019 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში (Tracer Study), დეკემბერი, 2020 წ. იხ. https://www.mes.gov.ge/uploads/files/322323)_8765.pdf

მდგომარეობა, მაშინ დასაქმების მაჩვენებელი გააგრძელებდა წინა წლების დინამიკას (აღემატებოდა ან არ ჩამოუვარდებოდა წინა წლების მაჩვნებლებს).

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს განხორციელდა OECD-ის მიერ ქვეყნის შეფასება „SME Policy Index - 2020"-ის ფარგლებში, შეფასების შედეგების თანახმად, მეწარმეობის სწავლების კომპონენტი 2016 წელთან შედარებით 2.70-დან 4.24 ნიშნულამდეა გაუმჯობესებული.

- ✓ **მდგრადობა**

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით განხორციელებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პროფესიული განათლების ხარისხი და ხელი შეუწყო პროფესიული განათლების მიმზიდველობას.

შრომის ბაზრის ამჟამინდელი და ასევე სამომავლო მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით კვლავ გრძელდება ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა ინდივიდუალურ და ეროვნულ დონეზე, როგორც მოკლე, ასევე საშუალო და გრძელვადიანი შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკამყოფილებლად. პროფესიული განათლება მიმზიდველია და რეალურ საგანმანათლებლო ალტერნატივას წარმოადგენს, რომელზეც ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია საზოგადოების ყველა ფენისთვის. ყოველივე კი არსებითად მნიშვნელოვანია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებისა და სიღარიბის შემცირების თვალსაზრისით.

3.4 მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარება

- ✓ **შესაბამისობა**

პროფესიული განათლების სისტემის მართვაში, პოლიტიკის ჩამოყალიბების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მარეგულირებელი, მასტიმულირებელი, ფინანსურ-ტექნიკური მხარდაჭერის მექანიზმების განსაზღვრა და განხორციელება მნიშვნელოვანია სოციალური პარტნიორების, დამსაქმებლების, პროფესიული კავშირების, როგორც თანასწორი პარტნიორების ჩართვა.

სოციალურ პარტნიორებს არსებითი როლი და პასუხისმგებლობა აკისრიათ სისტემის წარმატებულ ფუქციონირებაში, რაც უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ დამსაქმებლებმა მიიღონ შრომის ბაზრის შესაბამისად მომზადებული, კომპეტენტური კადრები (რაც ხელს შეუწყობს საწარმოების განვითარებას), ხოლო კურსდათავრებულები დასაქმდნენ მდგრად და მაღალანაზღაურებად პოზიციებზე.

- ✓ **ეფექტურობა**

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს კოორდინაციით განათლების სისტემის განვითარების მიზნით შეიქმნა პროფესიული საბჭოები, როგორიცაა პროფესიული დარგობრივი საბჭოები, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოები და სხვა. ამასთან, უზრუნველყოფილი იქნა სოციალური პარტნიორების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როგორც პროფესიული განათლების განვითარების ზოგადი ხედვის ჩამოყალიბების, ასევე მისი მიღწევის გზების ძიების პროცესში.

თავის მხრივ, პროფესიულ განათლების მიმართულებით საბჭოებში და თემატურ ჯგუფებში მცირე და საშუალო მეწარმეთა ჩართულობის მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით 2019 წელს შეიქმნა პროფესიული დარგობრივი საბჭოები. თითოეული მიმართულების დარგობრივი საბჭოს შემადგენლობაში შედის შესაბამისი სფეროს დამსაქმებლები ან/და მათი გაერთიანების წარმომადგენლები. საბჭომ უზრუნველყო ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული სტანდარტებისა და მოდულების ფორმირება და დამტკიცება. 2020 წლის ბოლოსთვის ფორმირებული იქნა 12 მიმართულების დარგობრივი საბჭო, სადაც ჩართულია შესაბამისი სფეროს დამსაქმებლების და მათი გაერთიანების 26 წარმომადგენელი.

მნიშვნელოვანი ძალისხმევა განხორციელდა პროფესიული განათლების სისტემაში სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისა და განხორციელების მიმართულებით. განხორციელებული საქმიანობის შედეგად, 2016 წლიდან დაინტერესებულ პირებს მიეცათ ამ ტიპის პროგრამებზე სწავლების შესაძლებლობა, რომლის ფარგლებში სწავლის შედეგების 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა. ჯამში, 2016-2020 წლებში მთელი ქვეყნის მასშტაბით დაინერგა 30-ზე მეტი დასახელების დუალური პროგრამა, რომლებზეც ჩაირიცხა 1200-მდე პირი.

- ✓ **გავლენა**

პროფესიის სტანდარტის შექმნის პროცესი მთლიანად დამსაქმებლების და ბიზნესის წარმომადგენლების ჩართულობით განხორციელდა. საბჭოების ჩართულობით, შესაბამისი სტანდარტული მეთოდოლოგიის გამოყენებით, სექტორის, პროფესიისა და სამუშაოს ანალიზის საფუძველზე, შემუშავდა პროფესიული სტანდარტები და დამოუკიდებელი მოდულები. აღნიშნული დოკუმენტების შექმნის სხვადასხვა ეტაპზე - გადამუშავების, საჯარო განხილვებისა და დარგობრივი საბჭოს სხდომებში ჩართულნი იყვნენ დამსაქმებელთა წარმომადგენლები და შემუშავებული სტანდარტის ვალიდაციასაც სწორედ მეწარმეები/დამსაქმებლები ახდენენ. შემუშავებული სტანდარტების დამტკიცება განხორციელდა დარგობრივ საბჭოებზე.

საგანმანათლებლო პროგრამების მოქნილობისათვის, გაიზარდა მისი შრომის ბაზართან თუ პროფესიული სტუდენტების მოთხოვნილებებთან შესაბამისობა, გახდა სწავლის შედეგებზე ორიენტირებული, შემუშავდა მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები, რაც ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღების სისტემის ჩამოყალიბებას. სტუდენტების სამეწარმეო უნარების განვითარებისათვის კი შემუშავდა და სავალდებულოდ განისაზღვრა მეწარმეობის მოდული.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები მომზადდა შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით: სწავლების ორიენტაცია შედეგებზე, სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის ხელშეწყობა, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენება, ორიენტაცია პრაქტიკაზე. აღნიშნული პროგრამები გაანგარიშებულია კრედიტებში. გარკეული კრედიტების დაგროვებით შესაძლებელი გახდა კვალფიკაციის მინიჭება ან განათლების შემდგომ საფეხურზე გადასვლა. ასევე, ცალკეული მოდულების საფუძველზე შესაძლებელი გახდა პროფესიული გადამზადების ორგანიზება.

- ✓ **მდგრადობა**

მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებისა და დანერგვისთვის აქტიურად მიმდინარეობს და კვლავ გაგრძელდება შესაბამისი რესურსების მობილიზება, შესაძლებლობების გაძლიერება სისტემისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე. შრომის ბაზარი დინამიურობისა და პროფესიასთან დაკავშირებული მოთხოვნების ცვლილების შესაბამისად კი მუდმივად ხდება, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე, სწავლებისთვის რესურსების უწყვეტი განახლება.

3.5 არაფორმალურ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა

- ✓ **შესაბამისობა**

არაფორმალური განათლება არის მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს ფორმალური განათლების მიღმა „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შეძენას. არაფორმალური განათლების აღიარება პირს აძლევს შესაძლებლობას მოახდინოს არაფორმალურ გარემოში მიღებული ცოდნის აღიარება, მიიღოს სრული კვალიფიკაცია (შესაბამისად სახელმწიფოს მიერ აღიარებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი) ან დააგროვოს კრედიტები კვალიფიკაციის სამომავლოდ მისაღებად. არაფორმალური განათლების აღიარების მიზანია

არაფორმალური განათლების აღიარების მსურველი პირისთვის, ფორმალური განათლების მიღმა მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება.

„პროფესიული განათლების შესახებ“ ახალი კანონის შესაბამისად, შეიქმნა არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული განათლების საფეხურზე აღიარების შესაძლებლობა.

- ✓ **ეფექტურობა**

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2019 წელს შემუშავდა და დამტკიცდა არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები. არაფორმალური განათლების აღიარების წესი და განახლებული პროცედურები სრულ შესაბამისობაშია ევროსაბჭოსა და ევროპარლამენტის რეკომენდაციასთან.

არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით, მომზადდა საინფორმაციო გზამკვლევები - „არაფორმალური განათლების აღიარების გზამკვლევი”, „არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების გზამკვლევი“ და „არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტის გზამკვლევი“. ჩატარდა კონსულტაციები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებთან. გაიზარდა არაფორმალური განათლების აღიარების სერტიფიცირებული კონსულტანტების რაოდენობა.

- ✓ **გავლენა**

2020 წელს არაფორმალური განათლების აღიარების უფლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიპოვა ორმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ - შპს საზოგადოებრივმა კოლეჯმა „Nataly Academy“ (სილამაზის მომსახურების მიმართულება) და შპს „თეგეტა აკადემიამ“ (მსუბუქი ავტომანქანის შეკეთების მიმართულება) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების ფარგლებში და შესაბამისი ვადით.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსა და ახალი ტექნოლოგიების ლაბორატორიის - ჯეოლაბის (GeoLab) ერთობლივი პროექტის ფარგლებში, არაფორმალური განათლების პროგრამების ხელშეწყობის მიზნით, თბილისსა და საქართველოს 9 რეგიონში განხორციელდა IT გადამზადების კურსი გრაფიკულ დიზაინში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 250-ზე მეტმა ბენეფიციარმა. სააგენტომ, ციფრული ინდუსტრიის აკადემიასთან ერთად, საქართველოს 8 რეგიონსა და თბილისში განახორციელა გადამზადების ახალი პროგრამა - სოციალური მედიის მართვისა და ქოფირაითინგის კურსს. აღნიშული კურსი ფარგლებში სტუდენტებმა შეასწავლეს სოციალური მედიის ძირითად პრინციპები, პლატფორმების შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება, კონტენტ სტრატეგიის წერა, ეფექტური კონტენტის

გენერირება, სწორი საკომუნიკაციო ენით საუბარი, ეფექტური ქოფის წერა, იდეების გენერირებისა და განხორციელების პროცესი. კურსი წარმატებით გაიარა 200-ზე მეტმა ბენეფიციარმა თბილისის და საქართველოს 8 რეგიონიდან. ამასთან, 2020 წელს COVID 19-ისგან გამოწვეული პრობლემების საპასუხოდ, ჩატარდა ონლაინ ტრენინგები ციფრული წიგნიერების და ელექტრონული კომერციის მიმართულებით, რომელსაც დაესწრო 100-მდე მეწარმე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან.

- ✓ **მდგრადობა**

პროფესიული კვალიფიკაციების მინიჭებას და შესაბამისობას მჭიდროდ უკავშირდება წინმსწრები განათლების, არაფორმალური პროფესიული განათლების, სამუშაოზე ან/და ნებისმიერ ადგილას მიღებული გამოცდილების აღიარება. არაფორმალური განათლების გზით მიღებული კომპეტენციების აღიარების მექანიზმების სამართლებრივ დონეზე არსებობა კი უზრუნველყოფს კომპეტენციების გაუმჯობესებას და მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღებას.

3.6 მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის ტექნიკური დახმარების (TA) უზრუნველყოფა

- ✓ **შესაბამისობა**

საქართველოს მთავრობა ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მცირე და საშუალო მეწარმეობას და მიზნად ისახავს სამეწარმეო გარემოს კიდევ უფრო სრულყოფას. ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის მიზანია მცირე და საშუალო საწარმოების ზრდის სტიმულირება, ადგილობრივი კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება, ბიზნესის წამოწყებისა და განვითარების ხელშეწყობა, ითვალისწინებს სასწავლო და საგანმანათლებლო პროგრამების, პროექტების და ტექნიკური დახმარების მექანიზმების შემუშავებას, ორგანიზებასა და განხორციელებას.

ტექნიკური დახმარების კომპონენტი ასევე, ითვალისწინებს წარმატების მოდელის (EFQM)[53] დანერგვის პოპულარიზაციას. EFQM-ის მოდელის მიზანია დაეხმაროს ადგილობრივ ორგანიზაციებს, მათ შორის, საჯარო და კერძო დაწესებულებებს გაუმჯობესონ საკუთარი საქმიანობა EFQM-ის მოდელის გამოყენებით, რომელშიც ინტეგრირებულია ISO საერთაშორისო სტანდარტების ხარისხობრივი კომპონენტები.

- ✓ **ეფექტურობა**

[53] ხარისხის მართვის ევროპული ფონდი, იხ. https://www.efqm.org/

სააგენტო "აწარმოე საქართველოში", რომლის უმთავრეს მიზანს სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, კერძო სექტორის განვითარება, ექსპორტის ხელშეწყობა და ინვესტიციების მოზიდვა წარმოადგენს, ახორციელებს სხვადასხვა პროგრამებს. მათ შორის ერთ-ერთი კომპონენტია მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა ფინანსური და ტრენინგების გზით[54], ასევე პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული და სასტუმრო კომპონენტების ტექნიკური მხარდაჭერის გზით. კომპონენტი ხელს უწყობს როგორც მოქმედ, ასევე პოტენციურ მეწარმეებს წამოიწყონ ან გააფართოონ საკუთარი ბიზნესი ფინანსური და ტექნიკური დახმარების მიღების გზით.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში საქართველოს ყველა რეგიონის მაცხოვრებლებს მიეცათ შესაძლებლობა წამოეწყოთ საკუთარი საქმე, ხოლო ტრენინგებისა და ტექნიკური დახმარების კომპონენტების არსებობამ კი უზრუნველყო დაინტერესებული პირების ცოდნის ამაღლება ბიზნესის კეთების კუთხით. კერძოდ, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტში შემავალი ტექნიკური მხარდაჭერის კომპონენტის ფარგლებში, მეწარმეებს აუნაზღაურდათ საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების, ტრენინგებისა და კონსულტაციების, კომპანიის და წარმოების მართვის, პროდუქტიულობისა და წარმოების მოცულობის ზრდის, ოპერაციების ოპტიმიზაციის, პროდუქციის გაყიდვებისა და მარკეტინგის, კვლევა-განვითარების, ფინანსური ანგარიშგების, ასევე წარმოების პროცესში ხარისხის მართვისა და თანამედროვე სტანდარტების დანერგვის, ტექნიკური დახმარების სქემების შემუშავებისა და განხორციელების მიმართულებით გაწეული ხარჯები 10 000 ლარის ფარგლებში. ინდუსტრიული და სასტუმრო კომპონენტების ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის ბიუჯეტმა 2016 წელს 8,370 ლარი შეადგინა, 2017 წელს - 24,910 ლარი, 2018 წელს - 103,026 ლარი, 2019 წელს - 92,052 ლარი და 2020 წელს - 52,809 ლარი.

ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთვის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია ახალი იდეების გენერირება და ახალი სტარტაპების შექმნა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა იმ პროგრამების დანერგვა, რომლის მიზანია უშუალოდ სტარტაპების ფორმაციის ხელშეწყობა. აღნიშნულის საპასუხოდ აქტიურად განხორციელდა პრე-აქსელერატორის პროგრამა, რომელში აკადემიური სექტორის, განსაკუთრებით კი უნივერსიტეტების მაქსიმალური ჩართულობის ხელშეწყობით შეიქმნა სწორედ სტუდენტებზე მორგებული პროექტები. პროგრამის ფარგლებში ტრენინგები ევროპის ბაზარზე ლიდერმა სტარტაპ აქსელერატორმა კომპანიებმა ჩაატარეს. პრე-აქსელერატორის 5 კვირიანი პროგრამა გულისხმობდა ტრენინგებისა და მენტორშიპის კურსს რომელიც 2 ტიპის მონაწილეზეა მორგებული: სტარტაპზე და პრე-აქსელერატორის მენეჯერებზე. სტარტაპებს/სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა გაიარონ აქსელერაცია, ანუ განავითარონ თავიანტი სტარტაპ იდეები, ხოლო მენეჯერები

[54] მიკრო და მცირე მეწარმეობა 2020; იხ. http://www.enterprisegeorgia.gov.ge/files/4/პროგრამის%20შესახებ.pdf

ღებულობენ აქსელერატორის შექმნის, მართვისა და მენეჯმენტის გამოცდილებას. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ 2019 წელს წარმატებით განახორციელა პრე-აქსელერატორის პროგრამა, რომლის ფარგლებში შეირჩა 9 უნივერსიტეტი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) რომელთაგან თითოეულმა წარადგინა მინიმუმ 1 მენეჯერი, რომელიც გადამზადდა პრე-აქსელერატორის პროგრამის ფარგლებში და შემდგომ რეგულარულად ატარებს პრე-აქსელერატორს უკვე საკუთარ უნივერსიტეტში, მომდევნო ორი წლის განმავლობაში.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) და ევროკავშირის პროექტის ხელშეწყობით დაინერგა EFQM-ის წარმატების მოდელი. EFQM-ის მოდელი ეფუძნება ევროპულ ფასეულობებს, რომელიც დაეხმარა დაწესებულებებს, მიეღწიათ წარმატებისთვის უმაღლესი ხარისხის სტანდარტების დანერგვის გზით.

- ✓ **გავლენა**

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ, საქართველოს რეგიონებში, წარმატებით განხორციელდა მიკრო და მცირე მეწარმეობის წახალისების პროგრამა. სააგენტოს ტექნიკური დახმარების კომპონენტის ეფექტური ათვისების მიზნით, პროგრამის ბენეფიციარებსა და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიებს შორის არაერთი B2B შეხვედრები გაიმართა. პროექტის ბიუჯეტმა 2018 წელს 9,813 ლარი შეადგინა. აღნიშნული კომპონენტი გამიზნული იყო როგორც ახალი ბიზნესის წამოწყების, ასევე არსებულის გაფართოება/გადაიარაღებისთვის. 2015-2020 წლის მონაცემებით, სააგენტოს "აწარმოე საქართველოში" მიკრო და მცირე მეწარმეობის წახალისების პროგრამის ფარგლებში, მხარდაჭერილია 6 ათასზე მეტი პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობამ 61 მლნ. ლარზე მეტი შეადგენა და ჯამში სულ დაფინანსდა 10,000-მდე ბენეფიციარი.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ აქტიურად განახორციელა ხარისხის მართვის ევროპული ფონდის (EFQM) სტანდარტების და მოდელის უპირატესობების პოპულარიზაცია, როგორც ჩატარებულ ფორუმებსა და გამოფენებზე, ასევე პალატის DCFTA საინფორმაციო ცენტრებისა და რეგიონული პალატების მეშვეობით. აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა პალატის ახალი წევრების ინფორმირება შესახებ.

- ✓ **მდგრადობა**

ქვეყანაში მეწარმეობის კულტურის განვითარების ხელშეწყობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საკონსულტაციო, საგანმანათლებლო და სხვა სახის ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამების განვითარება, განსაკუთრებით ექსპორტის კულტურის ამაღლების მიზნით, რომლის ფარგლებშიც პრიორიტეტულია სასწავლო ტრენინგების და ტექნიკური დახმარების პროგრამების შემუშავება და შესაბამის საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. ასევე, თანამედროვე, შედეგზე ორიენტირებული და წარმატებული ბიზნეს-პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, კვლავ გაგრძელდება EFQM წარმატების მოდელის პოპულარიზაცია მცირე და საშუალო საწარმოებში დანერგვის ხელშეწყობის მიზნით.

3.7 საგანმანათლებლო კომპონენტის განვითარება "აწარმოე საქართველოში" სააგენტოს ვებ-გვერდზე

- ✓ **შესაბამისობა**

საგანმანათლებლო მასალების ნაკლებობა და ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა მეწარმეებისათვის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატებული განვითარებისთვის. როგორც დამწყები და ასევე მოქმედი მეწამეებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო მასალებზე ონლაინ ხელმისაწვდომობა. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია მეწარმეობის ხელშემწყობი უწყებების, სააგენტოების ვებ-გვერდების განვითარება და სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო და ბიზნეს-ლიტერატურის განთავსება. აღნიშნული საშუალებას აძლევს მეწარმეებს სახლიდან გაუსვლელად ჰქონდეთ წვდომა ინფორმაციაზე და თანამედროვე ცოდნაზე.

- ✓ **ეფექტურობა**

სსიპ „აწარმოე საქართველოში" ახორციელებს საგანმანათლებლო მასალების, ბიზნეს-ლიტერატურის შეგროვებას და განთავსებას სააგენტოს ვებ-გვერდზე. სააგენტომ, USAID-ის პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის" (G4G) ფარგლებში, კომპანია „მაინდვორსთან" ერთად შეიმუშავა ანიმირებული ონლაინ ტრენინგი ექსპორტის საბაზისო საკითხებზე, რომელიც აერთიანებს ექსპორტთან დაკავშირებულ 10 მოდულს[55]. 2019 წელს პროექტის ბიუჯეტმა 37,000 ლარი შეადგინა.

- ✓ **გავლენა**

[55] „ექსპორტის მენეჯმენტის საფუძვლები" იხ. http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/export-management-fundamentals

სააგენტოს „ექსპორტის მენეჯმენტის საფუძვლების“ ონლაინ ტრენინგმა დისტანციური სწავლების კარგი შესაძლებლობა მისცა ექსპორტით დაინტერესებულ პირებს. ტრენინგი აერთიანებს ექსპორტთან დაკავშირებულ 10 მოდულს, როგორიცაა, საექსპორტო პოტენციალის შეფასება, საქართველოს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა, პოტენციური ბაზრის კვლევა, ბაზარზე შეღწევის სტრატეგია და გეგმა, საუკეთესო პარტნიორის შერჩევა, ინკოტერმსი, საერთაშორისო მოლაპარაკებები და კონტრაქტები, საექსპორტო პროდუქტის მომზადება, ლოგისტიკის დაგეგმვა, ბაზრის შენარჩუნება და განვითარება. აღნიშნულმა მნიშვნელოვნად გაუადვილა, განსაკუთრებით რეგიონში მცხოვრებ პირებს, დისტანციურად, სრულიად უსასყიდლოდ, სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად დაუფლებოდნენ ცოდნას და მიეღოთ მათთვის საჭირო ინფორმაცია.

- ✓ **მდგრადობა**

საგანმანათლებლო კომპონენტის განვითარება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია მეწარმეობის ხელშეწყობის თვალსაზრისით. სწორედ ამ მიზნით, “აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს მიერ ინტენსიურად გაგრძელდება ვებ-გვერდის განვითარება, სადაც განთავსდება შესაბამისი საგანმანათლებლო მასალები, ბიზნეს-ლიტერატურა, კვლევები და ვიდეო-რგოლები.

3.8 მეწარმეების მომსახურების ცენტრის მომსახურებების პორტფელის გაფართოება

- ✓ **შესაბამისობა**

მეწარმეების მომსახურების ცენტრი, რომელიც ე.წ. ღია სივრცის პრინციპს ეფუძნება, მეწარმეებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ როგორც კომპიუტერული მომსახურებით და ინტერნეტ-სერვისით, ასევე გაეცნონ თანამედროვე ბიზნეს-ლიტერატურას და ანალიტიკურ მასალებს. მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნას ლექციები, სემინარები და სამუშაო შეხვედრები, რაც ასევე ეხმარება მეწარმეებს პირდაპირი კონტაქტების დამყარების თვალსაზრისითაც.

- ✓ **ეფექტურობა**

მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით სააგენტო "აწარმოე საქართველოში" ფუნქციონირებდა სერვის ცენტრი, რომელიც წარმოადგენდა მრავალფუნქციურ ბიზნეს სივრცეს. მეწარმეების მომსახურების ცენტრი, მეწარმეებს საშუალებას აძლევდა ესარგებლათ როგორც კომპიუტერული მომსახურებით და ინტერნეტ-სერვისით, ასევე გაცნობოდნენ თანამედროვე ბიზნეს-ლიტერატურას და ანალიტიკურ მასალებს. სერვის ცენტრების განვითარება და ხელმისაწვდომობა დადებით გავლენას ახდენს ცოდნაზე დაფუძნებული მეწარმეობის განვითარებაზე. პროგრამის „სახელმწიფო შენი პარტნიორი“ ფარგლებში 2020 წლის სექტემბრიდან სააგენტომ გააფართოვა

მომსახურების ცენტრის მიერ შეთავაზებული სერვისების მიწოდების არეალი და სერვისების მიწოდება რეგიონებში ხორციელდება იუსტიციის სახლების და საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით.

- ✓ **გავლენა**

სააგენტოს სერვის ცენტრის საშუალებით მეწარმეებმა უსასყიდლოდ ისარგებლეს სერვის ცენტრის ინფრასტრუქტურით, როგორიცაა ბიბლიოთეკა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ტიპის ბიზნეს ლიტერატურას. ასევე, მეწარმეთა მიერ აქტიურად იქნა გამოყენებული ცენტრის შეხვედრების და საკონფერენციო სივრცე. აღნიშნული ინფრასტრუქტურა გამოიყენებულ იქნა ლექციებისა და სემინარების მოსაწყობად, როგორც მეწარმეებისთვის, ისე სკოლებისა და უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის. მეწარმეებს, ასევე, ჰქონეთ წვდომა ელექტრონულ და ბეჭდურ რესურსებზე.

- ✓ **მდგრადობა**

სააგენტოს "აწარმოე საქართველოში" სერვის ცენტრის კონცეფცია აშშ-ში დამკვიდრებულ SBDC-ის (მცირე ბიზნესის განვითარების ცენტრების) პრაქტიკას ეფუძნება. მისი განვითარება და ხელმისაწვდომობა დადებით გავლენას ახდენს ცოდნაზე დაუძნებული მეწარმეობის განვითარებაზე.

3.9 ქალთა მეწარმეობის წახალისება

- ✓ **შესაბამისობა**

მეწარმე ქალების მხარდაჭერა და მათი ეკონომიკური გაძლიერება (WEP)[56] ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რადგან სამეწარმეო საქმიანობაში ქალების დაბალი ჩართულობით მნიშვნელოვანი ეკონომიკური პოტენციალი იკარგება. ამასთან, გენდერული თანასწორობისა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების წარმატებით მიღწევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების გარეშე შეუძლებელია.

სწორედ ამიტომ, სახელმწიფო პროგრამების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და სამეწარმეო საქმიანობაში მათი მონაწილეობის ხელშეწყობა, ასევე, ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი პლატფორმის შექმნა განისაზღვრა.

- ✓ **ეფექტურობა**

საქართველოს მთავრობამ, დონორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით, განახორციელა არაერთი პროგრამა, რომლის მიზანი იყო ქალთა მეწარმეობის

[56] UN Global Compact and UN Women, იხ. https://www.weps.org/

ხელშეწყობა. აღნიშნული პროგრამები ქალ მეწარმეებს სთავაზობდა ისეთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტებს, როგორიცაა საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; ქალების მიერ მართული მცირე და საშუალო ბიზნესისათვის განკუთვნილი სპეციფიკური, მდგრადი ფინანსური პროდუქტის შექმნა; სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება; ქალების მფლობელობაში არსებული მცირე და საშუალო ბიზნესისათვის საკონსულტაციო სერვისებსა და ნოუ-ჰაუზე წვდომაში დახმარების აღმოჩენა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ქალთა მეწარმეობის განვითარების და საჭიროებათა იდენტიფიცირების მიზნით, კერძო სექტორის განვითარების საკონსულტაციო საბჭოსთან შეიქმნა პლატფორმა - ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობის ქვესაბჭო. საბჭოს სხდომებზე, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ სახელმწიფო უწყებებისა და ქალთა ასოციაციების წარმომადგენლები, იდენტიფიცირებული იქნა ქალთა მეწარმეობის განვითარების კუთხით არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, ასევე შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.

სახელმწიფო პროგრამებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის საქართველოში“ ხელშეწყობითა და დახმარებით, სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამწლიანი სამოქმედო გეგმა შეიმუშავა. 2020 წელს პროექტის ბიუჯეტმა 68,800 ლარი შეადგინა. სტრატეგიის მიზანია სააგენტოს საქმიანობაში გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისა და ინტეგრირების ხელშეწყობა. სტრატეგიის ძირითად პრინციპებს შორის აღსანიშნავია გენდერული თანასწორობის გაძლიერება და დაცვა, რაც გულისხმობს გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელებას სააგენტოს პოლიტიკის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესებში. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში დაიხვეწება სააგენტოში სქესის ნიშნით დანაწევრებული მონაცემების შეგროვება და ანალიზი, რაც ხელს შეუწყობს სააგენტოს საქმიანობაში ქალების, კაცების, ბიჭებისა და გოგოების განსხვავებულ საჭიროებებისა და პრიორიტეტების უკეთ განსაზღვრას.

სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 2016 წლიდან სულ დაფინანსება მიიღო 3 503-მა ქალმა 17.2 მლნ ლარის ოდენობით, კერძოდ 2016 წელს პროექტის ბიუჯეტმა 7,540,544 ლარი შეადგინა, 2017 წელს - 6,259,429 ლარი, ხოლო 2018 წელს - 3,434,866 ლარი. დაფინანსებულ ქალთა წილი პროგრამის ბენეფიციარებში 2016 წლიდან 2018 წლის ჩათვლით 40%-დან 45%-მდე გაიზარდა. ამასთან 2020 წელს მიღებულ განაცხადებში ქალთა პროცენტული წილი შეადგენდა 48%-ს.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში 2016-2020 წლებში დაფინანსდა 84 ქალი ბენეფიციარი; 2020

წელს თანადაფინანსების 650,000 ლარიანი გრანტების ფარგლებში 10 გამარჯვებული სტარტაპიდან 2 იყო ქალი დამფუძნებელი, ხოლო 100,000 ლარიანი გრანტის ფარგლებში 39 გამარჯვებული სტარტაპიდან 8 იყო ქალი დამფუძნებელი. ამასთან, სააგენტოს ხელშეწყობით, პროგრამის EU4Digital "Promoting women in Technology" ფარგლებში განხორციელდა მენტორობის პროგრამა ქალებისთვის.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ინიციატივით ჩატარდა საინფორმაციო სესიები ქალთა გაძლიერების პრინციპების თაობაზე[57], რომლის მიზანი იყო კერძო სექტორის აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საქმეში. პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები ქალთა ეკონომიკური უფლებებისა და შესაძლებლობის შესახებ ცნობადობის გაზრდის მიზნით.

გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპების ხელშეწყობის მიზნით, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან და ბიზნესლიდერთა ფედერაციის „ქალების მომავლისთვის" 2016 წლიდან ატარებს კონკურსს „ბიზნესი გენდერული თანასწორობისთვის". კონკურსის მიზანია უზრუნველყოს იმ კომპანიების სტიმულირება, რომლებიც ხელს უწყობენ ქალების განათლებას, პროფესიულ განვითარებას და წინსვლას. 2016 წლიდან კონკურსში 150-ზე მეტმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა და გამოვლინდნენ ის კომპანიები, რომლებმაც წარმატებით დაამკვიდრეს სამუშაო ადგილზე თანასწორობა, უზრუნველყვეს თანამშრომელთა ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და უსაფრთხოების დაცვა, მხარი დაუჭერეს ქალების პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას.

- ✓ **გავლენა**

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ანგარიშის - „SME Policy Index - 2020" მიხედვით, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს აფასებს 12 კომპონენტის მიხედვით, ერთ-ერთი კომპონენტია სამეწარმეო სწავლება და ქალთა მეწარმეობა. 2020 წელს საქართველოს ქულა, 2016 წელთან შედარებით, 2.70 ქულიდან 4.24 ქულამდე გაიზარდა და ამ შედეგით პირველი პოზიცია დაიკავა.

ქალთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა დადებითად ფასდება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „მსოფლიო გენდერული გეფის" რეიტინგში. საქართველო 2021 წლის რეიტინგში წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად, 25 პოზიციით დაწინაურდა და მსოფლიოს 156 ქვეყანას შორის 0.732 ქულით 49-ე ადგილი, ხოლო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის 26 ქვეყანას შორის კი მე-12 პოზიცია დაიკავა.

[57] საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, „საინფორმაციო სესია ქალთა გაძლიერების პრინციპების შესახებ", იხ. https://gcci.ge/ka/event/sainformatsio-sesia-kalta-gadzlierebis-printsipebis-shesakheb-7

„მსოფლიო გენდერული გეფი“ ზომავს ქალისა და მამაკაცის თანაფარდობას 156 ქვეყანაში შემდეგი ოთხი მაჩვენებლის მიხედვით, როგორიცაა (1) ეკონომიკური მონაწილეობა და შესაძლებლობა, (2) საგანმანათლებლო მიღწევები, (3) ჯანმრთელობა და არსებობის ხანგრძლივობა და (4) პოლიტიკური უფლებამოსილება.

წინა წელთან შედარებით საქართველოს ქულები რეიტინგის 4-ვე ინდიკატორში გაუმჯობესდა, ხოლო ეკონომიკური მონაწილეობა და შესაძლებლობის ინდიკატორში საქართველო 0.705 ქულით 64-ე ადგილზეა. 2018 წელს საქართველო აღნიშნულ ინდიკატორში 0.654 ქულა ჰქონდა მინიჭებული და 85-ე პოზიციას იკავებდა. ეკონომიკური მონაწილეობისა და შესაძლებლობების მაჩვენებელი, აფასებს ქალისა და მამაკაცის სამუშაო ძალის წილს, თანაბარი ანაზღაურებისა და დაწინაურების/წინსვლის გეფს.

- ✓ **მდგრადობა**

მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა მდგრადი ეკონომიკური ზრდის ფუნდამენტური ელემენტია. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ქალთა მეწარმეობამ პრიორიტეტულობა შეიძინა და პოლიტიკური დღის წესრიგის მნიშვნელოვანი ნაწილიც გახდა. სწორედ ამიტომ, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, მისი მნიშვნელობიდან და აქტუალობიდან გამომდინარე, კვლავ რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად, რომელსაც სახელმწიფო პროგრამებში განსაკუთრებული ყურადღება კვლავ დაეთმობა.

3.10 მცირე და საშუალო საწარმოებში „მწვანე პრაქტიკის“ წახალისება

- ✓ **შესაბამისობა**

„ნარჩენების მართვის კოდექსის“ მიზანს წარმოადგენს ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება ეროვნულ დონეზე. საქართველოს მთავრობამ ნარჩენების მართვის სფეროში შესაბამისი სამართლებრივი მოთხოვნების შესასრულებლად, დაამტკიცა „ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია“ (2016-2030) და „ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა“ (2016-2020).[58] მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) სისტემის დანერგვა ეროვნულ დონეზე „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული ერთ-ერთი მოთხოვნა იყო.

- ✓ **ეფექტურობა**

[58] საქართველოს მთავრობის დადგენილება N160 01.04.2016 წ.

2019 წლის ბოლოდან ძალაში შევიდა საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის განსაზღვრული „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (მგვ)“, რომელმაც კონკრეტული პროდუქციის მწარმოებლებსა და იმპორტიორებს დააკისრა პასუხისმგებლობა სპეციფიკური ნარჩენების შეგროვებასა და დამუშავებაზე. ეს პროდუქცია *ბატარეები, ზეთები, შესაფუთი მასალები, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები, საბურავები, აკუმულატორები და ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებები.*

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) დანერგვის მიზნით განხორციელდა პროცესს დაქვემდებარებული სუბიექტების შესაძლებლობების გაძლიერება და ცნობიერების ამაღლება, მომზადდა განმარტებითი სახელმძღვანელო[59]. ამ მიზნით, შემუშავდება შესაბამისი ტრენინგ-პროგრამა მეწარმეთათვის და უზრუნველყოფილ იქნება კონსულტაციები. დაინერგა გარემოსდაცვითი მმართველის (მენეჯერის) კურსები. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) შესახებ სოციალური კამპანიის ფარგლებში მომზადდა და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის სოციალური ქსელის მეშვეობით გავრცელდა 5 საინფორმაციო-საგანმანათლებლო ბანერი.

- ✓ **გავლენა**

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (EPR) ხელს უწყობს გარემოზე უარყოფითი გავლენის შემცირებას, რომელიც სხვადასხვა პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების შედეგად წარმოიქმნება. EPR პრინციპის თანახმად, პროდუქტის მწარმოებლები და ბაზარზე შემომტანები პასუხს აგებენ მის სრულ სასიცოცხლო ციკლზე, წარმოებიდან გადამუშავებამდე, და, შესაბამისად, ვალდებულებას იღებენ, მინიმუმამდე დაიყვანონ ამ პროცესების შესაძლო უარყოფითი გავლენა გარემოზე.

2019 წლიდან, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) ფარგლებში მეწარმეებს დაეკისრათ ვალდებულება და შესაბამისად, მათ მიერ უზრუნველყოფილი იქნა მათ მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტის გამოყენების შემდგომ წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, ტრანსპორტირება, რეციკლირება, აღდგენა და გარემოსათვის უსაფრთხო განთავსება.

ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიით და შესაბამისი სამოქმედო გეგმით განისაზღვრა სტრატეგიული მიზნები და მინიმალური მაჩვენებლების მიღწევის ინდიკატორების სხვადასხვა სახის ნარჩენების მართვისთვის. მაგალითად, ბატარეები - 20%-დან (2020 წელი) საშუალო ვადიან პერიოდში (2025) 50%-მდე, ხოლო 2030 წლისთვის

[59] მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების განმარტებითი სახელმძღვანელო, 2017წ. იხ. https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/69

80%-მდე ნარჩენების მართვის მაჩვენებლის მიღწევა; ზეთები - 50%-დან 75%-მდე გაზრდა და 2030 წლისთვის 90% მაჩვენებლის მიღწევა და სხვა.[60]

- ✓ **მდგრადობა**

საქართველო არის „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებსა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“ ბაზელის კონვენციის მხარე. შესაბამისად, საქართველოს ეროვნულმა პოლიტიკამ უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს სახიფათო და სხვა სახის ნარჩენების გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უსაფრთხო მართვას. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება არის ბაზელის კონვენციის მხარეთა კონფერენციების დოკუმენტებით რეკომენდებული ერთ-ერთი მექანიზმი, რომელსაც შეუძლია აღნიშნული პროცესის ხელშეწყობა ხმარებიდან ამოღებული პროდუქციის შეგროვებასა ან/და დამუშავებაში მწარმოებლების ჩართვისა და წახალისების საშუალებით. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ეფექტიანობა, აგრეთვე, აღიარებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ.

[60] მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების განმარტებითი სახელმძღვანელო https://mepa.gov.ge › Files › Download

4. ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია

„ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ (DCFTA) ხელშეკრულებაზე ხელმოწერამ ქართული პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე გატანის რეალური პერსპექტივა შექმნა. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროცესში ყველა მიმართულებით კომპლექსურად გატარდა რეფორმები. ქართველ მეწარმეებს მიეცათ საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების ეტაპობრივად დანერგვის შესაძლებლობა. შედეგად გაიზარდა ხარისხიანი პროდუქციის წარმოებისა და მიწოდების მასშტაბები, რამაც ხელი შეუწყო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საერთაშორისო ბაზარზე.

4.1 DCFTA-ის პერსპექტივების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება

✓ შესაბამისობა

ასოცირების ხელშეკრულება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (DCFTA), რომელიც ევროკავშირთან 2014 წლის ივნისში გაფორმდა, საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესს ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს. ექსპორტის და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წახალისების გარდა, ასოცირების ხელშეკრულებამ მნიშვნელოვნად დააჩქარა ინსტიტუციური და მარეგულირებელი რეფორმები, რაც ქვეყნის სტანდარტების ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებას ეხმარება. DCFTA ასევე უწყობს ხელს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორების გამოუყენებელი პოტენციალის ათვისებას, ტექნოლოგიებისა და ცოდნის ტრანსფერისთვის პირობების შექმნას ქართული საწარმოების გლობალურ საწარმოო ჯაჭვში ჩართვის საშუალებით.

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ნაწილი IV-ის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხები) მე-3 თავი ითვალისწინებს საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების, მეტროლოგიის, ბაზრის ზედამხედველობის, აკრედიტაციისა და შესაბამისობის შეფასების სისტემების დაახლოებას ევროკავშირის შესაბამის სისტემებთან, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს როგორც საკანონმდებლო, ასევე ინსტიტუციურ დაახლოებას.

ამ მიმართულებით, ასოცირების შეთანხმების მოთხოვნების ეფექტურად შესრულებისთვის, ქვეყანაში შეიქმნა და კვლავ ვითარდება ბაზრის ზედამხედველობის ეფექტიანი სისტემა სამრეწველო პროდუქტებზე, რაც ხელს უწყობს ქვეყნის ბაზარზე

უსაფრთხო პროდუქტის განთავსებას და ამ გზით ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვას.

- ✓ **ეფექტურობა**

DCFTA-ს შესახებ საზოგადოებისთვის ცნობიერების ამაღლება ასოცირების ხელშეკრულებისა და მისი სარგებლის შესახებ მნიშვნელოვან პრიორიტეტად განისაზღვრა. აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტით „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G) ხელშეწყობით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შეიქმნა სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭო და DCFTA-ს ქვეკომიტეტი. პლატფორმის საშუალებით კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის უზრუნველყოფილია ინფორმაციის დროულად მიწოდება სავაჭრო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე. DCFTA-ს სამუშაო ჯგუფი, საჯარო სექტორთან ერთად, აერთიანებს ხუთ ბიზნესასოციაციას, საქართველოს პროფკავშირებს და აღმოსავლეთ პარტნიორობის პლატფორმას, რომლებიც მუდმივი წევრის სტატუსით არიან წარმოდგენილნი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და EU-ს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების ფარგლებში ქვეყანაში შეიქმნა საერთაშორისო დონეზე აღიარებული ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურა.

საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ აქტიური სამუშაოების განხორციელების შედეგად, მეტროლოგიის სფეროში, საერთაშორისო დონეზე აღიარებული გაზომვის მიმართულებებში, მეტროლოგიის ინტიტუტის აღიარებული ჩანაწერების რაოდენობა გაიზარდა და შეადგინა 61 CMC ჩანაწერი შემდეგი მიმართულებით - წნევა, ტემპერატურული გაზომვები, სიგრძე და ელექტროგაზომვები, ასევე, მცირე მოცულობის გაზომვები და სხვ. აღნიშნულ საკითხებზე ადგილობრივი მეწარმეებისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის ცნობადობის ამაღლების მიზნით ჩატარდა სემინარები, რომლის ფარგლებშიც მეწარმეებს მიეწოდათ ინფორმაცია ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის (მეტროლოგია, სტანდარტიზაცია, DCFTA - ბენეფიტები და გამოწვევები) სერვისებთან დაკავშირებით.

DCFTA-ს შესახებ დაინტერესებულ პირთა ინფორმირების მიზნით შეიქმნა საინფორმაციო ცენტრები, რომელიც სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და პროექტს „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და DCFTA საქართველოში“ შორის თანამშრომლობის ფარგლებში ჩამოყალიბდა. აღნიშნული პროექტი ევროკავშირის ინიციატივის - „ევროკავშირი ბიზნესისთვის“ - ფარგლებში მიმდინარეობს[61]. იგი მცირე და საშუალო მეწარმეებს კონკურენტუნარიანობის გაზრდასა და ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო სივრცის პირობებში ჩამოყალიბებულ ახალ მარეგულირებელ გარემოსთან ადაპტირებაში ეხმარება, რათა საქართველოსა და ევროკავშირს შორის

[61] თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან იხ. http://www.dcfta.gov.ge/

თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით სარგებლობა შეძლონ. ინიციატივა ხელს უწყობს ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას, მეწარმეების ცოდნისა და უნარების ამაღლებასა და მათთვის ფინანსების ხელმისაწვდომობას.

- ✓ **გავლენა**

ქვეყანაში საერთაშორისო დონეზე აღიარებული მეტროლოგიური სერვისების ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას, ეროვნული პროდუქციის შეღწევადობას საერთაშორისო ბაზრებზე, რადგან საქართველოში გაცემული დაკალიბრების და გაზომვის სერტიფიკატები აღიარებულია საერთაშორისო დონეზე. აღნიშნული მნიშვნელოვანია ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის. საწარმოებს, ლაბორატორიებს სხვა დაინტერესებულ პირებს აღარ უწევთ გაზომვის საშუალებების საზღვარგარეთ გაგზავნა და ქვეყანაში აღნიშნული მომსახურების ხელმისაწდვომობა მნიშვნელოვნად უზოგავს მეწარმეებს ხარჯებს (დაკალიბრების ღირებულება, ტრანსპორტიების, საბაჟო და სხვა ხარჯები), რაც თავის მხრივ პროდუქციის კონურენტუნარიანობის ამაღლებას უწყობს ხელს.

- ✓ **მდგრადობა**

პროექტი „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და DCFTA საქართველოში“ ევროკავშირის თანადაფინანსებით მიმდინარეობს და მას გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) ახორციელებს. პროექტის მიზანია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) განხორციელებასთან დაკავშირებული ინსტიტუციური და მარეგულირებელი გარემოს რეფორმების მხარდაჭერა, კერძოდ, მცირე და საშუალო მეწარმეობის შესაძლებლობათა გაძლიერების კუთხით, რათა გაიზარდოს ამ სექტორის კონკურენტუნარიანობა და უზრუნველყოფილ იქნას ახალ მარეგულირებელ გარემოსთან მისი ადაპტირება. პროექტი უზრუნველყოფს მცირე და საშუალო მეწარმეობის გაძლიერებას საქართველოში ფართომასშტაბიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.

4.2 მეწარმეობის მხარდაჭერა DCFTA მოთხოვნებთან ადაპტაციაში

- ✓ **შესაბამისობა**

ევროპის შიდა ბაზარი, საზოგადოებას და ბიზნესს აძლევს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში თავისუფლად გადაადგილებისა და ვაჭრობის საშუალებას. ის სთავაზობს მომხმარებელს პროდუქციის ფართო არჩევანს და აძლევს მათი ყიდვის საშუალებას კონკურენტუნარიან ფასად. ამასთანავე, ხელს უწყობს მომხმარებელს იყოს დაცული საკუთარ ქვეყანაში, საზღვარგარეთ ან/და ინტერნეტით ვაჭრობისას. ამასთან

კომპანიებისთვის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის ამარტივებს და აიაფებს ბიზნესის კეთებას მთელ მსოფლიოსთან.

- ✓ **ეფექტურობა**

ექსპორტის ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ ხელი შეუწყო ქართული კომპანიების მონაწილებას საერთაშორისო გამოფენებში (2016 წელი - 1,000,000 ლარი; 2017 წელი - 2,075,765 ლარი; 2018 წელი - 2,519,950 ლარი; 2019 წელი - 2,370,884 ლარი; 2020 წელი - 864,610 ლარი), უზრუნველყო სავაჭრო მისიების ვიზიტები, კერძოდ, სტრატეგიულ და პრიორიტეტულ ბაზრებზე ქართული ექსპორტიორი კომპანიებისთვის წინასწარი B2B ტიპის შეხვედრების დაგეგმვა, ორგანიზება და თანადაფინანსება, ახალი პარტნიორების და ბაზრების დივერსიფიცირების მიზნით. 2019 წელს პროექტის ბიუჯეტმა 3,513 ლარი შეადგინა. 2016-2020 წლებში, სააგენტოს მხარდაჭერით, ქართულმა კომპანიებმა 69 საერთაშორისო ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. სულ დაფიქსირდა თანადაფინანსების 511 ფაქტი.

სააგენტომ ხელი შეუწყო უცხოური ბაზრებიდან შემოსული მოთხოვნების შესაბამისად, ქართული კომპანიების დაკავშირებას მათი პროდუქტებით დაინტერესებულ მყიდველებთან. სააგენტომ განახორციელა მეწარმეებისთვის საქართველოში არსებულ ექსპორტის პროცედურებზე ინფორმაციის მიწოდება, კერძოდ, ექსპორტის პროცედურების აღწერა, ექსპორტისთვის საჭირო სერტიფიკატებზე ინფორმაციის მიწოდება, ქართველი მწარმოებლებისთვის კონკრეტულ ბაზრებზე ტარიფის დადგენა და ა.შ.

მცირე და საშუალო საწარმოების ექსპორტის პოტენციალის ანალიზის მიზნით, შემუშავდა ელექტრონული კითხვარი, რომლის მეშვეობითაც მოხდა ექსპორტიორი კომპანიების კატეგორიზაცია და საჭიროებების გამოვლენა. ამასთან, ექსპორტის პოტენციალის მქონე სექტორების ანალიზის მიზნით, შესწავლილი იქნა სავაჭრო პარტნიორი სამიზნე ქვეყნების ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნა. შედეგად, გამოიკვეთა ახალი პოზიციები, შესაბამისი საექსპორტო ბაზრები, რომელზეც აქვთ პოტენციალი ამ პროდუქტებს.

თავის მხრივ, მეწარმეებისთვის სტანდარტებისა და მეტროლოგიის ცნობადობის ამაღლების ციკლის ფარგლებში საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან თანამშრომლობით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტომ ქართული პროდუქტის შიდა და ევროპულ ბაზარზე განთავსების ხელშეწყობის მიზნით, ევროკავშირის დაფინანსებული პროექტის „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერა ევროკავშირი-საქართველოს DCFTA მოთხოვნების შემდგომი იმპლემენტაციის მიზნით“ ფარგლებში

მეწარმეებისთვის ცნობადობის ამაღლების მიზნით საინფორმაციო სემინარები გამართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბიზნეს-წრეების წამომადგენლებმა.

- ✓ **გავლენა**

შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის" (EPRC) მიერ (ბიუჯეტი 2020 წელს - 5,000 აშშ დოლარი) სააგენტოსთან „აწარმოე საქართველოში" თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა ექსპორტის პოტენციალის მქონე ახალი სექტორების კვლევა. კვლევის ფარგლებში დასაქმების, განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის მაღალი პოტენციალის გათვალისწინებით, შეირჩა ორი ახალი მიმართულება - სათამაშოების და საბავშვო ტანსაცმლის წარმოება[62]. აღსანიშნავია, რომ მოცემული ორი სექტორის გარდა, სააგენტოსთან ერთად უკვე იდენტიფიცირებული იყო მომსახურების სამი სექტორი: არქიტექტურა და დიზაინი, ICT და ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურება.

კვლევის ფარგლებში გამოვლენილი იქნა სათამაშოების და საბავშვო ტანსაცმლის წარმოების დარგში არსებული გამოწვევები და საჭიროებები. გამოვლენილი საჭიროებების საპასუხოდ, პროექტის ფარგლებში, განისაზღვრა ტექნიკური დახმარების კონკრეტული ღონისძიებები.

სათამაშოების წარმოება

„სათამაშოების ბაზრის მოცულობა საქართველოში ჯამურად 20 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. ეს მაჩვენებელი კარგ წინაპირობას იძლევა პირველ რიგში ადგილობრივ ბაზარზე ორიენტირებული ხელშეწყობის პოლიტიკის განსახორციელებლად.

სფეროში ძირითადად 30-მდე მცირე ბიზნესის წარმომადგენელია ჩართული, მათი უმრავლესობა 17 თბილისშია კონცენტრირებული. ეს მათ კლასტერულ განვითარებას მეტ პერსპექტივას უქმნის, თუმცა, მეორეს მხრივ, წარმოშობს კვალიფიციური და იაფი სამუშაო ძალის მოზიდვის პრობლემებს. დარგი განიცდის ნედლეულის, ტექნოლოგიების და ცოდნის დეფიციტს, რაც მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებს საჭიროებს, რომ კონკურენტუნარიანი იყოს როგორც შიდა, ისე გარე ბაზარზე.

ექსპორტის ანალიზი ცხადყოფს, რომ დარგს არ აქვს მოპოვებული ნიშური საექსპორტო ბაზარი და მწარმოებლები არიან სტაბილური ბაზრის ძიებაში, ამიტომ ექსპორტის გეოგრაფია მრავალფეროვანია და მუდმივად ცვალებადი. ერთადერთი, მეტ-ნაკლებად მდგრადი ბაზარი ამ თვალსაზრისით, ამ ეტაპისთვის, სომხეთია“.

საბავშვო ტანსაცმლის წარმოება

[62] ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი „სათამაშოების და საბავშვო ტანსაცმლის წარმოების სექტორის საწიროებების კვლევა“; იხ. https://eprc.ge/uploads/brosh/Sector_Needs_Geo.pdf

„საბავშვო ტანსაცმლის ბიზნესის ბრუნვა საქართველოში 6,3 მილიონ აშშ დოლარს აღემატება. შესაბამისად, ეს მასშტაბი შედარებით მცირეა სათამაშოების ბიზნესის მასშტაბზე, თუმცა ქმნის საინტერესო სივრცეს მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ ამ ბაზრის ასათვისებლად.

იმის გამო, რომ ქართული წარმოების საბავშვო ტანსაცმლის ფასი, ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, საკმაოდ მაღალია, შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს განსაკუთრებითი აქცენტის არა მასობრივ წარმოებაზე და მასობრივი ექსპორტის, არამედ ნიშური პროდუქციის და დიზაინერული პროდუქციის წარმოების განვითარებაზე.

ამის წინაპირობას ისიც ქმნის, რომ ის ერთეული ქეისები, რომელიც საბავშვო ტანსაცმლის წარმოებაში და ექსპორტში ფიქსირდება, ძირითადად 27 დიზაინერული ნაწარმია და საკმაოდ მაღალ საფასო სეგმენტს მიეკუთვნება“.

კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებული პრობლემების და გამოწვევების საპასუხოდ შემუშავდა რეკომენდაციები, რომლის მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა, მათი ცნობადობის გაზრდა ევროპის ბაზარზე და ინტერნაციონალიზაციის ახალი შესაძლებლობების შექმნა. თავის მხრივ, სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ ექსპორტის პოტენციალის მქონე სექტორების DCFTA-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის კუთხით შეიმუშავა მხარდაჭერის ინსტრუმენტები (ექსპორტის მენეჯერთა კურსი), რომელიც სწორედ ექსპორტიორი კომპანიების მოთხოვნებსა და საჭიროებებზე იქნა მორგებული.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომი გახდა სტანდარტების online შეძენის სერვისი (https://sst.geostm.gov.ge/), შედეგად, მნიშვნელოვნად მოქნილი და ეფექტური გახადა სააგენტოს მომსახურება და მის სერვისებზე წვდომა.

„კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს სტანდარტიზაციას, მეტროლოგიას, აკრედიტაციას, შესაბამისობის შეფასებას და ბაზრის კვლევას ამოქმედებულია და ევროკავშირის ნორმებსა და საუკეთესო პრაქტიკას შეესაბამება“.

OECD, SME Policy Index Eastern Partner Countries 2020

✓ მდგრადობა

ექსპორტის მხარდაჭერა და განვითარება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. საქართველოს მთავრობის მიზანია ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაცია, ქართული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაზრდა საერთაშორისო ბაზრებზე, ქართული პროდუქტების ექსპორტის მოცულობის ზრდა და საქართველოს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება.

4.3 მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის სტიმულირება

- ✓ **შესაბამისობა**

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაცია და სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება. აღნიშნული გულისხმობს ორმხრივი, რეგიონალური და მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობების, ასევე პრეფერენციული და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების განვითარებას.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შეთანხმება ახალ შესაძლებლობას ქმნის საქართველოში მეწარმეობის განვითარების, მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაძლიერების, ექსპორტის ხელშეწყობის და ახალი სტანდარტების დანერგვის საშუალებით. ამ მიმართულებით განხორციელდა და კვლავ მიმდინარეობს არაერთი პროექტი, რომელიც ევროკავშირის, ასევე, წევრი ქვეყნების და სხვადასხვა სააგენტოების მხარდაჭერით ხორციელდება, რაც უმნიშვნელოვანესია ქვეყანაში მეწარმეობის, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო ბიზნესის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევის პროცესში.

- ✓ **ეფექტურობა**

საერთაშორისო ბაზრებზე მარკეტინგის და პოპულარიზაციის მხარდაჭერის მიზნით სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ შეიმუშავა საერთაშორისო ღონისძიებებზე მონაწილებისთვის საწარმოთა შერჩევის ახალი კრიტერიუმები, რომლებიც უკეთ არის მორგებული მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მოთხოვნებზე და მეტად კომპლექსურია. სააგენტოს პროგრამების ფარგლებში განხორციელებული პროექტებისთვის საწარმოთა შერჩევის პროცესში სწორედ აღნიშნული კრიტერიუმები გამოიყენება. ხოლო 2020 წლის ბოლოდან კომპანიების შერჩევა ხორციელდება ავტომატურად, პლატფორმა TradewithGeorgia-ს დახმარებით, რაც უზრუნველყოფს მაღალ გამჭირვალობასა და ეფექტურობას.

დაინტერესებულ საწარმოებში ექსპორტის განხორციელებისთვის საჭირო ცოდნის მიწოდების მიზნით, სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ დანერგა ექსპორტის სასერტიფიკატო კურსი (პროექტის ბიუჯეტი: 2016 წელი - 15,510 ლარი; 2017 წელი - 8,687 ლარი; 2018 წელი - 53,104 ლარი; 2019 წელი - 51,106 ლარი). ასევე, კონკრეტული პროდუქტის/მომსახურების ექსპორტის მხარდამჭერი მიზნით განახორციელა დაინტერესებული პირების კონსულტაცია და მიაწოდა ინფორმაცია მათი პროდუქციის ექსპორტის და საექსპორტო ქვეყნებთან დაკავშირებით. სააგენტოს ექსპორტის დეპარტამენტმა მუდმივ რეჟიმში გაუწია კონსულტაციები დაინტერესებულ პირებს,

როგორც სატელეფონო და ელ.ფოსტის, ასევე, ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრების საშუალებით.

ამასთან, პროდუქტების მიხედვით განისაზღვრა 30 პრიორიტეტული საექსპორტო ბაზარი (15 ევროკავშირის ქვეყანა, 12 აზია-აფრიკის რეგიონი ქვეყანა, თურქეთი, აშშ. კანადა). ჩატარდა ანალიზი ამ ქვეყნების სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნებთან დაკავშირებით და მომზადდა იმ პროდუქტების ჩამონათვალი, რომელთათვისაც ეს ბაზრები მიმზიდველ საექსპორტო ბაზრებს წარმოადგენენ.

- ✓ **გავლენა**

ექსპორტის სტიმულირების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში, არაერთ ექსპორტიორ კომპანიაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საექსპორტო ოპერაციები, გაიზარდა ექსპორტი და მოხდა საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია.

უკანასკნელი წლების განმავლობაში, საქართველოს ექსპორტი დადებითი ტენდენციით ხასიათდება. 2020 წელს, მსოფლიო პანდემიის (COVID-19) მიუხედავად, რომლის შედეგად მნიშვნელოვნად დაზარალდა ეკონომიკა შემცირებული მოთხოვნა-მიწოდებიდან გამომდინარე, ექპორტის მოცულობამ (წინასწარი მონაცემებით) 3,342.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 12%-ით ნაკლებია, თუმცა 2016 წელთან შედარებით ექსპორტი 58%-ით არის გაზრდილი.

2020* წელს *(საწარმოთა ზომის მიხედვით)*, მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის მოცულობამ 1,853.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე მხოლოდ 1.6%-ით ნაკლებია, ხოლო 2016 წლის მაჩვენებელს 41.2%-ით აღემატება. 2020 წელს მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში 55.5%-ს გაუტოლდა, რაც 5.8 პროცენტული პუნქტით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს.

რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტის მაჩვენებელს, 2020 წელს საქონლის ექსპორტმა 697.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2019 წელთან შედარებით 11.8%-ით ნაკლებია, თუმცა 2016 წელთან შედარებით 26.6%-ით არის გაზრდილი. მიუხედავად ექსპორტის შემცირებისა, 2020 წელს ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის წილმა მთლიანი ექსპორტის 20.9% შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს მცირედით, მაგრამ მაინც აღემატება (2019 წელს 20.8%-ს შეადგენდა). ამასთან, ევროკავშირში უმსხვილეს სამ საექსპორტო ქვეყანაში - ბულგარეთი, ესპანეთი, გერმანია, რომელზეც ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის 65.7% მოდის და ნომინალში 457.9 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს - ექსპორტის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 19.1%-ით არის გაზრდილი.

- ✓ **მდგრადობა**

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ეფექტიანი განხორციელება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ

შეთანხმების კომპონენტის ჩათვლით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქვეყნის მრავალი მიმართულებით მოდერნიზაციისა და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. ყოველივე განაპირობებს ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შემცირებას და ქვეყანაში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების საერთაშორისო და ევროპულ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

4.4 მეწარმეობის მხარდაჭერა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების დამყარებაში

✓ შესაბამისობა

ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა შორის კონკრეტული ბიზნეს შემოთავაზებების ურთიერთგაცვლისა და კავშირების დამყარების მიზნით უმნიშვნელოვანეს პლატფორმას წარმოადგენს ევროპის მეწარმეთა ქსელი - Enterprise Europe Network (EEN)[63]. EEN-ის ქსელი წარმოადგენს მსოფლიოში უდიდეს ბიზნესისა და ინოვაციების ხელშემწყობ ორგანოს, რომელიც 60-ზე მეტ ქვეყანაში აერთიანებს 3 000 ექპერტს, 600-ზე მეტ პარტნიორულ ორგანიზაციას და მეწარმეებს სთავაზობს მომსახურების ფართო სპექტრს, რომლის მიზანია კერძო სექტორის განვითარება და დასაქმების ზრდა. EEN ქართული კომპანიებისთვის ახალ შესაძლებლობებს ქმნის ევროკავშირის ბაზარზე ფართოდ გაავრცელონ საკუთარი ბიზნეს წინადადებები და მოიზიდონ შესაბამისი პარტნიორები.

ევროპის ბიზნეს ენჯელების ქსელი (EBAN) წარმოადგენს ენჯელ ინვესტორთა ევროპულ გაერთიანებას, რომელიც 50-ზე მეტი ქვეყნიდან 150-ზე მეტ წევრ ორგანიზაციას აერთიანებს. EBAN-ის წევრობა ქართველ სტარტაპებს აძლევს შესაძლებლობას წარადგინონ თავიანთი ინოვაციური პროექტები ევროპელი ინვესტორების წინაშე, ასევე ხელს უწყობს ევროპული პირდაპირი ინვესტიციის შემოტანას ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში, რაც დაეხმარება ქართულ სტარტაპებს გახდნენ უფრო გლობალური კომპანიები და გავიდნენ საერთაშორისო ბაზარზე.

✓ ეფექტურობა

DCFTA-ს ამოქმედების შემდეგ, ქართულ კომპანიებს საშუალება მიეცათ, ახალი პლატფორმის - EEN-ის გამოყენებით ევროკავშირის ბაზარზე ფართოდ გაავრცელონ საკუთარი ბიზნეს წინადადებები და მოიზიდონ პარტნიორები.

DCFTA-ს განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს EEN-ში ქართველი მეწარმეების მონაწილეობის ხელშეწყობას, რაც გულისხმობს EEN-ში

[63] European Commission "Enterprise Europe Network"; იხ. https://een.ec.europa.eu/

ქართველ მეწარმეთა გაერთიანების ხელშეწყობის მიზნით შეხვედრების ორგანიზებას და EEN-ის პლატფორმაზე ქართული კომპანიების დარეგისტრირების ხელშეწყობას.

EEN-ის ბაზაში კომპანიების წინადადების განთავსება ხორციელდება ადგილობრივი წარმომადგენლობის მეშვეობით. საქართველოში EEN-ის წარმომადგენლები არიან სსიპ „აწარმოე საქართველოში“, სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“ და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა. ადგილობრივი წარმომადგენლები დაინტერესებულ კომპანიებს დაეხმარნენ დაკავშირებოდნენ ბიზნეს-პარტნიორებს ევროკავშირსა და სხვა ქვეყნებში, ქსელში განსათავსებელად ბიზნეს-წინადადებების ფორმის შევსებაში, ბიზნესისთვის რელევანტური ინფორმაციის მოძიებაში, სხვა ქვეყნებიდან ბიზნეს-წინადადებების მიღებაში და სხვ.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ უზრუნველყოფილი იქნა ქართველი სტარტაპების საერთაშორისო ქსელებში ეფექტიანად ჩართულობა. ამ მხრივ, აღსანიშნავია საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ევროპის ბიზნეს ენჯელების ქსელის (European Business Angels Network - EBAN) წევრობა, რაც გულისხმობს სააგენტოს არხების საშუალებით მეწარმეთათვის ინფორმაციისა და სიახლეების მიწოდებას.

- ✓ **გავლენა**

ბიზნესის განვითარების ან გაფართოების მიზნით, EEN-ის მეშვეობით, კომპანიებს შესაძლებლობა ჰქონდათ მოეძიათ შესაბამისი საერთაშორისო პარტნიორები პროდუქციის წარმოების და დისტრიბუციის მიზნით, ხოლო ტექნოლოგიების გაცვლის საშუალებით ხელი შეეწყო პროდუქციის ხარისხის ამაღლებას და კონკურენტუნარიანობის ზრდას.

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელშეწყობით EEN-ის პლატფორმაზე დარეგისტრირდა 5 ქართული კომპანია, რომელთაც შეძლეს საერთაშორისო პარტნიორებთან დაკავშირება, განთავსდა ქართული კომპანიების 11 ახალი კომერციული წინადადება. გარდა ამისა, პლატფორმასთან დაკავშირებით კონსულტაცია გაეწია 40-ზე მეტ დაინტერესებულ პირს.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ განხორციელდა პალატის ახალი წევრების ინფორმირება EEN-ის უპირატესობების შესახებ. ასევე, პროექტი „ღია დიალოგი ბიზნესთან“ ფარგლებში საქართველოს მასშტაბით გაიმართა ღონისძიებები და ბიზნესთან საინფორმაციო შეხვედრების ფარგლებში პალატამ EEN-ის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა 700-მდე მეწარმეს და დაინტერესებულ პირს.

EBAN საშუალებით უზრუნველყოფილი იქნა შესაძლებლობების ფართო სპექტრი სტარტაპებისთვის, მათ შორის, როგორიცაა, ვებინარები, ტრენინგები, სემინარები, მასტერკლასები, pitching-ი, ორმხრივი შეხვედრები. ღონისძიებებში მონაწილეობის

გზით სტარტაპებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეხვედროდნენ ინვესტორებს, შეხვედრის მწვრთნელებს, დამხმარე სააგენტოებს, რაც მათ დაეხმარათ საკუთარი წამოწყების/ბიზნესის განვითარებაში.

- ✓ **მდგრადობა**

„ევროპის მეწარმეთა ქსელი“ ემსახურება ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა შორის კონკრეტული ბიზნეს შემოთავაზებების ურთიერთგაცვლას, ბიზნესს ინოვაციების დანერგავსა და კავშირების დამყარებას. EEN არ გულისხმობს მარტო ექსპორტის მხარდაჭერა. ქსელით სარგებლობა შეუძლიათ როგორც ექსპორტიორებს, ასევე იმპორტიორებს. ექსპორტიორებს საშუალება ეძლევათ მოიძიონ დისტრიბუტორები ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ხოლო იმპორტიორებს შეუძლიათ თავად გახდნენ დისტრიბუტორები საქართველოში.

ქართული კომპანიებისთვის იგი საინტერესო პლატფორმაა, რადგან დარეგისტრირების შემდეგ მათ ექნებათ მუდმივი ხელმისაწვდომობა მათთვის საჭირო ინფორმაციებზე, მათ შორის, როგორიცაა მაგალითად რომელიმე ევროპული ინსტიტუტების ან ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული ტენდერები, რაც ქართული კომპანიებისთვის ქმნის ახალ შესაძლებლობებს.

4.5 ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის (Responsible Business Conduct RBC) პოპულარიზაცია

- ✓ **შესაბამისობა**

ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობის (CSR) ქვეყანაში დანერგვას. ამ შეთანხმების საფუძველზე სახელმწიფოს აქვს აღებული ვალდებულება, საქართველოში დაგეგმოს სხვადასხვა აქტივობები, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში ცნობიერების ამაღლების მიზნით და ხელი შეუწყოს ორგანიზაციებში ევროკომისიის მიერ დასახელებული CSR-ის სტანდარტების დანერგვას.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და პასუხისმგებლიანი ბიზნეს ქცევა (CSR/RBC) ხელს უწყობს მდგრად განვითარებას ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით. პასუხისმგებლიანი ბიზნესის ქცევის (Responsible Business Conduct - RBC) პრინციპები გულისხმობს გარემოს მიმართ პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დანერგვას. ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია კერძო სექტორის ცოდნის ამაღლებას RBC-სთან დაკავშირებით და ამ პრინციპების დანერგვის პოპულარიზაცია.

- ✓ **ეფექტურობა**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ორგანიზებით, ეკონომიკური თანამშრომლობისა განვითარების ორგანიზაციასთან (OECD) მჭიდრო თანამშრომლობით, გაიმართა ღონისძიება „Promoting Responsible Business Conduct in Georgia". ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის (RBC) პრინციპებთან დაკავშირებით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპების (OECD Guidelines)[64] შესახებ ცნობიერების ამაღლება როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო სექტორისთვის.

ამასთან, ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის (RBC) სამეწარმეო სექტორში პოპულარიზაციის მიზნით, სსიპ „აწარმოე საქართველოში" სააგენტოსა და Global Compact-ს შორის გაფორმდა ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სამეწარმეო სექტორში RBC-ს პოპულარიზაციას.

- ✓ **გავლენა**

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა (CSRDG) ევროკავშირის მხარდაჭერით 2018 წელს დააფუძნა კორპორაციული სოციალური პასუხიმგებლობის საუკეთესო ინიციატივების ყოველწლიური კონკურსი - „საქართველოს პასუხისმგებლიანი ბიზნესის კონკურსი Meliora"[65].

კონკურსი უნიკალურ შესაძლებლობას სთავაზობს ბიზნესკომპანიებს გააცნონ საზოგადოებას თავიანთი CSR-ინიციატივები და მოიპოვონ აღიარება საუკეთესო მიღწევებისათვის. ამასთან, კონკურსში ჩართულ ყველა კომპანიას საკუთარი წვლილი შეაქვს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და მდგრადი განვითარების მაღალი სტანდარტების დამკვიდრებაში.

კონკურსი Meliora ყოველწლიურად ავლენს და აჯილდოვებს საქართველოში მოქმედ იმ კომპანიებს, რომლებიც ახორციელებენ შთამაგონებელ და სამაგალითო პროექტებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში. 2018 წელს კონკურსში მონაწილეობა მიიღო ორმოცდასამმა კომპანიამ 77 პროექტით, 2019 წელს ორმოცმა კომპანიამ (აქედან, 20 მცირე და საშუალო ბიზნესი) 73 პროექტით, ხოლო 2020 წელს კონკურსის 4 კატეგორიაში 62 განაცხადი იქნა წარდგენილი. კონკურსში წარდგენილი პროექტები, წამყვანმა უცხოელმა და ქართველმა ექსპერტებმა შეაფასეს და მათ შორის, ყველაზე პასუხისმგებლიანი და სამაგალითო პროექტები გამოავლინეს.

ამ ხნის განმავლობაში კონკურსის შესახებ მომზადდა არაერთი სატელევიზიო სიუჟეტი, რადიო გადაცემა, სტატია ონლაინ თუ ბეჭდურ ჟურნალებში.

- ✓ **მდგრადობა**

---

[64] OECD Due Diligence Guidance for Responsible Business Conduct; იხ. https://www.oecd.org/investment/due-diligence-guidance-for-responsible-business-conduct.htm

[65] საქართველოს პასუხისმგებლიანი ბიზნესის კონკურსი; იხ. https://meliora.ge/ka/home

ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის (RBC) განვითარება დადებით ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ კომპანიების საქმიანობაზე, არამედ ზოგადად ქვეყნის განვითარებაზე და განიხილება, როგორც ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ზრდის, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის, ვაჭრობისა და ინვესტიციების მოზიდვის, აგრეთვე მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის მექანიზმი. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში RBC ის ინსტრუმენტია, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის განვითარებასა და საზოგადოებრივი მიზნების მიღწევაში.

5. ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების და კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა

5.1 მცირე და საშუალო საწარმოებში ინოვაციების სტიმულირება

- ✓ **შესაბამისობა**

ქვეყანაში ინოვაციური განვითარების ხელშეწყობის მიზანია დაეხმაროს ადგილობრივ მოსახლეობას, დამწყებ და მოქმედ საწარმოებს გამოიყენონ აქამდე ძნელად ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები საკუთარი საქმიანობის განვითარებისთვის და მიიღონ ცოდნა როგორც ინოვაციების და ტექნოლოგიების სფეროში, ისე მეწარმეობის მიმართულებით. წვდომა ტექნოლოგიებზე ნიშნავს პროგრესს, რაც ქვეყნის განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს.

- ✓ **ეფექტურობა**

ყველაზე მასშტაბური საერთაშორისო სამეწარმეო პროექტი „გლობალური მეწარმეობის კვირეული“ ყოველი წლის ნოემბერში მთელი მსოფლიოს მასშტაბით 160-ზე მეტ ქვეყანაში აღინიშნება. მისი პარტნიორია 20000-ზე მეტი ორგანიზაცია. კვირეულის ფარგლებში, მთელი მსოფლიოს მასშტაბით 35 000-ზე მეტი ღონისძიება იმართება, რომელშიც 20 მილიონზე მეტი ადამიანი მონაწილეობს.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დაფინანსებით, გლობალური სამეწარმეო ქსელისა და „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“ თანაორგანიზებით საქართველოში 2020 წელს მეცხრედ გაიმართა "გლობალური მეწარმეობის კვირეული“ (GEW)[66]. კვირეულის მთავარ თემას ინტეგრაცია წარმოადგენდა, რაც იმ ჯგუფების ჩართულობას გულისხმობდა, რომლებსაც ინოვაციურ სამეწარმეო საქმიანობასთან ნაკლები წვდომა აქვთ, კერძოდ კი კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები ფოკუსირებული იყო ქალებისა და ახალგაზრდების სამეწარმეო შესაძლებლობების გაძლიერებაზე[67].

- ✓ **გავლენა**

გლობალური მეწარმეობის კვირეულის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობას ღებულობდნენ როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი

[66] Global Entrepreneurship Network; იხ. https://www.genglobal.org/
[67] გლობალური მეწარმეობის კვირეული; იხ. https://gita.gov.ge/geo/list/show/423-globaluri-metsarmeobis-kvireuli

ანტრეპრენერები, სტარტაპები და ეკოსისტემის ლიდერები, ადგილობრივი და უცხოელი მეწარმეები, ინვესტორები და სამეწარმეო ეკოსისტემის წარმომადგენლები, რაც ახალ შესაძლებლობებს ქმნის ახალი ბიზნეს ურთიერთობების ჩამოყალიბების თვალსაზრისით. კვირეულის ფარგლებში გამართული ღონისძიებები მოიცავდა სხვადასხვა სახის აქტივობებს, მათ შორის იყო სთორითელინგ სესიები, ვორქშოფები, პანელური დისკუსიები, სტარტაპ ფიჩინგ სესიები და სხვა.

ამდენად, გლობალური მეწარმეობის კვირეულის ღონისძიებების ჩატარება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყანაში სამეწარმეო ეკოსისტემის ფორმირებას, ეკოსისტემის ლიდერების ერთმანეთთან დაკავშირებას, მეწარმეობის პოპულარიზაციას და დამწყები მეწარმეებისათვის მოტივაციის ამაღლებას.

- ✓ **მდგრადობა**

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად მომავალშიც კვლავ აქტიურად გააგრძელებს "გლობალური მეწარმეობის კვირეულის“ დღეების ჩატარებას. ტექნიკური და ბიზნესმიმართულების მენტორების დახმარებით, აღნიშნული კვირეულის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება მონაწილეთა ბიზნესიდეების გენერირება, თეორიულად დაგროვებული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელების და პროდუქციის წარმოებას ხელშეწყობა.

5.2 ინოვაციების და R&D დაფინანსების ეფექტიანი სქემების შემუშავება

- ✓ **შესაბამისობა**

გრძელვადიანი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროს განვითარება. ინოვაციები ხშირ შემთხვევაში რისკიან ბიზნესად განიხილება და შესაბამისად, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის დონე დაბალია. ფინანსური ინსტიტუტები უმეტეს შემთხვევაში არ აფინანსებენ ინოვაციებს და არც კომპანიების მიერ ინოვაციებსა და R&D-ზე გაწეული ხარჯებია საკმარისი. ძირითადად ხდება თანამედროვე ტექნოლოგიების შესყიდვა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. სწორედ ამიტომ, ინოვაციების და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხარდაჭერა.

სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“ ხელს უწყობს ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნას. სააგენტო ახორციელებს ინოვაციების და მეწარმეობის მხარდამჭერ სწავლებას და ტექნიკურ დახმარებას, სტარტაპებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, ინოვაციური ინფრასტრუქტურის შექმნას და განვითარებას, კვლევების და განვითარების (R&D) კომერციალიზაციას.

✓ ეფექტურობა

ინოვაციების, R&D და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებისა და დანერგვის მხარდაჭერის მიზნით შემუშავდა დაფინანსების ეფექტიანი მექანიზმები, მათ შორის, მცირე და საშუალო კომპანიების გრანტებით დაფინანსების პროგრამები. თანადაფინანსების გრანტები წარმოადგენს დაფინანსების ერთ-ერთ ყველაზე მეტად გავრცელებულ ინსტრუმენტს, რომელიც ინოვაციის მხარდასაჭერად გამოიყენება, როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.

2016-2020 წლებში ინოვაციური და ტექნოლოგიური საგრანტო პროგრამების ფარგლებში გაიცა როგორ თანადაფინანსების გრანტები (100,000 და 650,000 ლარიანი), ასევე, მიკრო გრანტები (15,000 ლარიანი). საგრანტო პროგრამების ფარგლებში, სულ დაფინანსდა 500-ზე მეტი ბენეფიციარი *(დანართი 4)*[68].

„თანადაფინანსების 650 000-ლარიანი გრანტების პროგრამის მიზანია მოახდინოს ინოვაციების, ინოვაციური საწარმოების შექმნის სტიმულირება და ჩართვა ქვეყნის ეკონომიკაში. პროგრამის მეშვეობით ქართული მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები, რომელთაც გააჩნიათ პოტენციალი საკუთარი ინოვაცია განავითარონ და წარადგინონ მსოფლიოს დონეზე, მოახდენენ ინოვაციური პროდუქტის პოზიციონირებას გლობალურ ბაზარზე. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება გლობალური პოტენციალის მქონე პროდუქტი - ტექნოლოგიური ან ბიზნეს-პროცესის ინოვაცია, რომელიც ნათლად ასოცირებულია საქართველოსთან და რომლის სათავო ოფისი ოპერირებას ახდენს საქართველოდან“.

GITA, ინოვაციების თანადაფინანსების გრანტები

„პროტოტიპის გრანტით ფინანსდება კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე ინოვაციური პროდუქტის და სერვისის პროტოტიპის შექმნა, უკვე არსებული პროტოტიპის ტესტირება, დახვეწა ან/და გაუმჯობესება. პროტოტიპი არის პროდუქტის პირველადი/ადრეული ნიმუში, რომელიც შექმნილია პროდუქტის კონცეფციის, ფუნქციური შესაძლებლობების გამოსაცდელად“.

GITA, მცირე გრანტების პროგრამა

✓ გავლენა

საგრანტო პროექტის ფარგლებში გაცემული გრანტების შედეგად განხორციელდა ინოვაციების დანერგვა, ტესტირება და მოხდა გაუმჯობესება მათი შემდგომი კომერციალიზაციის მიზნით. ამასთან, უზრუნველყოფილი იქნა ინოვაციებით და ტექნოლოგიებით დაინტერესებული სუბიექტების საერთაშორისო ტექნოლოგიურ და ინოვაციურ ეკოსისტემაში ინტეგრაცია და მათი კომერციული პოტენციალის გაზრდა. აღსანიშნავია, რომ საგრანტო პროექტების ფარგლებში განხორციელდა ადგილობრივი

[68] საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, იხ. https://grants.gov.ge/ka

ელექტრონული მმართველობის პოტენციალის ხელშეწყობა და გაძლიერება, რომლის შედეგად მოხდა სერვისების დიჯიტალიზაცია და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ქვეყნის მოსახლეობისთვის, მარტივი და სწრაფი გადაწყვეტის გზების მეშვეობით.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ქვეყანაში ინოვაციის განვითარების ხელშემწყობი პოლიტიკის შეფასება. ინტელექტუალური საკუთრების რგანიზაციის (WIPO)[69] და მსოფლიოს ბიზნეს სკოლის (INSEAD) „ინოვაციების გლობალური ინდექსის“[70] რეიტინგში პირველად ისტორიაში, საქართველო 2019 წელს ტოპ 50 ქვეყანას შორის მოხვდა და 36.98 ქულით 48-ე ადგილი დაიკავა. 2018 წელთან შედარებით მაჩვენებელი 11 საფეხურით გაუმჯობესდა.

საქართველოს ასეთი მნიშვნელოვანი წარმატების მთავარი ინდიკატორებია მაღალტექნოლოგიური იმპორტი, საინფორმაციო და საკომუნიკაციო მომსახურების (ICT) ექსპორტი და სამრეწველო ნიმუშების დიზაინი.

ინოვაციების გლობალური ინდექსი 2012 წლიდან ყოველწლიურად ქვეყნდება. მისი მიზანია, ინოვაციების მიმართულებით მსოფლიო ტენდენციების ჩვენება. იგი ასევე ცდილობს წარმოაჩინოს ის მექანიზმები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია გრძელვადიანი ზრდის, პროდუქტიულობისა და სამუშაო ადგილების ზრდის მიღწევა. ინოვაციების გლობალური ინდექსი ეხმარება და რჩევებს აძლევს ქვეყნებს, თუ რა არის საჭირო ინოვაციების გასავითარებლად აუცილებელი პირობების/გარემოს შესაქმნელად.

- ✓ **მდგრადობა**

ინოვაციების და R&D დაფინანსების ეფექტიანი სქემების არსებობა ხელს უწყობს ადგილობრივი ინოვაციური, ტექნოლოგიური პოტენციალისა და ეკოსისტემის გაძლიერებას. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო კვლავ აგრძელებს თანადაფინანსების ინოვაციების გრანტების და მცირე გრანტების პროგრამას, რომელიც კვლავ შეუწყობს ხელს საქართველოში საერთაშორისო პოტენციალის მქონე ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურების შემუშავებას, მათ კომერციალიზაციას და ინოვაციური საწარმოების შექმნის სტიმულირებას.

5.3 ინოვაციების და R&D-ის კომერციალიზაციის მხარდაჭერა

[69] ინტელექტუალური საკუთრების რგანიზაცია, იხ. https://www.wipo.int/portal/en/index.html
[70] INSEAD, WIPO “Global Innovation Index”, 2019; იხ. https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo_pub_gii_2019.pdf

- ✓ **შესაბამისობა**

ინოვაციების და R&D-ს კომერციალიზაცია, გამოყენებითი კვლევების ჩათვლით, ხელს უწყობს მათ გამოყენებას ეკონომიკაში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია კვლევითი ინსტიტუტების ფოკუსირება კომერციალიზაციაზე, გამოყენებითი კვლევების პოპულარიზაცია სამეცნიერო წრეებში, ასევე, მეცნიერთა ცნობადობის ამაღლება გამოგონებების კომერციალიზაციასთან დაკავშირებით და საბოლოოდ, ქართული პროდუქტების - ადგილობრივი კომპანიების ინოვაციებისა და გამოგონებების გამოყენების პოპულარიზაცია და ხელშეწყობა.

- ✓ **ეფექტურობა**

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ ინოვაციების და R&D-ის კომერციალიზაციის, ასევე გამოყენებითი კვლევების ხელშეწყობის მიზნით უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო პროგრამა განახორციელა.

ინოვაციების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების პროექტის ფარგლებში ევროკავშირის და მსოფლიო ბანკი მიერ დაფინანსებული ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროექტის საშუალებით 2019 წლიდან ხორციელდება იმ სამეცნიერო პროექტების დახვეწა და კომერციალიზაციის პოტენციალის გაზრდა, რომლებიც ბაზრის საჭიროებებს პასუხობს. აღნიშნული ითვალისწინებს კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობით კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე იდეების შერჩევას, მათი ტექნოლოგიის მზაობის დონის ზრდას და მათ შემდგომ კომერციალიზაციას. ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროექტის (TTPP)[71] ფარგლებში კომერციალიზაციისთვის შეირჩა ისეთი პროექტები, რომლებიც ტექნოლოგიების მზაობის TRL4 და შემდეგ დონეზე იყვნენ.

პროექტების მიღება სპეციალური ფორმის საშუალებით (Snapshot) გამოცხადდა, რითაც დაინტერესებულ მეცნიერებს შესაძლებლობა მიეცათ გამოეხატათ თავისი ინტერესი პროექტისადმი. შეიქმნა პროექტის მართვის სისტემა Microsoft Sharepoint-ის გამოყენებით.აგრეთვე, პროექტის ფარგლებში შემუშავდა პროექტისთვის საჭირო ფორმები და ხელშეკრულებები, რომლებიც ასევე ითარგმნა ქართულ ენაზე. პროექტები, რომლებმაც გადალახეს ინტერვიუს ეტაპი, გადავიდნენ ტექნოლოგიის დეტალური შესწავლის ეტაპზე (Due Diligence). ამასთან, სააგენტომ ადგილობრივი და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, ინდივიდუალური დახმარებაგაუწია მეცნიერებს ტექნოლოგიის დეტალური შესწავლის ეტაპზე შესაბამისი ფორმებისა და ინფორმაციის შევსებასა და მოწოდებაში. განხორციელდა შერჩეული ტექნოლოგიების დეტალური შესწავლა და მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციის დახმარებით კომერციალიზაციისთვის შეირჩა 9 პროექტი, რომელთათვის ინდივიდუალურად შემუშავდა კომერციალიზაციის გეგმა. ამასთან, 2020 წლიდან დაიწყო

[71] GITA, იხ. https://gita.gov.ge/geo/static/155/ttpp

კომერციალიზაციის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება ტექნოლოგიის დახვეწისა და პროექტის ბიზნესა და ინტელექტუალური საკუთრების მიმართულებით მზაობის ამაღლების კუთხით. აგრეთვე, კომერციალიზაციისთვის შერჩეულ თითოეულ პროექტზე აქტიურად მიმდინარეობს შესაბამისი პოტენციური ინდუსტრიული პარტნიორის მოძიება და მათთან მოლაპარაკებების წარმართვის პროცესი.

- ✓ **გავლენა**

ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ტექნოლოგიების გადაცემის პოტენციალის შემოწმების და დემონსტრირების შესაძლებლობა. პროგრამა სრულ თანხვედრაში მოვიდა საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტთან (GENIE)[72] და სხვა ინიციატივებთან. TTPP-ს შედეგად გაიზარდა იმ სამეცნიერო გამოგონებების რაოდენობა, რომელიც პასუხობს ბაზრის საჭიროებებს და ასევე, ახდენს ეკონომიკური აქტოვობების ინოვაციურობის სტიმულირებას.

TTPP-ს ფარგლებში ბენეფიციარებმა მიიღეს შემდეგი სახის დახმარებები: კომერციალიზაციის პროცესში დახმარება, რაც გულისხმობს რჩევებს ტექნოლოგიების გადაცემის პროცესის ყველა ასპექტში, ინოვაციის გამჟღავნებიდან, ტექნოლოგიის კომერციალიზაციისთვის შეფასებასა და კომერციულ პარტნიორთან მოლაპარაკებამდე, ასევე, ტექნოლოგიის განვითარებაში დახმარება ფინანსური სახსრებით (იურიდიულ, კომერციულ და ტექნიკურ საკითხებში, მაგ.: ინდუსტრიული ტესტირება, პატენტის რეგისტრაცია, კვლევის განხორციელება და ა.შ.), პოტენციური ინდუსტრიული პარტნიორის მოძიებასა და ბიზნეს შეთანხმებაში დახმარებას, რაც გულისხმობს პოტენციური მკვლევარების დაკავშირება ინდუსტრიულ პარტნიორებთან, ბიზნეს მოლაპარაკებების წარმართვას. ზემოაღნიშნულმა დახმარებებმა გაზარდეს კომერციალიზაციის შესაძლებლობა.

TTPP-ის ფარგლებში ინდუსტრიასა და კვლევით დაწესებულებათა დაკავშირებისთვის მომზადდა შემდეგი ხელშეკრულებების ნიმუშები: სამეცნიერო-კვლევითი ხელშეკრულებები, ლიცენზირების ხელშეკრულებები, მომსახურების ხელშეკრულებები, გაუმჟღავნებლობის შესახებ შეთანხმებები და სხვა.

თავის მხრივ, პროგრამა შეფასდა როგორც დაბალი რისკის მქონე, რადგან პროგნოზირებადია და ასევე, არ აქვს უარყოფითი გავლენა ნიადაგზე, ბიომრავალფეროვნებასა და კულტურულ მემკვიდრეობაზე. სწორედ ამ მიზნით, შემუშავდა ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამის გარემოსდაცვითი და

[72] GITA, ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი, იხ. https://gita.gov.ge/geo/static/155/ttpp

სოციალური ვალდებულებების გეგმა[73]. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის გრანტის ფარგლებში, რომელსაც მართავს რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი. სააგენტო მატერიალური ზომებისა და მოქმედებების იმპლემენტაციას ახორციელებს მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების შესაბამისად (ESSs).

- ✓ **მდგრადობა**

დაინტერესებული მხარეების მხრიდან მიღებულმა უკუკავშირმა ცხადყო, რომ TTPP პასუხობს RDI-ების მოთხოვნებსა და საჭიროებებს, მათ შორის მათთვისაც, ვისაც უკვე აქვს ტექნოლოგიების გადაცემის ოფისები. მიუხედავად იმისა, რომ RDI-ების უმეტესობა უკვე ესწრებოდა კვლევების კომერციალიზაციის სხვადასხვა სასწავლო სესიებსა და ტურებს, დაინტერესებული მხარეები აღნიშნავდნენ, რომ TTPP ინიციატივა საქართველოში პირველია, რომელსაც საჯარო დაწესებულება ახორციელებს, რომელიც სწორედ კომერციალიზაციის პროცესს უზრუნველყოფს და ამავე დროს ცოდნას პრაქტიკულად გადასცემს მონაწილე მხარეებს.

5.4 მეწარმეობაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენების უნარების გაუმჯობესება

- ✓ **შესაბამისობა**

სახელმწიფო და საზოგადოებრივი პროგრესი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) განვითარებასა და მის ხელმისაწვდომობაზე. სწორედ ამიტომ, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება, ინფორმაციული საზოგადოების შექმნა და მსოფლიო ინფორმაციულ სივრცეში აქტიურად ჩართვა ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტულ ამოცანად არის მიჩნეული. თავის მხრივ, ICT-ის უნარების გაუმჯობესება მნიშვნელოვანი ფაქტორია მცირე და საშუალო საწარმოებში როგორც ინოვაციების განვითარების, ასევე მათი ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის, რადგან თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე რთულია კონკურენტუნარიანობის ამაღლება და მისი შენარჩუნება.

ICT-ის განვითარება განაპირობებს იდეის პროდუქტად გარდაქმნას, ინტერნაციონალიზაციას, ინვესტიციების მოზიდვას და ხელს უწყობს უცხოელ

[73] GITA, ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამა "გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების გეგმა", იხ. https://gita.gov.ge/res/docs/TTPP_EnvironmentalandSocialCommitmentPlanESCP_GEO.pdf

პარტნიორებთან თანამშრომლობას, რაც მოითხოვს თანამედროვე, ინოვაციურ მიდგომებს სამეწარმეო საქმიანობის სხვადასხვა, მათ შორის, მენეჯმენტის და მარკეტინგის მიმართულებებით.

- ✓ **ეფექტურობა**

ფინანსური რესურსების ნაკლებობის გამო, მცირე და საშუალო მეწარმეთა უმრავლესობას, უმეტესად რეგიონებში, არ შეუძლიათ მოიზიდონ მაღალკვალიფიციური კადრები, ან განავითარონ მათი უნარები. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელშეწყობით, თანამედროვე მიდგომების და საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით, განხორციელდა მცირე და საშუალო საწარმოთა ტრენინგები, როგორც იდეის პროდუქტად გარდაქმნის, ასევე, ინვესტორებთან ურთიერთობების დამყარების და ბიზნესის მენეჯმენტთან დაკავშირებით. კერძოდ, განხორციელდა ტრენერთა გადამზადების პროგრამა (ToT - Training of Trainers) ექსპორტზე ორიენტირებული ICT უნარების გაუმჯობესებისთვის, რეგიონებში მეწარმეებისთვის ჩატარდა სასწავლო კურსები ელექტრონული ბიზნესის მიმართულებით - აღნიშნული პროექტის ფარგლებში 800-ზე მეწარმემ გაიარა ტრენინგი ციფრულ წიგნიერებაში (BFD კომპონენტი). ასევე, ბაზარზე არსებული მოთხოვნიდან გამომდინარე შემუშავდა განახლებული ტექნიკური დავალება ICT ტრენინგ პროგრამისთვის და მოეწყო დამატებითი შეხვედრები ICT ტრენინგ პროვაიდერებთან, რომელთაც განახორციელეს ICT სპეციალისტების გადამზადება და სერთიფიცირება საერთაშორისო ბაზარზე აღიარებული სერთიფიკატებით.

საქართველოს მთავრობის მიერ სტრატეგიულ მიმართულებად განისაზღვრა საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით მაღალკვალიფიციური და გლობალურად კონკურენტუნარიანი სპეციალისტების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა რეგიონებში. შესაბამისად, სააგენტო განაგრძობს პროგრამას, რომლის ფარგლებში საქართველოს 11 რეგიონის მოსახლეობისთვის (ლაგოდეხი, ლანჩხუთი, გურჯაანი, გორი, კასპი, ქუთაისი, ბათუმი, რუხი, ზუგდიდი, თელავი, ოზურგეთი) მოსახლეობისათვის უსასყიდლოდ არის ხელმისაწვდომი დამწყები დონის ტრენინგები საინფორმაციო ტექნოლოგიების 3 მიმართულებით, ესენია: ვებ პროგრამირება (Front-end), UX/UI დიზაინი და გრაფიკული დიზაინი, სოციალური მედია მენეჯმენტი და ქოფირაითინგი, 2017 წლიდან საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მხარდაჭერით თბილისსა და საქართველოს რეგიონებში ხორციელდება ახალი ტექნოლოგიების სწავლების პროგრამა, რომლიც ფარგლებში უკვე ჩატარდა 6 ტრენინგ კურსი:

- Back end და Front end პროგრამირება;
- გრაფიკული დიზაინი (საბაზისო კურსი);
- Front end web development;
- UI/UX დიზაინი;

- გრაფიკული დიზაინი (სრულად დისტანციური საბაზისო კურსი);
- სოციალური მედია მენეჯმენტის და ქოფირაითინგის კურსი (ონლაინ კურსი).

საგანმანათლებლო პროგრამა დიდი ინტერესით სარგებლობს. კურსებზე დარეგისტრირებული იყო 3000-ზე მეტი მსურველი, ხოლო სასწავლო პროცესი გაიარა 1000-ზე მეტმა მონაწილემ. კურსები წარმატებით დაასრულა, შექმნა პროექტი და მიიღო სერთიფიკატი 570-მა სტუდენტმა და მათგან დაახლოებით 15% არის დასაქმებული.

დაგეგმილია სატრენინგო მიმართულებების ეტაპობრივად გაფართოვება სპეციალური კვლევების საფუძველზე წარმოქმნილი საჭიროებების პარალელურად.

პროგრამის მთავარი მიზანია, როგორც ქართველი ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით, ასევე ICT სექტორის განვითარება და პრიორიტეტიზირება.

2020 წელს EuropeAid-ის დაფინანსებით დაიწყო პროექტის განხორცილება - „ახალგაზრდული ტექნოლოგიური კლუბების ქსელი/youth tech club network“.

✓ გავლენა

ქვეყანაში გრძელვადიანი მდგრადი ზრდისა და ინოვაციების განვითარების მიზნით, შეიქმნა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების და უზრუნველყოფილი იქნა სამუშაო ძალის განვითარება. ახალგაზრდული ტექნოლოგიური კლუბების ქსელი გათვლილია ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ცხოვრობენ რეგიონებში და არ აქვთ წვდომა იმ რესურსებთან, რომელიც მნიშვნელოვანია განვითარებისთვის. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ახალგაზრდები შეისწავლიან ისეთი მოთხოვნად უნარებს, როგორიცაა კოდირება და ტექნოლოგიური სტარტაპების განვითარება. პროექტი მათ სთავაზობს საკვანძო საკითხებს პოპულარული IT სფეროს მიმართულებით და ტექნოლოგიური მეწარმეობის საფუძვლებში, რაც ქმნის ახალ პერსპექტივებს მათი დასაქმებისა და გლობალურად კონკურენტული კარიერისთვის.

„ახალგაზრდული ტექნოლოგიური კლუბების ქსელის“ პროექტის ფარგლებში ბიზნესის წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორობით, შეიქმნა შესაძლებლობა ტექნოლოგიური და სამეწარმეო საგანმანათლებლო პროგრამების არსებული დიზაინის გარდაქმნისა და ახალი პროგრამების განვითარებისთვის.

✓ მდგრადობა

„ახალგაზრდული ტექნოლოგიური კლუბების ქსელის“ სამწლიანი პროექტის ფარგლებში შეიქმნება კოდირებისა და ტექნიკური მეწარმეობის კლუბები საქართველოს 8 რეგიონის 100 სკოლასა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. პროექტი ხორციელდება „ევროკავშირი საქართველოსთვის“ დაფინანსებითა და მხარდაჭერით, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA),

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის[74], ICT კლასტერისა და ინოვაციური განათლების ფონდის (IEF) ერთობლივი თანამშრომლობით. სასკოლო ტექნოლოგიური კლუბები მონაწილეობას მიიღებენ ტექკომპანიებთან შეხვედრებში, დასაქმების ბაზრობებზე, კონკურსებსა და ჰაკათონებში, რომლებიც ჩატარდება ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სააგენტოს ინოვაციურ ცენტრებში.

პროექტი, რომელიც EU4G-სა და Skills4Jobs-ის ფარგლებში ხორციელდება, საქართველოსთვის და მისი მდგრადი განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია.

5.5 ინოვაციებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა (ტექნოპარკები, ინოვაციების ცენტრები, FabLab-ები; iLab-ები)

✓ შესაბამისობა

მცირე და საშუალო საწარმოებსა და start-up-ებში ინოვაციების და R&D-ის სტიმულირების და განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ქვეყანაში შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ინფრასტუქტურული პროექტების მიზანია, დაეხმაროს ადგილობრივ მოსახლეობას, კერძო კომპანიებსა თუ ადგილობრივ მთავრობას, გამოიყენონ აქამდე ძნელად ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები საკუთარი საქმიანობის განვითარებისთვის და მიიღონ ცოდნა როგორც ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში, ისე მეწარმეობის მიმართულებით. ტექნოლოგიური პარკები, ინოვაციების ცენტრები მნიშვნელოვანია რეგიონის განვითარებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისათვის, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს.

საქართველოში ციფრული უთანასწორობის დაძლევის მიზნით პრიორიტეტად განისაზღვრა საქართველოს ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება. ფართოზოლოვანი ინტერნეტი მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, რადგან ის წარმოადგენს მძლავრ საშუალებას ინფორმაციასთან წვდომისთვის და მოქალაქეების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩასართვად. სწორედ ამიტომ, მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა განავითაროს საქართველოს ციფრული ეკონომიკა, აქციოს ის ინკლუზიური ზრდის მამოძრავებელ ძალად სოფელსა და ქალაქს შორის არსებული უთანასწორობის დასაძლევად და ექსპორტზე ორიენტირებული ზრდის ხელშესაწყობად.

[74] ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, იხ. https://iliauni.edu.ge/ge/siaxleebi-8/axali-ambebi-36/axalgazrduli-teqnologiuri-klubebis-qseli-skolebistvis-migebas-acxadebs.page

- ✓ **ეფექტურობა**

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ უზრუნველყო და კვლავ აგრძელებს ინოვაციებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას. თბილისსა და რეგიონებში შექმნილი ტექნოპარკები და ინოვაციური ცენტრები ორიენტირებულია ქვეყანაში ტექნოლოგიების და ინოვაციების ეკოსისტემის განვითარებაზე. თბილისში, ზუგდიდსა და თელავში და 2020 წლიდან კი უკვე ბათუმში, გურჯაანში და კასპში შექმნილი ტექნოპარკები აკუმულირებულია ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო და პროფესიონალური რესურსებით, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებას.

აღნიშნული ცენტრების და ჰაბების გახსნისთვის, რომელიც მსოფლიო ბანკის GENIE პროექტის ფარგლებში განხორციელდა 2016-2020 წლებში, სულ დაიხარჯა 1,146,557 აშშ. დოლარი. ფიზიკურ სივრცეებში თავმოყრილია ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო და პროფესიული რესურსები, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიები, საერთო სამუშაო და სატრენინგო სივრცეები. ტექნოპარკი უზრუნველყოფს ღია დაშვებას თანამედროვე ტექნოლოგიებთან, ცოდნასა და განვითარების პერსპექტივასთან, რის დახმარებითაც დაინტერესებულ პირს, შესაძლებლობა აქვს მიიღოს დახმარება იდეის დამუშავებიდან მის პროტოტიპად ჩამოყალიბებასა და ბიზნესად განვითარებაში. ტექნოპარკი აერთიანებს სხვადასხვა მიმართულებისა და იდეების მქონე ადამიანებს და ხელს უწყობს მათ ტექნოპარკის ინფრასტრუქტურის გამოყენებით, შექმნან ახალი ტიპის, ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოებები, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნება ადგილობრივ და გლობალურ ბაზარზე. თბილისსა და რეგიონულ ცენტრებში აქტიურად მიმდინარეობს როგორც STEAM მიმართულებით ცნობიერების ამაღლების მიზნით საგანმანათლებლო და საკონკურსო ტიპის ღონისძიებები, ასევე ტექნოლოგიური hardware სტარტაპების და პროდუქტების განვითარების პროგრამები.

2020 წლისთვის, წარმატებით ფუნქციონირებს ინოვაციების რეგიონალური ცენტრები ხარაგაულში, ჭოპორტში, ბაღდათში, ახმეტასა და რუხში, რომელიც თავის მხრივ, წარმოადგენს მინი ტექნოპარკებს და შედარებით მცირე მასშტაბით მომხმარებელს ლოკალურად სთავაზობს იმავე სერვისებს, რასაც ტექნოპარკები. ინოვაციის ცენტრის ფორმირება რეგიონებში ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ის საკმაოდ მრავალპროფილიან მომსახურებას სთავაზობს ადგილობრივ მოსახლეობას, რომლის საშუალებით მათ წვდომა აქვთ ძნელადხელმისაწვდომ სერვისებთან. ინოვაციების ცენტრების ფორმირებით ხდება რეგიონების ჩართულობა ინოვაციურ საქმიანობაში.

საქართველოში ციფრული უთანასწორობის დაძლევის და ქვეყანაში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, ევროკომისიის და მსოფლიო ბანკის დახმარებით, შეიმუშავა „საქართველოს ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების

ეროვნული სტრატეგია“[75], რომელიც ორიენტირებულია კონკურენციის განვითარებაზე, ინვესტიციების მოზიდვასა და მოსახლეობაში ციფრული უნარების განვითარებაზე. სტრატეგიის შესაბამისად, დაიწყო ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ერთიანი ნეიტრალური ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის შექმნას, სამიზნე გეოგრაფიულ არეალში ფართოზოლოვანი საბითუმო მომსახურებების განვითარებას და შექმნილი ქსელის ორ ნებისმიერ დაშვების წერტილს შორის უწყვეტ კავშირს.

პროგრამა ფართოზოლოვანი ინტერნეტი განვითარებისთვის (BfD)[76] წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის (GENIE) პროექტის შემადგენელ ნაწილს, რომელსაც საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ახორციელებს. პროექტის GENIE მთავარ მიზანია საქართველოში მოღვაწე ფირმებისა და ფიზიკური პირების ინოვაციური საქმიანობის გაზრდა და ციფრულ ეკონომიკაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა. GENIE პროექტი ფინანსდება რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) კრედიტით. კრედიტის თანხა 23.4 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

- ✓ **გავლენა**

ინოვაციების ცენტრებში განხორციელდა ტრენინგები, ჩატარდება ვიდეო ლექციები და სემინარები ისეთ თემებზე, როგორებიცაა ბიზნეს დაგეგმარება, კულტურა, ხელოვნება, სოციოლოგია, დროის მენეჯმენტი, პროგრამირება და სამოქალაქო განათლება. ინოვაციების ცენტრებში განხორციელდა მრავალი პროექტი თუ პროგრამა, რაშიც ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად ღებულობდა მონაწილეობას. განხორციელდა ლეგორობოტიკის სასწავლო კურსი, 3D პრინტერის შესასწავლი პროგრამა, პროტოტიპირების შესწავლა, ინდუსტრიული/სამრეწველო 3D პროტოტიპირება, პროდუქტის საბოლოო ფორმამდე მიყვანა. ცენტრებში ასევე განხორციელდა მიკროელექტრონიკის კურსი - არდუინოს, Littlebits მოწყობილობების მუშაობის პრინციპების გაცნობა/შესწავლის მიზნით. ასევე მომხმარებლებს წვდომა ჰქონდათ დისტანციური დასაქმების პლათფორმებთან.

აღსანიშნავია, რომ საქართველო ამიეკავკასიში პირველი ქვეყანაა, რომელიც ფაბლაბების რუკაზე გაჩნდა. არსებული ფაბლაბები აღჭურვილია ზუსტად იმ აპარატურული ციკლით, რომლის ანალოგებიც არის მასაჩუსეტის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში - MIT-ში. ფაბლაბი არის უნიკალური სივრცე ნებისმიერი მოქალაქისთვის, რომელსაც აქვს იდეა, სურს მისი განხორციელება ან სტარტაპ ბიზნესად ჩამოყალიბება. ფაბლაბი ყველას აძლევს საშუალებას ჰქონდეს წვდომა

[75] „საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგია“ http://gov.ge/files/545_74851_576141_60.pdf

[76] ინტერნეტი განვითარებისთვის, იხ. https://bfd.gov.ge/Account/HH

თანამედროვე ტექნოლოგიებზე. ის მორგებულია ნებისმიერ მომხმარებელზე და ხელს უწყობს იდეების გენერირებას. რაც შეეხება სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიებს (Fablab)[77], იგი ბადებს წინსვლის პერსპექტივას თანამედროვე საზოგადოებაში. ამ სივრცეებში ხდება ახალი წამოწყებების სრულყოფა და ახალგაზრდა ინოვატორების იდეების რეალიზება.

მცირე და საშუალო საწარმოებში კვლევისა და განვითარების სტიმულირების მიზნით უმნიშვნელოვანესია ციფრული ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია რეგიონების დაფარვა მაღალსიჩქარიანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური ინფრასტრუქტურით. ფართოზოლოვანი ინტერნეტის განვითარება განაპირობებს საქართველოს პოზიციონირებას რეგიონულ ჰაბად ტელეკომუნიკაციების სფეროში, სადაც მოსახლეობის 85%-ს მიუწვდება ხელი „მაგისტრალურ ოპტიკურ - ბოჭკოვანი ინტერნეტის ინფრასტრუქტურაზე“ და აქვს გაუმჯობესებული წვდომა ელექტრონული კომერციის პლატფორმებზე.

BfD პროგრამა 2017 წლის აპრილიდან დაიწყო და რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, მათ შორის ა) პილოტის პილოტი (PoP) თუში მეწარმეებისთვის ბ) ცნობიერების ასამაღლებელი ტრენინგები (ARTs) ციფრულ და ელექტრონულ წიგნიერებაში მეწარმეებისთბის და შინამეურნეობებისთვის საქართველოს 6 რეგიონში გ) კონსულტაციები ელ-კომერციაში (ECD) ადგილობრივი მეწარმეებისთვის ტურიზმის და მასპინძლობის სფეროდან[78].

ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარებამ მეწარმეებს, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებს, ახალ ბაზრებზე (ადგილობრივ და საერთაშორისო) შესვლის საშუალება მისცა ონლაინ პლატფორმებზე და მასალებზე წვდომით, საქმიანობის ეფექტური მართვით და მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან ეფექტიანი კომუნიკაციის გზით. ამასთან, ხელი შეუწყო ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობისთვის მომსახურების მიწოდებას, სადაც ამ დრომდე ამგვარი სერვისი არ ყოფილა ხელმისაწვდომი.

შესაბამისად, მთლიანად ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაიფარება 1000-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, ხოლო 170 ათას შინამეურნეობას წვდომა ექნებათ არანაკლებ 100 მბ/წმ-ის, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოებსა და საწარმოებს არანაკლებ 1 გბ/წმ-ის სიჩქარის ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურებებთან.

---

[77] GITA, ფაბრიკაციის ლაბორატორია, იხ. https://gita.gov.ge/geo/static/49/fablabebi

[78] საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი, „ფართოზოლოვანი ინტერნეტი განვითარებისთვის (BFD) პროგრამის სახელმძღვანელო“, 2019 წ. იხ. https://gita.gov.ge/geo/static/87

- ✓ **მდგრადობა**

ტექნოპარკი აერთიანებს სხვადასხვა მიმართულებისა და იდეების მქონე ადამიანებს და ხელს უწყობს მათ ტექნოპარკის ინფრასტრუქტურის გამოყენებით, შექმნან ახალი ტიპის, ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოებები, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნება, როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურ ბაზარზე. ეს საბოლოოდ ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესს.

ფართოზოლოვანი ინტერნეტი განაპირობებს სხვადასხვა მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მიღწევის ხელშემწყობ ფაქტორს უზრუნველყოფს რა ციფრული უთანასწორობის შემცირებას, ეკონომიკურ ურთიერთობებში ბიუროკრატიისა და სხვადასხვა ხარჯების შემცირებას. ამასთან, სტრატეგია უზრუნველყოფს იმ პრიორიტეტული მიზნების მიღწევას, რომელიც ფოკუსირებას ახდენს განათლებაზე, ინოვაციებსა და ახალგაზრობაზე, როგორც სამომავლო ზრდის მამოძრავებელ ფაქტორებზე. ამასთან, მსოფლიო ბანკის *ქვეყანასთან პარტნიორობის ჩარჩო* (CPF)[79] განსაზღვრავს ინკლუზიურ ზრდას და კონკურენტუნარიანობას, ინვესტიციას ადამიანურ კაპიტალში და მდგრადობის უზრუნველყოფას, როგორც საქართველოს უწყვეტი ეკონომიკური ზრდის ძირითად კომპონენტებს, რასაც მოჰყვება გაცილებით ფართო ინტეგრაცია გლობალურ ბაზრებზე ექსპორტზე ორიენტირებული დარგების განვითარებით.

[79] მსოფლიო ბანკი, „Georgia Country Partnership Framework 2019-2022"; იხ. https://www.worldbank.org/en/country/georgia/publication/georgia-country-partnership-framework-2019-2022
World Bank, IBRD „Country Partnership Framework for Georgia for the period FY2019-FY2022" იხ. http://documents1.worldbank.org/curated/en/588751525364587100/pdf/WBG-Georgia-CPF-FINAL-4-25-04302018.pdf

გამოწვევები და რეკომენდაციები

კორონავირუსის პანდემიამ ახალი გამოწვევებისა და პრობლემების წინაშე დააყენა საქართველოს ეკონომიკა. ამასთან, გამოწვევებთან ერთად, პანდემიამ შექმნა განვითარების ახალი შესაძლებლობები და პერსპექტივები. სწორედ ამ შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებაზე უნდა იქნას მიმართული ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა შემდგომი წლების განმავლობაში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2016-2020 წლების სტრატეგიით განსაზღვრული 5 ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებია და მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე კვლავაც უნდა გაგრძელდეს მათი იმპლემენტაცია საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიით. ამასთან, მიზანშეწონილია, რომ ახალ სტრატეგიაში ცალკე პრიორიტეტულ მიმართულებებად განისაზღვროს ქალთა მეწარმეობის და მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნულ საკითხებს 2016-2020 წლების სტრატეგია მოიცავდა და გარკვეულ აქტივობებსაც ითვალისწინებდა, თუმცა საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, რეკომენდებულია ახალ სტრატეგიაში ცალკე ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებად იქნან წარმოდგენილი შესაბამისი მიზნებით და ამოცანებით.

სტატისტიკის გაუმჯობესება

დღეს, მცირე და საშუალო ბიზნესთან მიმართებით ერთდროულად ერთმანეთისგან განსხვავებული რამდენიმე დეფინიცია და მათი გამოყენების სხვადასხვა არეალი არსებობს, როგორიცაა საგადასახადო, სტატისტიკური, ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება. მიუხედავად მიდგომების თანხვედრის, ჯერ კიდევ არ არის მცირე და საშუალო ბიზნესის ეთიანი უნივერსალური დეფინიცია, რაც გაურკვევლობას იწვევს და მიზანშეწონილია საწარმოთა კატეგორიებად დაყოფა სწორედ ერთიანი დეფინიციით ხდებოდეს. ამასთან, მნიშვნელოვანია გენდერულ ჭრილში ბიზნეს სტატისტიკის გაფართოება, მათ შორის საწარმოთა ზომის მიხედვით.

პროფესიული განათლება

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს არ გააჩნიათ კურსდამთავრებულების დასაქმების მხარადაჭერის სისტემა. კურსდამთავრებულები ძირითადად სამსახურის ძიების პროცესში ეყრდნობიან საკუთარ და ახლობლების გამოცდილებას. ასევე ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის არც სახელმწიფო და არც კერძო სისტემა.

რეკომენდებულია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში გაძლიერდეს სწავლის ხარისხის შეფასებისა და მიმდინარე პროცესებზე უკუკავშირის სისტემა. განსაკუთრებით საყურადღებოა საჭიროებების კვლევები, რაც საშუალებას მისცემს სასწავლებელს დროულად მოახდინოს ბაზრის მოთხოვნაზე რეაგირება. ამასთან, გარკვეული რეგულარულობით გადაიხედოს მოდულებისა და კურსების სილაბუსები, განსაკუთრებით პრაქტიკის ნაწილი, რადგან შრომის ბაზარზე განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება აისახება კომპეტენციებში. მუდმივად უნდა ხდებოდეს პროგრამებით მიღწეული კომპეტენციების შეფასება შრომის ბაზარზე საჭირო კომპეტენციებთან მიმართებაში.

არაფორმალური განათლება

არაფორმალური პროფესიული განათლებისა და გამოცდილების, წინმსწრები განათლების, ასევე სხვა ქვეყანაში მინიჭებული კვალიფიკაციების აღიარება მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ შექმნილია არაფორმალური განათლების აღიარების შესაძლებლობა, არაფორმალური გზით შეძენილი ცოდნისა და უნარების აღიარება დამსაქმებლების, საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან შეზღუდულია. ამასთან, ქართველი დამსაქმებლები საზღვარგარეთ მიღებულ კვალიფიკაციებს მეტ-ნაკლებად ენდობიან (დასრულებული კურსის თუ საგანმანათლებლო დაწესებულების რეპუტაციიდან გამომდინარე) მაშინ, როდესაც საქართველოში მიღებული კვალიფიკაციების შესაბამისობა და ტრანსფერი ევროპულ, თუ საერთაშორისო ბაზარზე მინიმალურია. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გაიზარდოს არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მქონე დაწესებულებების რაოდენობა და პროფესიული განათლების სისტემაში დაინერგოს კრედიტების ისეთი სისტემა, რომელიც დაეფუძნება ევროპულ მექანიზმს - ECVET.

ექსპორტის ხელშეწყობა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გააჩნია თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ფართო ქსელი და ქვეყანაში მოქმედ ბიზნესებს მსოფლიო ბაზარზე ფართო წვდომა აქვთ, კვლავ დიდ ძალისხმევას საჭიროებს ექსპორტის ხელშეწყობა და სტიმულირება. ექსპორტის ზრდის მისაღწევად მრავალი გამოწვევა არსებობს, განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროკავშირში შესაბამისი პარტნიორის მოძიების და პროდუქტის საექსპორტოდ მომზადების მიმართულებით არსებული სირთულეები, ამასთან, DCFTA შესაძლებლობებზე და პოტენციალზე ჯერ კიდევ დაბალია ქართველი მეწარმეებს ცნობიერება და ისინი ძირითადად ორიენტირებულები არიან ტრადიციულ ბაზრებზე. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინსტიტუტების როლი, განსაკუთრების

მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის ცნობიერების ამაღლების, თანადაფინანსების მექანიზმების შეთავაზების მიზნით.

ქალთა მეწარმეობა

მიუხედავად არსებული პროგრესისა, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ქალთა ეკონომიკური გაძლიერება. ამ მიზნით საჭიროა უფრო ფოკუსირებულად იქნეს შესწავლილი ქალთა სამეწარმეო პოტენციალი ქვეყნის კონკურენტულობის გაზრდაში. კერძოდ, მეტი აქცენტის გაკეთებაა საჭირო ქალთა მეწარმეობის რეალური ეკონომიკური ღირებულების მაქსიმუმამდე გაზრდაზე, ასევე, იმ ბარიერების დაძლევაზე, როგორიცაა სუსტი პოლიტიკური ადვოკატირება, ინფორმაციის და კომუნიკაციის ნაკლებობა, მენეჯმენტის და ლიდერობის განუვითარებელი უნარები, მხარდაჭერის სუსტი სისტემები.

კრიტიკულად მწვავე პრობლემას და სირთულეს წარმოადგენს ქალი მეწარმეებისთვის ფინანსების ხელმისაწვდომობა, რაც ძირითადად განპირობებულია უზრუნველყოფის საშუალებების არ ქონით, რადგან უძრავ ქონებაზე ქალთა მფლობელობა მნიშვნელოვნად დაბალია. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო პროგრამებში ქალთა მეწარმეობის წამახალისებელი ინსტრუმენტების დანერგვა და მათი პოპულარიზაცია, განსაკუთრების რეგიონებში.

მწვანე ეკონომიკა

ეკონომიკაში მწვანე განვითარების მიმართულებების გაძლიერება და გარემოსდაცვითი სტანდარტების დანერგვა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილია, რაც საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. მიუხედავად იმისა, რომ ამ თვალსაზრისით შემუშავებულია არაერთი პოლიტიკის დოკუმენტი, ხორციელდება სხვადასხვა პროექტები და ღონისძიებები, მწვანე ეკონომიკის მიმართულებით კვლავაც საჭიროა საზოგადოების, სამეწარმეო სექტორის ინფორმირება და პრაქტიკაში მისი ფართოდ დანერგვის ხელშეწყობა. ამასთან, პრობლემურია ნარჩენების მართვის საკითხი, კერძოდ, ნარჩენების წარმომქმნელი კერძო კომპანიების უმრავლესობას არ გააჩნია ნათელი წარმოდგენა ნარჩენების გადამუშავებასა და ზოგადად, ნარჩენების მართვაზე, ისევე როგორც დაბალია საზოგადოების ცნობიერება აღნიშნულთან მიმართებით. ამდენად, უმნიშვნელოვანესია საზოგადოების და მეწარმეების ცნობიერების ამაღლება გარემოსადაცვით საკითხებზე, ეკო-ინოვაციის, ნარჩენების მართვის, განსაკუთრებით მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების მიმართულებით.

ელექტრონული კომერცია

უზრუნველყოფილი იქნას მეწარმეებისთვის ელექტრონული კომერციის თაობაზე ცნობიერების ამაღლების, თეორიული და პრაქტიკული ტრენინგების განხორციელება შემდეგ საკითხებზე: ელ. კომერციის ადგილობრივი და საერთაშორისო პლატფორმები; ციფრული მედია და კომუნიკაცია; სოციალური ქსელები და მათი მნიშვნელობა გაყიდვებში; ონლაინ რეკლამა; პროდუქციის მიწოდება საქართველოში და საზღვარგარეთ; ადგილობრივი და საერთაშორისო გადახდის მეთოდები და სხვ.

დანართები

დანართი 1.

„საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის“ პრიორიტეტული მიმართულებების შესრულების ინდიკატორები 2016-2020 წლებში 100%-ით შესრულდა.

მონიტორინგის წლიური ანგარიში			
N	**კრიტერიუმები**	**ქულა**	**შეფასება**
	სულ	**100**	**96**
1	**მეთოდოლოგიური კრიტერიუმები**	**80**	**76**
1.1	წარმოდგენილია მოკლე შეჯამება და შესავლის თავები	10	10
1.2	წარმოდგენილია ზოგადი პროგრესი	10	10
1.3	წარმოდგენილია დეტალური პროგრესის შესახებ ინფორმაცია თითოეული ამოცანის შედეგის მიღწევასთან დაკავშირებით	20	20
1.4	წარმოდგენილია ინფორმაცია ზოგად გამოწვევებთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით	10	10
1.5	წარმოდგენილია ერთი წლის კონსოლიდირებული სტატუსანგარიში დანართის სახით	10	10
1.6	ანგარიში აკმაყოფილებს ინსტრუქციაში გაწერილ 4 პრინციპს	10	10
1.7	მოცემულია ინფორმაცია დახარჯული ფინანსურ რესურსებთან დაკავშირებით	5	1
1.8	დანართების სახით წარმოდგენილია დადასტურების წყაროები	5	5
2	**ტექნიკური კრიტერიუმები**	**20**	**20**
2.1	ანგარიშის შესაბამისობა სავალდებულო სტრუქტურასთან	5	5
2.2	ტექსტის სტილისტურ/გრამატიკული გამართულობა	5	5
2.3	დოკუმენტის ტექნიკური გამართულობა	5	5
2.4	ტექსტში გამოყენებული ტერმინოლოგიის შესაბამისობა ლექსიკონთან	5	5

სტატუსანგარიში

სტრატეგიული მიმართულებები		სტატუსი	პროგრესი
1. სამართლებრივი, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება			
1.1	ბიზნესის დახურვის და გადახდისუუნარობის პროცედურების გაუმჯობესება	დასრულდა	100%
1.2	მცირე და საშუალო საწარმოთა განახლებული მეთოდოლოგიით წარმოებული სტატისტიკის გაფართოება	დასრულდა	100%
1.3	საწარმოთა სტატისტიკის გაუმჯობესება	დასრულდა	100%
1.4	მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების გაძლიერება	დასრულდა	100%
1.5	საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის გაძლიერება	დასრულდა	100%
1.6	პრიორიტეტული ეკონომიკური კანონმდებლობისთვის რეგულირების გავლენის შეფასების RIA-ს სისტემის შექმნა	დასრულდა	100%
2. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება			
2.1	ფინანსური განათლების გაუმჯობესება	დასრულდა	100%
2.2	მცირე და საშუალო საწარმოთა ხელშეწყობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SME) დანერგვაში	დასრულდა	100%
2.3	მცირე და საშუალო მეწარმეთა ცოდნის ამაღლება ფინანსების მოზიდვის საკითხებში	დასრულდა	100%
2.4	SME და დამწყები ბიზნესის დაფინანსებაზე ორიენტირებული კერძო საინვესტიციო და ვენჩურული კაპიტალის ფონდების მოზიდვა	დასრულდა	100%
2.5	მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა კომერციული ბანკებიდან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან დაფინანსების ზრდისთვის	დასრულდა	100%
3. მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა			
3.1	შრომის ბაზრის საჭიროების იდენტიფიცირება და შესაბამისი დასაქმების პროგრამების განვითარება	დასრულდა	100%
3.2	მცირე და საშუალო საწარმოთა ტრენინგების საჭიროებათა შეფასება	დასრულდა	100%
3.3	უწყვეტი სამეწარმეო სწავლების დანერგვა განათლების სისტემის ყველა დონეზე	დასრულდა	100%
3.4	მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარება	დასრულდა	100%
3.5	არაფორმალურ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა	დასრულდა	100%

3.6	მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის ტექნიკური დახმარების (TA) უზრუნველყოფა	დასრულდა	100%
3.7	საგანმანათლებლო კომპონენტის განვითარება "აწარმოე საქართველოში" სააგენტოს ვებ-გვერდზე	დასრულდა	100%
3.8	მეწარმეების მომსახურების ცენტრის მომსახურებების პორტფელის გაფართოება	დასრულდა	100%
3.9	ქალთა მეწარმეობის წახალისება	დასრულდა	100%
3.10	მცირე და საშუალო საწარმოებში „მწვანე პრაქტიკის" წახალისება	დასრულდა	100%
4. ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია			
4.1	DCFTA-ის პერსპექტივების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება	დასრულდა	100%
4.2	მეწარმეობის მხარდაჭერა DCFTA მოთხოვნებთან ადაპტაციაში	დასრულდა	100%
4.3	მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის სტიმულირება	დასრულდა	100%
4.4	მეწარმეობის მხარდაჭერა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების დამყარებაში	დასრულდა	100%
4.5	ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის (Responsible Business Conduct RBC) პოპულარიზაცია	დასრულდა	100%
5. ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების და კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა			
5.1	მცირე და საშუალო საწარმოებში ინოვაციების სტიმულირება	დასრულდა	100%
5.2	ინოვაციების და R&D დაფინანსების ეფექტიანი სქემების შემუშავება	დასრულდა	100%
5.3	ინოვაციების და R&D-ის კომერციალიზაციის მხარდაჭერა	დასრულდა	100%
5.4	მეწარმეობაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენების უნარების გაუმჯობესება	დასრულდა	100%
5.5	ინოვაციებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა (ტექნოპარკები, ინოვაციების ცენტრები, FabLab-ები; iLab-ები)	დასრულდა	100%

დანართი 3.

შეფასების ძირითადი ინდიკატორები

შეფასება	შედეგი
შეფასების მიზანი	**ზეგავლენის და შესაბამისობის შეფასება**
მეთოდოლოგიური მიდგომა	**თვისებრივი ანალიზი**
პერიოდი	**ექს-პოსტი**
კვლევის განხორციელება	**შიდა**
საბოლოო შედეგი	**დადებითი**

დანართი 4.

2020 წლის 26 თებერვალს, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ მსოფლიო ბანკის პროექტის „ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის" (GENIE) ფარგლებში თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ფარგლებში შემდეგი გამარჯვებული სტარტაპები გამოავლინა[80]:

- Freeze Tea - პრემიუმ ხარისხის გაყინული ჩაის ინოვაციური საწარმო
- Multifunctional Self-cleaning Window - დისტანციურად მართვადი, თვითმწმენდი ვიტრაჟული ფანჯრების აწყობა და რეალიზაცია
- H&Z - ფუტკრების დაავადებების პროფილაქტიკა და მკურნალობა, ჰომეოპათიური საშუალებებით როგორც ანტიბიოტიკების ალტერნატივა
- Dataninja - ონლაინ პლატფორმა, რომელიც აერთიანებს რეკლამის და ვებ გვერდის მართვის ინსტრუმენტებს
- Kernel - ფინანსური მართვის ონლაინ პლატფორმა დამწყები ბიზნესებისთვის
- Smart-Aeroponics - სოფლის მეურნეობის პროდუქტის მწარმოებელი ინოვაციური სასათბურე მეურნეობა
- Healthy snacks points - ინოვაციური, ჯანსაღი სნექების/სასმელების კომპანია
- Multi - ძირითადი საშუალებების და მარაგების ინვენტარიზაცია ინოვაციური მეთოდით
- TYPLINE - სამედიცინო მომსახურების შერჩევისა და რიგის მართვის ონლაინ პლატფორმა

[80] თანადაფინანსების გრანტების პროგრამის გამარჯვებულები, იხ. https://grants.gov.ge/ka

- 20.ge - ინოვაციური სასაჩუქრე პლატფორმა
- Zapa - ინოვაცია ელექტრონულ კომერციაში ინფორმაციის მოძიების გამარტივების მიზნით
- Atime.io - ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული დროის დაგეგმვის საშუალება დისტანციური მუშაკებისთვის
- ANALYTICSON - რეკლამა და რეტარგეტინგი - ახალი პლატფორმა
- Wenu - ჰორეკა ბაზარზე არსებული ქაღალდის მენიუების გაციფრულება
- Ourwedding - პლატფორმა საქორწილო საჩუქრების სიის გენერირებისთვის, რომელიც გაზიარებული იქნება სტუმრებთან
- Multilingual Spellchecker - მრავალენოვანი ,,სპელჩეკერი“, რომელიც თავსებადი იქნება სხვადასხვა კომპიუტერულ პროგრამასთან
- MyNannyServices - ძიძების დაქირავების ვირტუალური სივრცე
- Gymstinct - მცირე და საშუალო ზომის ფიტნეს/ველნეს ბიზნესის მართვა ღრუბლოვანი ERP სისტემის და ჭკვიანი მოწყობილობების გამოყენებით
- SoloMoney - ,,ბარათიდან ბარათზე” და ,,ქეშით ბარათზე“ გადახდების ახალი სისტემა.
- Transcorder Optime - პროექტის ამოცანაა შეიქმნას ისეთი პროდუქტი, რომელიც „ვიდეო ტრანსკოდინგის“ ოპტიმიზაციას მოახდენს, რათა შემცირდეს ვიდეო კონტენტის დამუშავების დრო და საჭირო აპარატურის ხარჯი.